საქართველოსგან ზურგშექცეული ევროსაბჭო ნაწყენია A3

„მეწარმეობა სახელმწიფოს ფუნქცია არ არის" A4

კვირის TV-პროგრამა B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 27 ივნისი, 2003 წელი. №174 (386)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

აპირებთ თუ არა მისვლას საპარლამენტო არჩევნებზე? როგორ აფასებთ თქვენი საარჩევნო ოლქიდან არჩეული დეპუტატის მუშაობას? მისცემთ თუ არა კვლავ თქვენს უბანში გასულ დეპუტატს ხმას? თქვენი აზრით, რატომ სურთ დეპუტატობა? - ამ შეკითხვებს პასუხობს 1000 რესპოდენტი, ანუ რას ფიქრობს ხალხი პოლიტიკაზე და პოლიტიკოსებზე.

A3

ეკონომიკა

წესრიგი ენერგეტიკაში ხელისუფლებას ხელს არ აძლევს

ქართულ ენერგოსექტორში უზარმაზარი თანხები ტრიალებს. ამიტომაც ბრძოლა მისი დაპატრონებისათვის ფარულად კი არა, უკვე აშკარად მიდის.

A4

უცხოეთი

ერაყში მსხვერპლის რიცხვი კიდევ გაიზარდა

გუშინ ერაყში კიდევ ერთი სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ბაღდადის გარეუბანში აშშ-ს არმიის სამხედრო ჯიპი ააფეთქეს.

A5

საზოგადოება

ნაგვის გორები ფიქრის გორაზე

დანაგვიანებულ ფიქრის გორაზე "24 საათი" ერთხელ უკვე წერდა. აქტიურობდა მწვანეების ახალგაზრდული ორგანიზაციაც და იმედი გაჩნდა, რომ "შესაბამისი უწყებები" "შესაბამის ღონისძიებებს" გაატარებდნენ.

A6

სამართალი

ყოფილი მოსამართლის გადაწყვეტილების გამო, ციხეში ორი პატიმარი უკანონოდ იმყოფება

სამართალწარმოების კურიოზი – თავისუფლად შეიძლება ასე შეფასდეს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მოსამართლის სულიკო ციცვიძის მიერ თვენახევრის წინ გამოტანილი დადგენილება და მისი შედეგი. მოსამართლე ციცვიძის ბრძანებით დაპატიმრებული ბრალდებულები, სასტუმრო "აჭარასთან" მომხდარ აფეთქებაში დადანაშაულებული ალექსანდრე მაისურაძე და გოჩა ყურაშვილი უკვე თვენახევარია უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან.

A7

ამინდი

თბილისი	29
ქუთაისი	28
ბათუმი	24
სოხუმი	24
ფოთი	25
თელავი	28
ზუგდიდი	27
გორი	26
ახმეტა	28
ჭიათურა	29
გაგრა	23
სამტრედია	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.4891
გირვანქა სტერლინგი	3.5750
რუბლი	0.0708

სოჭის შეთანხმებების რეალიზება უკუღმა იწყება

ბელა მახარაძე

სოჭის შეთანხმების თანახმად, თავდაპირველად საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, შემდეგ - დევნილთა და ლტოლვილთა მასიური დაბრუნება და ბოლოს - კომუნიკაციების, მათ შორის, რკინიგზის აღდგენა. მაგრამ რატომღაც, ყველაფერი ბოლოდან დაიწყო და გუშინ საქართველოსა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილეები ფსოუ-გუდაუთა-სოჭი-ინგირის სარკინიგზო გზის აღდგენის ვარიანტებს განიხილავდნენ.

გუშინ საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში რუსი კოლეგები მინისტრის მოადგილემ გია ნიჟარაძემ მიიღო. შეხვედრას გაერო-ს, რუსეთის საელჩოს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, შეხვედრა დახურულ კარს მიღმა თითქმის ოთხ საათს გრძელდებოდა. როგორც შეხვედრის დაწყების წინ გია ნიჟარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა,

გაგრძელება A3 გვერდზე

ქნესეტში შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ისრაელში

ლელა მჭედლიძე

დღეს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოში ბრუნდება. ისრაელში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტის განმავლობაში ნინო ბურჯანაძე, თანმხლებ პირებთან ერთად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს შეხვდა, თუმცა, ძირითადი შეხვედრა გუშინ, ისრაელის პრემიერ–მინისტრ არიელ შარონთან შედგა. "24 საათი" პარლამენტის თავმჯდომარეს ისრაელში დაუკავშირდა.

- ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რასაც წესით, გარკვეული შედეგი, გაგრძელება უნდა მოჰყვეს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა პრემიერ-მინისტრი ისრაელის სახელმწიფო სტრუქტურაში და, მით უფრო - არიელ შარონი. უნდა აღვნიშნო, რომ დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად, შეხვედრა საათი და ათი წუთი გაგრძელდა. ასეთი რამ, როგორც გვითხრეს, ხშირად არ ხდება. შარონი სერიოზულად დაინტერესდა საქართველოში არსებული სიტუაციით. ორ ქვეყანას ბევრი საერთო

გაგრძელება A2 გვერდზე

ბელა გელაშვილის ფოტო

ნინო ბურჯანაძე "24 საათის" რედაქციაში სტუმრობისას ხაზგასმით საუბრობდა საქართველოსთვის საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაზე.

„ერთად წამების წინააღმდეგ"

დალი კუპრავა

26 ივნისს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე დევიზით - "ერთად წამების წინააღმდეგ". საქართველოში ერთობლივი კამპანია ჩაატარეს ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა.

კამპანია წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერად გუშინ დილის თერთმეტ საათზე დაიწყო რეპორტაჟით რადიო "მწვანე ტალღაზე". პირველ საათზე ვერის პარკში მოეწყო პრეს-კონფერენცია და წამების იარაღების მოძრავი გამოფენა. ორ საათზე აქცია ვერის პარკიდან კინოს სახლისკენ გაემართა. სამ საათზე კინოს სახლში ძალადობისა და წამების საპროტესტოდ

გაგრძელება A6 გვერდზე

ვაჟა გელაშვილის ფოტო

წამების წინააღმდეგ აქციის მონაწილეთა მსვლელობა რუსთაველის გამზირზე.

ტრანსატლანტიკური განხეთქილების მხოლოდ ერთი ვაშლი

ლევან ღირსიაშვილი

ოთხშაბათს ვაშინგტონში გამართული აშშ-ევროკავშირის სამიტი, სავსებით შესაძლებელია, კვირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩაითვალოს. სამიტში მონაწილეობას იღებდნენ ევროკომისიის ხელმძღვანელი რომანო პროდი, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კოსტას სამიტისი და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა, ამერიკის მხრიდან კი – პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ექსტრადიცია და საბანკო ანგარიშები

ლიდერებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების აშშ-ში ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შეთანხმება აშშ-ევროკავშირს შორის არც თუ იოლად იქნა მიღწეული. ევროპა დიდი ხნის მანძილზე აცხადებდა, რომ არ მოახდენდა იმ პირების ექსტრადირებას, ვისაც სიკვდილით დასჯა ემუქრება. სწორედ ამის გამო, გასულ წელს აშშ-მ ვერ მიაღწია მისთვის ალჟირელი პილოტის ლოფტი რაისის გადაცემას, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამდე ათი დღით ადრე ლონდონის მახლობლად დააკავეს. მას ტერორისტების ინსტრუქტაჟში ედებოდა ბრალი.

ექსტრადიციის გარდა, სამიტზე კიდევ ერთ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელიც აშშ-სა და ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ეჭვმიტანილი ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების გამოკვლევის უფლებას ანიჭებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

თეთრი ლაქები საქართველოს რუკაზე

საქართველოს ელჩი დადებითად აფასებს რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას დიდ ბრიტანეთში

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

გუშინ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ აბაშიძე ჭიქა ჩაიზე დაპატიჟებულ მოსკოვურ პრესას ქართულ-რუსული ურთიერთობების რამდენიმე ამოუხსნელ ამოცანაზე ესაუბრა.

პოლიტიკური სეზონის შეჯამებისას ზურაბ აბაშიძე რუს ჟურნალისტებს აცნობს საქართველოს პოზიციას საშინაო თუ საგარეოპოლიტიკური მოვლენებისადმი, საუბრობს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის კვლავაც დარჩენილ გამაღიზიანებლებზე, ამბობს, რომ აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების დადებითი დინამიკა ჟენევასა და მოსკოვში დაგეგმილი კონსულტაციებისას გაირკვევა. ელჩის თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება, ეკონომიკური რეაბილიტაცია და ლტოლვილების დაბრუნება განსაზღვრავს სოჭში პრეზიდენტების შეხვედრის შედეგების შესრულებას: **„რუსეთთან თანამშრომლობის სერიოზულობა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მთავარი იარაღია"**, - აცხადებს ბატონი ზურაბი.

„საქართველო მიესალმება იმ შეფასებებს, რაც მოსკოვსა და დიდ ბრიტანეთში საქართველოზე რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებშია ჩადებული და რაც ტერორიზმთან ბრძოლისა თუ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ასპექტებს ეხება", - ამბობს ზურაბ აბაშიძე და ახსენებს პუტინის დაპირებას ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს ფინანსურ დახმარებაზე. ელჩი მეტად საგულისხმო ფრაზას ამბობს: **"რუსეთთან თანამშრომლობის კიდევ რამდენიმე არხია**

გაგრძელება A3 გვერდზე

"ნაციონალების" საარჩევნო სტრატეგია

სოფო ბუკია

"ნაციონალები" საქართველოს მოსახლეობასთან ხელშეკრულების გაფორმებას აპირებენ, სადაც მთავარ პუნქტად პენსიების გაზრდა და საპენსიო დავალიანების დაფარვა ჩაიწერება.

ერთადერთმა პოლიტიკოსმა, რომელიც ბათუმში, ასლან აბაშიძის მეუღლის დაკრძალვაზე არ წავიდა, გუშინდელი დღე ჟურნალისტებისთვის საარჩევნო სტრატეგიის გაცნობას დაუთმო.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მზადაა საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელშეკრულება გააფორმოს მთელ საქართველოსთან. მოსახლეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების მთავარი პრიორიტეტი პენსიების გაზრდა და საპენსიო დავალიანების დაფარვა იქნება. საპენსიო ასაკამდე ჯერ არმიღწეული მოსახლეობა არ უნდა დაღონდეს, რადგან "ნაციონალები" მათთვისაც საინტერესო სიურპრიზებს ამზადებენ. როგორც პარლამენტარი კობა დავითაშვილი ამბობს, "ნაციონალებსა" და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ახალგაზრდების დასაქმება იქნება.

"ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც მოსახლეობასთან ურთიერთობას ხელშეკრულების პრინციპზე აფუძნებს. არანაირი საიდუმლო გარიგებები! ჩვენი ყველა საარჩევნო ნაბიჯი ჟურნალისტებისთვის და ხალხისთვის ცნობილი იქნება," - მკაცრად აცხადებს

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მეცნიერება და ტექნიკა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

აფხაზეთმა გალში დამატებითი ძალები შეიყვანეს

სოხუმის ხელისუფლების შს მინისტრი აბესალომ ბეია გალის რაიონში დამატებითი აფხაზური ძალების შეყვანის ფაქტს ადასტურებს და ქართულ მხარეს აფხაზეთში საზაფხულო სეზონის ჩაშლასა და ვითარების დესტაბილიზაციაში ადანაშაულებს.

ბეია შეშფოთებას გამოთქვამს გალის რაიონის მისადგომებთან საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ქვედანაყოფების კონცენტრაციის გამო. იგი რაიონში აფხაზური სამხედრო კონტინგენტის გაძლიერებას "იძულებით კონტრღონისძიებებად" აფასებს: "სოხუმის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ აფხაზეთის ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში ბევრს არ ახარებს. ქართული მხარე ცდილობს, ჩაშალოს წლევანდელი საზაფხულო სეზონი, რომლისგანაც აფხაზური ხელისუფლება საკმაოდ დიდ მოგებას ელოდება."

ბეიას ვარაუდით, გალის რაიონის მისადგომებთან ქართული ქვედანაყოფების კონცენტრირება უნდა უკავშირდებოდეს სექტემბრისთვის სოხუმში დაგეგმილ "გამარჯვების 10 წლისთავის" პომპეზურ აღნიშვნას.

"სოხუმის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა გალის რაიონში ვითარების გამწვავება არ დაუშვას და აფხაზეთის უსაფრთხოება უზრუნველყოს," – აცხადებს აბესალომ ბეია. **ინტერ-პრესი**

გაერო ახალი ინიციატივით გამოდის

გაერო ცდილობს, უზრუნველყოს გალის რაიონში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება და რეგიონში შეიყვანოს საერთაშორისო კონსულტანტები, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს დაეხმარებიან.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის თქმით, "რუს სამშვიდობოთა მანდატი პოლიციის ფუნქციებს არ ითვალისწინებს. კონსულტანტები გალისა და ზუგდიდის რაიონებში ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს მონიტორინგს ჩაუტარებენ."

ამ წინადადებების პაკეტს დღეისათვის მხარეები განიხილავენ. ტალიავინი იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში ეს დოკუმენტი რეალობად იქცევა. **პრაიმ-ნიუსი**

სპეცოპერაცია რუსეთთან საზღვრის გასაძლიერებლად

რუსეთთან საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთების გასაძლიერებლად სპეცოპერაცია ქართველმა მესაზღვრეებმა გუშინ დაიწყეს.

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მობილიზებულია პირადი შემადგენლობა, იხსნება დამატებითი საგუშაგოები, აქტიური კონტაქტები მყარდება რუს კოლეგებთან. სპეცოპერაციას ხელმძღვანელობს სასაზღვრო უწყების შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი კორნელი სალია. **პრაიმ-ნიუსი**

რუსეთის ავიავიამ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია

გუშინ, დილის 11.30 საათზე, რუსეთის ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია. შატილის ტერიტორიაზე, თებულოს მთის მხრიდან, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი "სუ-25" საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოფრინდა. თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცეში 5 კილომეტრი გაიფრინა, რის შემდეგაც უკან გაბრუნდა.

რუსეთის სამხედრო ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცე გასულ წელს თითქმის 50-ჯერ დაარღვია, მათგან სამჯერ - დაბომბვის მიზნით. **პრაიმ-ნიუსი**

მოკლედ

ერევანი. დღეს სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს კაზაკთა კავშირი", რომელიც 10 ათასზე მეტ წევრს აერთიანებს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მხარს დაუჭერს სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსათვის". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეუთო, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს, 100 ათასი ევროს ღირებულების აღჭურვილობასა და მოწყობილობას გადასცემს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ, რომელსაც მიხეილ ოსაძე ხელმძღვანელობს, დღეისთვის დაგეგმილ სხდომაზე დასკვნა უნდა გამოაქვეყნოს ვანის გამგეობაში არსებულ დარღვევებზე . **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" დღეს ვაზისუბანში ფართომასშტაბიან აქციას გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისი უახლოეს მომავალში ინიციატივით გამოვა სუუამ-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი მოლდოვა) წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრის გამართვასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 3-4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იალტაში გაემგზავრება. იგი მონაწილეობას მიიღებს სუუამ-ის ქვეყნების ლიდერთა არაოფიციალურ შეხვედრაში. **მედია-ნიუსი**

"ნაციონალების" საარჩევნო სტრატეგია

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილი: "ოთხი თვის განმავლობაში ფეხით მოვივლით საქართველოს".

სააკაშვილი და თვითმმართველობის არჩევნებამდე თბილისთან გაფორმებულ ხელშეკრულებას იხსენებს, სადაც "ნაციონალები" დედაქალაქის მოსახლეობას სახურავების და ლიფტების შეკეთებას დაჰპირდნენ და რაც **"შევარდნაძის მხრიდან ხელშეშლის მიუხედავად, მაინც შეასრულეს"**.

"ჩვენ მოსახლეობას რეალურ დანაპირებს ვაძლევთ და შემდეგ მას ვასრულებთ," – აღნიშნავს მთავარი "ნაციონალი", რომელსაც უცხოეთიდან მოწვეული იმიჯმეიკერები არაფერში სჭირდება, რადგან საკუთარი ფეხების იმედი აქვს: **"ოთხი თვის განმავლობაში ფეხით მოვივლით მთელ საქართველოს, ყველა ქალაქსა და სოფელს."**

სააკაშვილმა ოპოზიციასთან ურთიერთობაზეც ჩამოაგდო სიტყვა და აღნიშნა, რომ მას კოორდინაცია აქვს ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, ძალიან აფასებს ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობას, თუმცა დარწმუნებულია, რომ შევარდნაძისა და მისი "გველეშაპივით მრავალთავიანი" "ახალი საქართველოსთვის" დამარცხებას "ნაციონალური მოძრაობა" მარტოც ადვილად შეძლებს - ოპოზიციასთან გაერთიანების გარეშე.

შევარდნაძის მიერ გამოთქმულ სურვილს - შეხვდეს ოპოზიციურ პარტიებს, სააკაშვილი იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ პრეზიდენტთან შეხვედრა ღია იქნება და მას ჟურნალისტები დაესწრებიან. **"შევარდნაძესთან უკანა კარში საჩურჩულო არაფერი მაქვს,"** – ამაყობს საკრებულოს თავმჯდომარე.

რაც შეეხება ბათუმში არჩასვლას, სააკაშვილი აცხადებს, რომ ასლან აბაშიძეს მან გულწრფელი სამძიმრის წერილი გაუგზავნა და მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, **"ამ შემთხვევაში მართლაც გულწრფელად უსამძიმრებს აჭარის ლიდერს". "ბათუმში ნაციონალური მოძრაობის" ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი - კოტე კემულარია და ბესო ჯუღელი ჩავიდნენ. მე პირადად ვიცნობდი ქალბატონ მაგულის, მას ყოველთვის უაღრესად კარგ ადამიანად ვთვლიდი და დიდ პატივს ვცემდი,"** – აღნიშნა სააკაშვილმა.

ქნესეტში შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი

პირველი გვერდიდან

აქვს და, ბუნებრივია, საინტერესოა გარკვეული გამოცდილების გაზიარება სამშვიდობო პროცესის თუ სხვა თვალსაზრისით. შარონის დაინტერესება საქართველოთი იმითაცაა განპირობებული, რომ მისი ბებია საქართველოშია დაკრძალული, მისი მშობლები, თავის დროზე, ერთმანეთს საქართველოში შეხვდნენ და თავად მას ძალიან ტკბილი გრძნობები აქვს საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. ვფიქრობ, რომ საქმიანი და საინტერესო შეხვედრა იყო.

- თქვენ ახსენეთ, რომ ამ ვიზიტს, შეხვედრებს შეიძლება რაღაც გაგრძელება მოჰყვეს. კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში?

- საჭიროა პოზიციების შეჯერება იმ იდეებთან დაკავშირებით, რომელიც ამ ორმხრივი შეხვედრებისას გამოითქვა, როგორც ისრაელის პრეზიდენტთან, ისე პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვებთან საუბარში. თანამშრომლობის პერსპექტივები გამოიკვეთა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით. ისრაელს საქართველოზე ნაკლები მოსახლეობა ჰყავს, ამასთან, ნაკლები ბუნებრივი რესურსები, თითქმის მუდმივი კონფლიქტები... მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქვს მყარი ბიუჯეტი, კარგად განვითარებული ინდუსტრია. ვფიქრობ, ამ ქვეყანაში არსებული პოტენციალი და გამოცდილება საქართველოს მხრიდან შეიძლება ისე იქნას გამოყენებული, რომ ეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს.

- ჩვენთვის მტკივნეულ პოლიტიკურ თემებზე თუ იყო საუბარი?

- ჩვენ ასეთ თემებზე ნებისმიერი ოფიციალური ვიზიტის დროს ვსაუბრობთ. კონკრეტულად - უსაფრთხოების, ეთნოკონფლიქტების საკითხზე, იმ მხარდაჭერის შესახებ, რაც შეიძლება ამ სახელმწიფოსაგან მივიღოთ. ისრაელის მხარდაჭერა კი, როგორც საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნისა, პოლიტიკური ასპექტით მართლაც მნიშვნელოვანია. შესაძლებელია გამოცდილების გაზიარება თუნდაც სამხედროთა სწავლების თვალსაზრისით, ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ. გარდა ამისა, არც თუ ცოტა ხნის წინ, ისრაელში კორუფციის საკმაოდ მაღალი დონე იყო. აქ სერიოზული რეფორმები გატარდა, განსაკუთრებით - სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებში, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ბიუჯეტის განმტკიცებას, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლას. აღარ ვლაპარაკობ კულტურულ სფეროში გაცვლის შესახებ. ყოველივე ამას პარლამენტის თავმჯდომარე რივლინი მხურვალედ გამოეხმაურა.

ისრაელის ქნესეტში, რომელიც სულ რამდენიმე თვის არჩეულია, შექმნილია საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი. იგი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებითაა დაინტერესებული. საქართველოში არსებულ ვითარებას ისრაელში კარგად იცნობენ. მაგარამ საჭიროა ხშირი კონტაქტები, რადგან მათ საკუთარი პრობლემები საკმარისად აქვთ და დროდადრო თავის შეხსენებაა საჭირო.

საერთოდ, სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ ვიზიტებს საზღვარგარეთ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და მისი პრობლემები, შესაძლოა, მსოფლიოს სხვა ქვეყნების, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სერიოზულ პრობლემებად არ აღიქმებოდეს.

მოხარული ვარ, რომ ეს ვიზიტი შედგა. ვიყავი ამკელონში, სადაც დიდი ქართულ-ებრაული დიასპორაა, მათი წარმომადგენელია ქალაქის მერი შაბთაი ცური. ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც არ არიან საქართველოში დაბადებულები, ისეთი სითბოთი საუბრობენ საქართველოზე, გაგიკვირდებათ. ამას ჩვენი მხრიდან დიდი ხელშეწყობა სჭირდება, რადგან საქართველოს, როგორც ისრაელისადმი მეგობრული სახელმწიფოს აღქმაში დიასპორას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

- როგორც წესი, ჩვენი ბიუჯეტი ხშირი ვიზიტების საშუალებას არ იძლევა...

- გეთანხმებით. ამიტომ, საამისოდ არსებული თანხები მაქსიმალურად ოპტიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. არის თუ არა ჩვენთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა, ბოლოს და ბოლოს?

- წინასაარჩევნოდ არსებულ სიტუაციაზეც თუ ისაუბრეთ არიელ შარონთან, სხვა ოფიციალურ პირებთან?

- არა, ამ თემაზე მაინცდამაინც არ მისაუბრია. მართალია, იყო გარკვეული ინტერესი – რა შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა საქართველოში, მაგრამ, ეს მაინც არ იყო შეხვედრების ძირითადი თემა.

- აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით რაიმე შემოთავაზება ხომ არ ყოფილა? თუნდაც, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადასაწყვეტად შემუშავებული რეკომენდაციების, "საგზაო რუკის" ფარგლებში?

- თავად აქ, "საგზაო რუკასთან" დაკავშირებით აზრი არაერთგვაროვანია. არიან ადამიანები, ვისაც სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს და არიან პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ისეთებიც, ვინც დიდ იმედებს ამყარებს ამ რეკომენდაციებზე - პრობლემის გადაჭრის ინიციატივაზე, რომელიც "საგზაო რუკაში" აშშ-ს, ევროკავშირის, რუსეთისა და ისრაელის ერთდროულ ჩართვას გულისხმობს. აფხაზეთის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემა – ამერიკა, რუსეთი და საქართველო.

„ახლების" წინასაარჩევნო მზადება

დღეს "ახალი მემარჯვენეები" წინასაარჩევნო კამპანიას ოფიციალურად გახსნიან. ეს პარტიის მეორე ყრილობაზე მოხდება, რომელიც ოპერის თეატრში გაიმართება. როგორც ამბობენ, ყრილობა საკმაოდ არაორდინარულად წარიმართება და სიურპრიზებით გაჯერებული იქნება.

ჩვენი ინფორმაციით, ყრილობაზე სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიწვეულები არ იქნებიან. "ახლების" შეკრებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები და ჟურნალისტები დაესწრებიან. ხვალვე პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ვინაობა გაირკვევა და სავარაუდოდ, იგი დავით გამყრელიძე იქნება.

ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის შექმნის პერსპექტივა, ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი იდეის გარშემო პოტენციურმა მოკავშირეებმა გაერთიანება მაინც შეძლეს – ეს საარჩევნო კოდექსის შეცვლის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარიტეტული საწყისით დაკომპლექტებისა და მაქსიმალურად ობიექტური არჩევნებისთვის ბრძოლაა. თუმცა ისიც ცხადია, რომ ოპოზიციური პარტიებისთვის ბლოკის შექმნის პერსპექტივაც არანაკლებ აქტუალურია.

რამდენიმე ხნის წინ "ახლების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარტია, ალბათ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. ამის მიუხედავად, სხვა ოპოზიციონერები მაინც აცხადებენ, რომ კონსულტაციები ერთიანი ბლოკის შექმნის თაობაზე კვლავ გრძელდება. ეს ინფორმაცია "24 საათს" "გაერთიანებული დემოკრატების" გენერალურმა მდივანმა გიორგი გაბაშვილმაც დაუდასტურა.

კონსულტაციების პარალელურად, ყველა ოპოზიციური პარტია საკუთარ რიგებში უკვე სრულ მობილიზაციას აცხადებს და არჩევნებისთვის ემზადება. "ახალი მემარჯვენეებისთვის", რომლებმაც ადგილობრივი არჩევნების დროს, საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს და ქვეყნის რამდენიმე მსხვილ ქალაქს თითქმის სრულად დაეპატრონენ (მაგალითად, ქუთაისი, გორი და ა.შ.) რეგიონებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შერჩევა და ადგილობრივი ორგანიზაციების მობილიზება განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა აშკარაა, რომ სახელისუფლებო ბლოკი საარჩევნო ხმებისთვის ყველაზე გააფთრებით სნორედ მაჟორიტარების ადგილებისთვის იბრძოლებს. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, "სადამსჯელო მანქანა" ხელისუფლებამ ყველაზე წარმატებით სწორედ დაქსაქსული ოპოზიცური პარტიების წინააღმდეგ გამოიყენოს.

24 საათი

ახალგაზრდა „ახლები" - ყველაფერი არჩევნებისათვის!

ლენა მიქაძე

გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში პარტიის უფროსი წევრები უმცროსებს სიყვარულს ეფიცებოდნენ და პარტიის ძლიერებაზე საუბრობდნენ, ახალგაზრდა "მემარჯვენეების" სახეებზე ინტელექტს ამჩნევდნენ და მათთვის პარტიის ლიდერების ადგილებიც არ ენანებოდათ...

პარტიის მეორე ყრილობამდე "ახალმა მემარჯვენეებმა" თავისი ახალგაზრდული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია ჩაატარეს და ახალგაზრდები საბრძოლველად დარაზმეს. საბრძოლო მზადყოფნა "მემარჯვენეთა" არმიის ახალგაზრდულ ნაწილში, ბუნებრივია, წინასაარჩევნოდ არის გამოცხადებული: **"არჩევნები ბრძოლაა, შედეგი კი - ან გამარჯვება, ან დამარცხება. დამარცხების სურვილი ჩვენ აშკარად არ გვაქვს."**

საბოლოო მიზნად არჩევნებში გამარჯვებას მხოლოდ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის წევრი მამუკა კაციტაძე როდი უსახავდა ახალგაზრდა თაობას. **"ადრე იყო ლოზუნგი - ყველაფერი ფრონტისათვის! ახლა ეს ლოზუნგი შეიძლება ახლით შეიცვალოს - ყველაფერი არჩევნებისათვის!" -** ასეთი სულისკვეთებით უკვე თავად ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიძე იყო გაჟღენთილი. ძველი, საბჭოური პერიოდიდან აღებული ტერმინები და გამოცდილება ამ გამომსვლელის სიტყვაში ერთმანეთს კარგად ერწყმოდა. შეხვედრაზე მარგარეტ ტეტჩერიც გაიხსენეს და უინსტონ ჩერჩილიც.

"როგორც ადრე იყო უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული უჯრედები, დაახლოებით, ისეთი სტილისა შეიქმნება ახლაც, ჩვენი პარტიის მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ. თუმცა, ასეთი პრაქტიკა მხოლოდ კომუნისტებს კი არ ჰქონდათ, საზღვარგარეთაც არსებობს. თუ საჭირო იქნება, ჩვენ ამ უჯრედების ფართისთვის იჯარის ფულსაც გადავიხდით და ტელეფონის ქირასაც," – მტკიცე რწმენას გამოთქვამდა გიორგი მოსიძე. თუმცა, მოსიძის მიერ წამოყენებულ ინიციატივას ცხელ კვალზე აღმოაჩნდა მოწინააღმდეგე, მამუკა კაციტაძის სახით: **"მთელი ჩემი ცხოვრება უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული უჯრედების არსებობის წინააღმდეგი ვიყავი, ახლაც ჩვენი მხარდამჭერების ასეთ წარმონაქმნად გაფორმების წინააღმდეგი ვარ. ეს პარტიის ხაზსაც შეცვლის და პარტიის სტრატეგიულ ხაზსაც. შესაძლოა, ეს ორგანიზაცია კლუბის სახით შეიქმნას."** მოსიძემ უმაღლეს სასწავლებელში შესაქმნელი სტუდენტური გაერთიანების გარდა, ასევე "მომავლის თაობაზეც" ისაუბრა. ამ ორგანიზაციაში მემარჯვენეობის იდეით გულანთებული 13-18 წლის თინეიჯერები გაერთიანდებიან. მოსიძის ჩანაფიქრით, პარტიის სრულუფლებიან წევრებად გახდომამდე ამ ბავშვებმა პარტიას სხვადასხვა საქმეში, შეიძლება, ცოტა ხელიც წაახმარონ, მაგალითად, პლაკატების გაკვრაში.

საერთოდ, "ახალი მემარჯვენეები" რომ ფინანსურად საკმაოდ წელგამართული პარტიაა, ცნობილი ფაქტია, მაგრამ გუშინდელი კონფერენციის დროს ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. მობილური ტელეფონების უქონელ სამხარეო კოორდინატორებს შეკრების შემდეგ ტელეფონების დარიგებას დაჰპირდნენ, უფრო ადრე - წარჩინებულ რაიონულ ორგანიზაციებს - პარტიის ლიდერებთან ერთად ექსკურსიების დაფინანსებას. საერთოდ, პარტიის ლიდერები ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილნი იყვნენ.

პარტიის თავმჯდომარემ ახალგაზრდული ძალებით ჩატარებული იმდენი ღონისძიება ჩამოთვალა, რომ ნებისმიერ ზრდასრულთა პარტიასაც შეშურდებოდა: მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობით დაწყებული, "ფოქს კიდსის" მატჩების ორგანიზებით დამთავრებული.

მონაწილეებს, პარტიის დებულებისა და წესდების გარდა, მემარჯვენეების ემბლემიანი ალმები და მაისურებიც დაურიგდათ.

"სულ ორი წლის წინ შექმნილმა პარტიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას, მთელი საქართველოს მასშტაბით მოიპოვა გამარჯვება. ქუთაისიში, გორში და კიდევ სხვაგან. ჩვენმა ათკაციანმა ფრაქციამ ბოლო დაუდო საქართველოში ერთპარტიული სისტემის არსებობას, რაც იყო "მოქალაქეთა კავშირის" არსებობის პერიოდში. ჩვენი ინიციატივით მიიღო პარლამენტმა დადგენილება ნატო-სთან დაახლოების თაობაზე. ჩვენი პარტია ყველაზე მეტად პოპულარული პარტიაა საქართველოში ახალგაზრდებს შორის. მას მხარს უჭერს ყველაზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი, ხალხი, ვისაც აქვს საშუალო და მაღალი შემოსავალი... ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ახალგაზრდებს ჰქონდეთ განათლება და კარგი შემოსავალი", - პარტიის ლიდერის, დავით გამყრელიძის ამ დასკვნით სიტყვას დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

სოჭის შეთანხმებების რეალიზება უკუღმა იწყება

პირველი გვერდიდან

ეს დისკუსია არანაირ კონკრეტულ გეგმას არ გულისხმობდა, უბრალოდ, განიხილებოდა ვარიანტები, თუ რა საშუალებით შეიძლება აღდგეს სარკინიგზო მაგისტრალი.

საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის გარდა, ამ მაგისტრალის აღდგენით დაინტერესებულია სომხეთიც. რკინიგზის აღდგენა, ექსპერტთა შეფასებით, 40 მილიონი ჯდება, ამ თანხაში ენგურის ხიდის აღდგენაც შედის და, სავარაუდოდ, თანხასაც დაინტერესებული მხარეები - რუსეთი და სომხეთი გადაიხდიან. რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას, გია ნიჟარაძის განცხადებით, დაფინანსებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. "**ეს არის, უბარლოდ, ვიზუალური განხილვა, ჯერ ძალიან ადრეა დაფინანსებაზე საუბარი,**" - ამბობს ნიჟარაძე. მისი თქმით, შედგება მუშა ჯგუფი ქართველი, რუსი და აფხაზი სპეციალისტების შემადგენლობით, "**მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული იქნება უსაფრთხოება. დანარჩენს, რაც ტრანსპორტის სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ყველაფერს გავაკეთებთ,**" - აცხადებს ნიჟარაძე.

ლევან ხარხელაურის ფოტო

გია ნიჟარაძე: "რაც ტრანსპორტის სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ყველაფერს გავაკეთებთ".

გუშინ ხელი მოეწერა სამუშაო ოქმს. ორი კვირის განმავლობაში რუსული და ქართული მხარეები გაცვლიან დოკუმენტებს, თუ რა სპეციალისტებით იქნება დაკომპლექტებული მუშა ჯგუფი. საქართველოს მოთხოვნით, დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთვება გაერო-ს წარმომადგენლობა საქართველოში, "**და ამის შემდეგ, უსაფრთხოების გარანტიებს დაველოდებით,**" - განაცხადა ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ. სავარაუდოდ, შემდეგი შეხვედრა ივლისში შედგება.

რუსეთის საგზაო მიმოსვლათა მინისტრის მოადგილემ ვლადიმირ საზონოვმა, ფაქტობრივად, იგივე კომენტარი გააკეთა. "**საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის გარდა, ამ პროცესში არავის ჩართვა არ იქნება საჭირო,**" - აცხადებს საზონოვი. ის გამორიცხავს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის – სომხეთის ამ პროცესში ჩართვას. რაც შეეხება დაფინანსებას, საზონოვის ინფორმაციით, ყველა ქვეყანა თავის მუშახელს დააფინანსებს.

მიმდინარე პროცესებს აკრიტიკებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. "24 საათთან" კომენტარში იგი აღნიშნავს, რომ მისთვის ეს პროცესები მიუღებელია. ჯერ უნდა შესრულდეს პირველი ორი პუნქტი და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კომუნიკაციების და, მათ შორის, რკინიგზის აღდგენა. "**ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები რკინიგზის აღდგენაზე, როცა არ აბრუნებენ ლტოლვილებს და არ არის მიღებული აფხაზეთის სტატუსი,**" - აცხადებს ნადარეიშვილი. მისი მოთხოვნით, მოლაპარაკება, პირველ რიგში, დევნილთა დაბრუნებაზე უნდა მიმდინარეობდეს და არა რკინიგზის აღდგენაზე.

დახურული თათბირი კანცელარიაში

სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გვიან ღამემდე თათბირობდნენ. ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი ბლოკის დანარჩენი წარმომადგენლები კანცელარიაში თითქმის უკლებლივ გამოცხადნენ: ლევან მამალაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ომარ გოგიაშვილი, ირინა სარიშვილი და სხვები. გამონაკლისი, "სოციალისტების" ფრაქციის ლიდერი ირაკლი მინდელი იყო, რომელსაც ბათუმიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე ავტომანქანა გაუფუჭდა.

პრეზიდენტთან სათათბიროდ შესვლამდე, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ შეკრების მიზეზი რამდენიმე საკმაოდ უწყინარი თემა იყო. ზოგი საარჩევნო კოდექსს ასახელებდა, ზოგი საპარლამენტო ოპოზიციასთან მოლაპარაკებასა და კომპრომისს, ზოგიც სოციალურ თემებს, კონკრეტულად კი გაყინული საპენსიო დავალიანების დაფარვას. უნდა განეხილათ ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზების თემაც. ფაქტია, რომ საღამოს შვიდ საათზე დაწყებული უწყინარი თემების განხილვა ღამის თორმეტი საათისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. სხდომიდან ნაადრევად გამოსულმა ირინა სარიშვილმა და ირაკლი გოგავამ კომენტარებისაგან თავი შეიკავეს. საკმაოდ ზერელე განმარტებებიდან გაირკვა, რომ კანცელარიაში მისული პარტიების წარმომადგენლები რამდენიმე საათის განმავლობაში არჩევნების ჩატარების მექანიზმებზე იმტვრევდნენ თავს. გაირკვა ისიც, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორ ლევან მამალაძეს საკმაოდ წარმატებული სოლო გამოსვლა ჰქონდა, ამომრჩეველთა რეგისტრაციის კომპიუტერიზაციის თემაზე. საამისოდ მან, დამსწრეთა შეფასებით, დეტალური გეგმა წარმოადგინა.

24 საათი

საქართველოსგან ზურგშექცეული ევროსაბჭო ნაწყენია

"**ევროსაბჭო დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს. სომხეთში ჩატარებული არჩევნების სავალალო გამოცდილება არ უნდა განმეორდეს, სომხეთის არჩევნები გახდა გაკვეთილი ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის. მივმართავ საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას, როგორც სამთავრობო ბლოკს, ასევე ოპოზიციასაც. ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო საშუალება, რათა საქართველოში ჩატარდეს ღირსეული, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები,**" –ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ასეთი კომენტარი გაუკეთა საქართველოში დანიშნულ ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს.

შვიმერმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, რომ შეიქმნას ყველა საჭირო პირობა არჩევნების გასაშუქებლად მივლენილი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მუშაობისთვის.

გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის არჩევნების ჩატარება არ წარმოადგენს მხოლოდ საშინაო საქმეს.

ვალტერ შვიმერმა ასევე გამოხატა შეშფოთება იმის გამო, რომ აზერბაიჯანის ციხეებში დღემდე არიან პოლიტპატიმრები.

მონიტორინგის კომიტეტის სხდომის დამთავრების შემდეგ ევგენი კირილოვმა განაცხადა, რომ სომხეთის არჩევნებმა ევროსაბჭოს საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია. კირილოვის თქმით, ევროსაბჭომ ძალიან დიდი "ნდობის კრედიტი" გადასცა საქართველოს, როცა საკუთარ რიგებში მიიღო. "**სამწუხაროდ, საქართველომ არათუ გამოიყენა ეს "კრედიტი", არამედ ზურგიც კი აქცია,**" – აღნიშნა კირილოვმა.

ელენე თევდორაძის განცხადებით, კომიტეტის წევრთა ნაწილმა ეჭვი გამოთქვა, ღირს თუ არა ქართულ მხარესთან დიალოგის შემდგომი გაგრძელება. მანვე აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი გაკვირვება გამოიწვია სესიაზე ქართული დელეგაციის წევრის, სამთავრობო ბლოკის წარმომადგენლის არმაზ ახვლედიანის გამოუცხადებლობამ. "**ხელისუფლება ცდილობს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყველა ნეგატიურ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას გადააბაროს,**" – აღნიშნა თევდორაძემ.

თეთრი ლაქები საქართველოს რუკაზე

პირველი გვერდიდან

აუმოქმედებელი. მივესალმებით, რომ მოსკოვში ივლისის თვეში გაიმართება კონსულტაციები რუსეთ-საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რაც დიდი ხანია აღარ ჩატარებულა".

რუსი ჟურნალისტები ინტერესდებიან, მაინც რამდენი სამხედროა დღეს კონცენტრირებული რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საქართველოს მხრიდან? ელჩის თქმით, სამასი კაცია და მათი რიცხვი შეიძლება დღეიდან გაიზარდოს.

შეკითხვაზე, მაინც როდის იტყვის საქართველო უარს დასავლეთის ფინანსურ დახმარებაზე, ზურაბ აბაშიძე პასუხობს, "**როცა საქართველო ფეხზე დადგება**" და იქვე დასძენს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაამტკიცა სიღატაკის დაძლევის პროგრამა.

საქართველოს დასავლური ორიენტაციის გამო რუსეთის გაღიზიანებაზე საუბრისას ჩვენი ელჩი ამ შეკითხვის ავტორს ახსენებს, რომ სანკტ-პეტერბურგის იუბილეზე რუსეთს სხვა არაფერი დაუმტკიცებია, თუ არა დასავლური ღირებულებებისადმი მისწრაფება: "**რატომ უნდა იყოს იგივე საქართველოსათვის მიუღებელი, როცა ისტორიულად ჩვენ მუდამ ევროპული სახელმწიფო ვიყავით? ჩვენ ვერ ვხედავთ წინააღმდეგობებს რუსეთთან ჩვენი დასავლური ორიენტაციის გამო."**

იყო რეპლიკაც, რომელიც რუსეთიდან საქართველოში ფინანსების გადინებას შეეხებოდა. ელჩის ინფორმაციით, ბოლო ოთხი თვის მანძილზე აშშ-დან საქართველოში 6 მლნ 700 ათასი დოლარია გადარიცხული, მეორე ადგილზე რუსეთია, შემდეგ ევროპის ქვეყნები და ეს ფული გადამრიცხველთა პატიოსანი შრომითაა მოპოვებული.

„ჩვენი სპეციალური მონაცემებით იმ რეგიონებში, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ძირითადად სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, არის ტერორიზმისა და ნარკოვაჭრობის, ადამიანებით ვაჭრობის ფაქტები. ასეთი კერების აღმოსაფხვრელად ორი ქვეყნის სპეცსამსახურებმა უნდა ითანამშრომლონ," - დასკვნის მაგიერ განაცხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა და ამ კერებს საქართველოს რუკაზე არსებული თეთრი ლაქები უწოდა.

სოციოლოგიური გამოკითხვა

კვლევის მეთოდოლოგია: ■ მასობრივი გამოკითხვა 1000 რესპონდენტი; ■ გეოგრაფია: ქ. თბილისი; ■ შერჩევის ტიპი: კვოტური; ■ გამოკითხვის მეთოდი: „Face-to-face"; ■ ასაკი: 18+; ■ სტატისტიკური დამუშავება SPSS 10.0; ■ ანგარიში მოიცავს მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს, ანალიზის გარეშე; ■ პერიოდი: 05. 2003.

ანალიტიკური ცენტრი "ინტელექტსისტემები" (ISYSTEMS)

თქვენი აზრით, რატომ სურთ დეპუტატობა?

		სქესი		ასაკი					განათლება				შემოსავალი			
		კაცი	ქალი	18 - 24	25 - 34	35 - 44	45 - 54	55 +	არასრული საშუალო	საშუალო	საშუალო სპეციალური	უმაღლესი	0 - 50	51 - 150	151 - 250	250+
	1000	457	543	138	200	241	173	248	152	264	361	223	233	240	232	226
ინფორმაციას მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა																
ეთანხმები	47,0	37,6	54,9	49,3	51,5	46,5	48,6	41,5	39,5	47,0	50,7	46,2	49,4	48,8	46,6	45,1
არ ეთანხმები	40,4	51,0	31,5	33,3	38,5	40,7	41,6	44,8	44,7	42,0	37,1	40,8	36,9	39,2	40,1	42,9
მიჭირს პასუხი	12,6	11,4	13,6	17,4	10,0	12,9	9,8	13,7	15,8	11,0	12,2	13,0	13,7	12,1	13,4	11,9
აუშვებს ხალხის პოლარიზებლად																
ეთანხმები	27,0	27,6	26,6	25,4	21,0	27,1	24,9	34,3	36,2	27,3	23,9	25,6	22,8	28,8	31,5	26,1
არ ეთანხმები	65,8	64,8	66,6	68,8	69,5	66,3	66,5	60,1	58,6	64,0	68,3	68,6	67,7	65,8	62,1	65,9
მიჭირს პასუხი	7,2	7,7	6,8	5,8	9,5	6,7	8,7	5,6	5,3	8,7	7,8	5,8	9,5	5,4	6,5	8,0
ეროვნული ბანკის ბაზე																
ეთანხმები	50,8	43,3	57,1	48,6	44,5	52,7	54,9	52,4	59,2	54,9	52,1	38,1	57,1	52,9	52,6	43,4
არ ეთანხმები	34,2	42,2	27,4	38,4	41,0	34,0	30,6	29,0	26,3	29,2	33,0	47,5	30,5	30,8	31,5	41,6
მიჭირს პასუხი	15,0	14,4	15,5	13,0	14,5	13,3	14,5	18,5	14,5	15,9	15,0	14,3	12,4	16,3	15,9	15,0
ინფორმაციის ეროვნება																
ეთანხმები	36,5	37,6	35,6	24,6	38,0	36,5	37,2	41,5	34,9	32,6	38,1	39,9	30,0	39,3	38,4	42,0
არ ეთანხმები	43,8	41,1	46,1	52,9	45,5	44,4	45,3	35,9	34,9	47,7	45,3	43,0	49,4	41,8	42,2	39,8
მიჭირს პასუხი	19,6	21,2	18,3	22,5	16,5	19,1	17,4	22,6	30,3	19,7	16,7	17,0	20,6	18,8	19,4	18,1
შემოსავლის ზრდის ფაქტორი																
ეთანხმები	47,1	40,7	52,6	44,9	44,0	45,8	50,9	49,6	48,7	48,3	51,8	37,2	44,2	54,8	48,7	42,9
არ ეთანხმები	22,8	26,3	19,9	26,8	18,0	26,7	20,8	22,2	21,7	22,4	21,3	26,5	23,2	18,8	22,8	25,7
მიჭირს პასუხი	30,0	33,0	27,5	28,3	38,0	27,5	28,3	28,2	29,6	29,3	26,9	36,3	32,6	26,4	28,4	31,4
პროფესიონალური ზრდის ბაზე																
ეთანხმები	53,7	50,3	56,5	50,7	52,0	50,6	60,7	54,8	53,9	54,2	57,3	47,1	54,5	56,3	49,6	54,9
არ ეთანხმები	24,5	26,9	22,5	26,1	26,0	27,0	22,0	21,8	19,7	25,4	23,5	28,3	23,6	20,0	29,7	24,8
მიჭირს პასუხი	21,8	22,8	21,0	23,2	22,0	22,4	17,3	23,4	26,3	20,5	19,1	24,7	21,9	23,8	20,7	20,4
საქმიანი ინფორმაციის																
ეთანხმები	45,5	44,6	46,3	34,8	39,0	52,7	47,4	48,6	44,7	44,7	49,3	41,0	47,0	45,8	50,0	44,2
არ ეთანხმები	25,6	28,7	23,1	37,0	32,5	20,3	23,7	20,2	21,1	26,5	22,2	33,3	24,6	26,3	22,0	27,9
მიჭირს პასუხი	28,8	26,7	30,6	28,3	28,5	27,0	28,9	31,2	34,2	28,8	28,5	25,7	28,4	27,9	28,0	27,9
პოლიტიკის ბაზე																
ეთანხმები	93,9	95,0	93,0	95,7	93,5	95,0	90,8	94,4	93,4	93,6	93,9	94,6	93,1	92,9	95,3	93,4
არ ეთანხმები	2,9	2,6	3,1	2,9	4,0	1,7	4,6	2,0	2,0	4,2	3,0	1,8	3,4	2,9	2,6	3,5
მიჭირს პასუხი	3,2	2,4	3,9	1,4	2,5	3,3	4,6	3,6	4,6	2,3	3,0	3,6	3,4	4,2	2,2	3,1



როგორ აფასებთ თქვენი საარჩევნო ოლქიდან არჩეული ამჟამინდელი დეპუტატის მუშაობას?

		სქესი		ასაკი					განათლება			
		კაცი	ქალი	18 - 24	25 - 34	35 - 44	45 - 54	55 +	არასრული საშუალო	საშუალო	საშუალო სპეციალური	უმაღლესი
	100%	46%	54%	14%	20%	24%	17%	25%	15%	26%	36%	23%
კარგად მუშაობს	12,3	12,9	11,8	13,8	15,0	16,2	11,0	6,5	5,5	17,8	10,5	13,5
საშუალოდ მუშაობს	49,5	51,4	47,9	39,1	50,0	44,4	53,2	57,3	50,7	46,6	50,4	50,7
ვერ შეფასებენ რადგან არიან არ იცოდნენ	10,5	11,2	9,9	10,9	12,0	12,4	13,6	6,5	9,9	7,6	12,5	11,2
ვერ შეფასებენ რადგან არიან ეროვნული ბანკი მუშაობს შესახებ	21,1	18,8	23,0	27,5	17,0	18,9	18,1	23,4	24,3	20,5	21,1	19,7
მიჭირს პასუხი	6,6	5,7	7,4	8,7	6,0	7,1	5,2	6,5	9,9	7,6	5,5	4,9

საქართველოს საბანკო სისტემაში უძაღლდო ტექნოლოგია დაინერგება

საქართველოს საბანკო სისტემაში უძაღლდო ტექნოლოგია ინერგება, რისთვისაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უკვე შეიმუშავა დებულებები საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობისა და დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ. უძაღლადო ტექნოლოგიის დანერგვა დააჩქარებს ქვეყანაში ბანკთაშორის გადარიცხვებს, აამაღლებს მომსახურების ხარისხს და გაუმჯობესებს საბანკო სერვისს. დებულება საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ არეგულირებს საგადამხდელო ურთიერთობის სუბიექტებს შორის ბიზნესსაქმიანობის პროცესებს ელექტრონული ტექნოლოგიური სისტემებით მომსახურებისას. დებულება ასევე მოიცავს მუხლებს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის, ელექტრონული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების თაობაზე და სხვა. აქვე მოყვანილია სისტემის ორგანიზატორის ვალდებულებები, რომელსაც ეკრძალება ოპერაციების შესრულება შემოწმებისა და კონტროლის პროცედურების გარეშე. დებულებების ძალაში შესვლისთანავე ანგარიშსწორება უძაღლადო ტექნოლოგიაზე გადავა.

მედია-ნიუსი

მოკლედ

თბილისი. ს/ს „თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის“ რეაბილიტაციისათვის სახელწმიფო ბიუჯეტში გაწერილ 4,2 მლნ. ლარს ს/ს „ინჟმშენი“ აითვისებს. კომპანიასთან კონტრაქტი 10 დღეში გაფორმდება და სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ამ ვადაში დაიწყება. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მონაცემებით, „ინჟმშენი“ მზადაა, 900 ათასი ლარი ავანსის სახით წინასწარ გამოყოს. კომპანია სარეაბილიტაციო სამუშაოების 120 დღეში დასრულების პირობას იძლევა და სამუშაოების დროს გამოიყენებს პოლიეთილენის მილებს. კონკურსში მონაწილეობის სურვილი თავდაპირველად 9 საინჟინრო კომპანიამ გამოთქვა, რომელთაგან ერთი - „თბილგაზის“ საავარიო სამსახური, კონკურსს გასულ კვირასვე გამოაკლდა. თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის სრულ რეაბილიტაციას 150 მლნ. დოლარზე მეტი სჭირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ანალიზის ქიმიურ-ფიზიკური მეთოდების განყოფილების გამგე, ჰიდროქიმიკოსი ვახტანგ გვახარია თბილისისა და რუსთავის სასმელი წყლით მომმარაგებელი მიწისქვეშა წყალსაცავების ტენდერთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ვახტანგ გვახარიას თქმით, გარემოს დაცვის სამინისტრომ ტენდერი მიწისქვეშა წყლების საძიებო სამუშაოებზე გამოაცხადა და არა მის მოპოვებასა და გამოყენებაზე. მიწისქვეშა წყალსაცავებში წყლის მარაგი 60-იან წლებში იქნა გამოკვლეული და მას შემდეგ კვლევა-ძიება არ ჩატარებულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა განიხილა თურქეთისა და ბრიტანეთის ავიაკომპანიებისთვის ფრენის ლიცენზიების შეჩერების საკითხი და პარლამენტს მისი ხელახალი განხილვა სთხოვა, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას კი მიმართა ამ კომპანიებისთვის ფრენის დროებითი ნებართვის აღდგენის რეკომენდაციით. აღნიშნული საკითხი ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა აშშ-ის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობის საჩივრის საფუძველზე განიხილა. სასამსახურის დასკვნა ოფიციალურად ეცნობა საქართველოს პერზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში მუშაობის ვადა ამოეწურა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს თევფიკ იაპრაკს, რომელიც გუშინ გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ეწვია საქართველოს პრეზიდენტს. როგორც შეხვედრაზე ითქვა, იაპრაკი თბილისიდან ახლო მომავალში გაემგზავრება, მაგრამ, ჯერჯერობით, მისი შემცვლელის კანდიდატურა შერჩეული არ არის. იაპრაკმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკი საქართველოდან არსად წასვლას არ აპირებს. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა თევფიკ იაპრაკს საქართველოში საქმიანობისათვის და მადლიერების ნიშნად გუდიაშვილის ნახატი აჩუქა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. თურქმა ინჟინრებმა დაასრულეს მუშაობა ყარსი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის წინასწარ პროექტზე. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა ბინალი იილდირიმმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ რკინიგზა უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანასა და ტვირთების გადაზიდვას თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის; ასევე მას მიუერთდება მაგისტრალები, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მიდის. "რკინიგზის დიდი ნაწილი საქართველოზე გაივლის," - აღნიშნა მან. მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობამ, ჯერჯერობით, ამ პროგრამის რეალიზებისათვის სათანადო დაფინანსების მოძიება ვერ შეძლო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საზოგადოებრივი ინვესტირების პროექტის ფარგლებში გარდაბნის რაიონის რამდენიმე სოფელმა უკვე განსაზღვრა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელთაც პროექტის კოორდინატორი „მერსი ქორპი“ განახორციელებს და რომელსაც BTCco-მ 2,5 მლნ. დოლარი გამოუყო. საზოგადოებრივი ინვესტირების პროექტი გარდაბნის რაიონის 13 სოფელში განხორციელდება. სოფლებმა პრიორიტეტი მიანიჭეს სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციას და გაზიფიცირებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის 23 რესტორანი მონაწილეობას მიიღებს კონკურსში „ეროვნული სუფრის მადლი“, რომელიც დღეს პირველად გაიმართება. კონკურს-დეგუსტაციაზე რესტორნები მინერალურ წყლებს, უალკოჰოლო სასმელებსა და ლუდს წარმოადგენენ. წინასაკონკურსო პერიოდში ჟიურიმ თბილისის 110 ბარ-რესტორანი დაათვალიერა და "კონკურსანტი" რესტორნები 10-ბალიანი შეფასების სისტემით სხვადასხვა თვალსაზრისით (დიზაინი, სამზარეულო, მუსიკა, მომსახურება) შეაფასა. კონკურსის ინიციატორები არიან: თბილისის მერია, გორდელის სახელობის სალონი-მუზეუმი „შემოქმედება“, სადაზღვევო კომპანია „ჰელიოსი“ და შპს „ოქროს ხვანჭკარა“. დაჯილდოების ცერემონია 28 ივნისს, თბილისის მერიაში გაიმართება. დღეს კი ჟიურის წევრებმა წინასაკონკურსოდ შერჩეული 23 რესტორნიდან ექვსი გამარჯვებული უნდა გამოავლინონ. კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდება კოსტავას ქუჩაზე მდებარე „ყავის სახლში“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ღირსების ორდენებით დააჯილდოვა ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „კანარგოს“ პრეზიდენტი დევიდ რობსონი და კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი რასელ ჰამონდი. „კანარგო“ საქართველოს ნავთობმომპოვებელ სექტორში რამდენიმე წელია საქმიანობს. იგი, ძირითადად, კახეთის სექტორში მუშაობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში დასრულდა ღვინოების ყველაზე ავტორიტეტული ბაზრობა VINEXPO, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა. გამოფენა-ბაზრობის საზეიმო გახსნის საპატიო მისია ერგო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ჟან-პიერ რაფარენს. ბორდოში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა მეღვინეობის სფეროში ყველაზე ავტორიტეტული ბაზრობა და იქ მოხვედრა საკმაოდ ძნელია. ბაზრობაზე მონაწილეობდა 140 ქვეყნის 50 ათასამდე სპეციალისტი, მაგრამ მხოლოდ 40 ქვეყანას (მათ შორის – საქართველოს) მიეცა საშუალება წარედგინა საკუთარი პროდუქცია. გამოფენა-ბაზრობის მუშაობაში მონაწილეობდა გაერთიანება სამტრესტის ხელმძღვანელი ვაჟა მამაიშვილი. **მედია-ნიუსი**

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 26 ივნისისთვის

მილიონ ლარებში

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	25 იენისი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	529.80	405.85	77%	3.61
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	385.09	290.31	75%	2.66
საგადასახადო შემოსავლები	310.64	250.54	81%	2.43
სოციალური ფონდი	116.81	98.29	84%	0.82
საგზაო ფონდი	24.05	17.46	73%	0.13
დეფიციტის დაფინანსება	118.66	89.12	75%	0.35

სპს "დამენია, პარშალოვიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
მთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს:
- სამეწარმეო და საფინანსო სამართალში
- ინტელექტუალური საკუთრების სამართალში
- საგადასახადო სამართალში
- საერთაშორისო კერძო სამართალში
- საიუტორო უფლებების სამართალში
- წარმომადგენლობას სასამართლოსა და არბიტრაჟში
- ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების მომზადებაში
- ინვესტიციებისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებში
- საბანკო საქმეში
სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისთვის დაკავშირებულ საკითხებში
ტელ: +995 32 552151
ფაქსი: +995 32 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

„მეწარმეობა სახელმწიფოს ფუნქცია არ არის“

სოფიკო ოხანაშვილი

ვაჟა კაპანაძეს პრივატიზებიდან 41 მილიონის მიღების იმედი აქვს.

ალბერ ბესელიანი. ფოტო

გუშინ ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარემ ვაჟა კაპანაძემ პირველი პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც სააგენტოს ერთთვიანი მუშაობის შედეგები გააცნო საზოგადოებას.

მისი განმარტებით, სააგენტოს მიზნებია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სახელმწიფოსათვის განკუთვნილი დივიდენდების ზრდის ხელშეწყობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა თუ აქციების მართვის კოორდინაცია და სრულყოფა, საწარმოთა ლიკვიდურობის დონის ამაღლება და პრივატიზების პროცესის მაქსიმალური დაჩქარების ხელშეწყობა. დღეს სააგენტოს მართვაშია 1800 საწარმო. აქედან 400-მდე საწარმო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ არის დაფუძნებული, 1400 – ყოფილი ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ, ხოლო დანარჩენი - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა დააფუძნეს.

ვაჟა კაპანაძის განცხადებით, სააგენტო დააჩქარებს საწარმოების პრივატიზების პროცესს. მისი თქმით, ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები. სააგენტოს თავმჯდომარის ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის სააგენტომ ოფიციალური განცხადებით უკვე მიმართა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 43 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს პრივატიზების ნუსხაში შეტანის, 20 საწარმოს პრივატიზაციის დაჩქარებისა და და 17 საწარმოს სალიკვიდაციოდ მომზადების შესახებ.

მსხვილი საწარმოებიდან უახლოეს მომავალში გაიყიდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ს/ს „მადნეულის“ აქციათა საკონტროლო პაკეტები. **„ჩვენ ვამზადებთ საწარმოებს პრივატიზებისთვის. საწარმოები, რომლებსაც სახელმწიფოსთვის სარგებელი არ მოაქვთ და წამგებიანია, უნდა გაიყიდოს. სახელმწიფოს ფუნქცია მეწარმეობა არ არის. ეს კერძო სექტორის პრეროგატივაა. ჩვენი ფუნქციაა, ხელი შევუწყოთ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას და ინვესტიციების მოზიდვისას ინვესტორებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას“,** - განაცხადა კაპანაძემ. მისივე თქმით, წინასწარი მონაცემებით, საწარმოთა 60-70 პროცენტის ბალანსი უარყოფითია და ეს საწარმოები ზარალით მუშაობენ. კაპანაძის განცხადებით, მართვის გაუმჯობესების მიზნით ასევე იგეგმება საწარმოთა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობის გადახედვა და იმ პირთა გათავისუფლება, რომლებიც მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებენ.

საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარე, პრივატიზაციის გეგმის ამბიციურობის მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ ეს მაჩვენებლი წლის ბოლომდე აუცილებლად შესრულდება. კაპანაძის თქმით, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარებს. თუმცა, ოფიციალური მონაცემები არ იძლევა ოპტიმისტური განწყობის საშუალებას: 24 ივნისის მონაცემებით, პრივატიზებიდან ამოღებულია მხოლოდ 4,39 მილიონი ლარი, რაც წლის გეგმის (41,5 მილიონ ლარი) 11 პროცენტს, ხოლო ექვსი თვის გეგმის (9,51 მილიონი ლარი) - 46 პროცენტს შეადგენს.

სააგენტო ახალი კადრებითაა დაკომპლექტებული. კონკურსი საწარმოთა მართვის სააგენტოში 63 ვაკანტურ თანამდებობაზე 14 ივნისს გაიმართა. კონკურსი გაიარა 200 პირმა, აქედან 116 კონკურსანტმა დადებითი შეფასება მიიღო. შერჩეულ თანამშრომლებს თანამდებობის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი - სამთვიანი საცდელი პერიოდის გავლა მოუწევთ.

წესრიგი ენერგეტიკაში ხელისუფლებას ხელს არ აძლევს

ნინო ნარჩემაშვილი

ქართულ ენერგოსექტორში უზარმაზარი თანხები ტრიალებს. ამიტომაც ბრძოლა მისი დაპატრონებისათვის ფარულად კი არა, უკვე აშკარად მიდის.

პაატა ვარდოსანიძე: ელექტროენერგია "მარცხნივ" მიდის, ფული კი კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში ილექება.

გიორგი ბუსალიის. ფოტო

"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისა და სადისტრიბუციო კომპანიის განკარგულებით, 9 ივნისიდან ელექტროენერგიის მიწოდება საქართველის რაიონების 70 პროცენტს შეუწყდა. ამან მოსახლეობისა და ადგილობრივი მმართველების პროტესტი გამოიწვია, მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. "სინამდვილეში აღნიშნული 70 პროცენტისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც წესით შეჩერებული უნდა იყოს, მაინც ხორციელდება. დისპეტჩერები, ოფიციალურად, გამომუშავების ნულოვან კოეფიციენტს აფიქსირებენ. მაგრამ სიმძლავრეები ისევეა დატვირთული, როგორიც გათიშვებამდე იყო. შედეგად, უამრავი რაოდენობის ელექტროენერგია "მარცხნივ" მიდის, ფული კი კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში ილექება. ყოველივე ამას მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზებული დატაცება შეიძლება ვუწოდოთ, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, გამანაწილებელი კომპანიები და უშუალოდ მსხვილი გადამხდელები მონაწილეობენ," - აცხადებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პაატა ვარდოსანიძე. მისივე თქმით, მსგავსი განცხადებების საფუძველს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურისა და სემეკ-ის ერთობლივი შემოწმების შედეგები იძლევა, რომელმაც გამოააშკარავა, რომ აღრიცხვის სისტემაში სრული ქაოსი სუფევს, ადგილი აქვს უდიდესი რაოდენობის მრიცხველთა მაჩვენებლების გაყალბებას და ამ მიზნით შემუშავებულ გასაოცარ გამოგონებებს, თვითნებურ ქმედებებს. რაც მთავარია, აპრილის თვიდან დღემდე აღურიცხავი ანუ მოპარული ელექტროენერგიის რაოდენობამ 400 მილიონი კილოვატსაათი ე.ი დაახლოებით 30 მილიონი ლარი შეადგინა. დადგინდა ისიც, რომ, მაგალითისათვის, ორი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რომლის ოფიციალური ღირებულება 120 ათას ლარს უტოლდება, აღურიცხაობის შემთხვევაში მხოლოდ 20 ათას ლარად იყიდება. სამაგიეროდ, კონტროლს გარეთ დარჩენილი ელექტროენერგიიდან სხვადასხვა სტრუქტურებს გაუკონტროლებელი ფული რჩებათ.

პაატა ვარდოსანიძე აცხადებს, რომ სახელმწიფო ენერგოსისტემის მმართველი ირლანდიური კომპანიის - "ESBI"-ის ირლანდიელი ხელმძღვანელობა ფლობს ინფორმაციას მათ კომპანიაში მომუშავე ქართველი თანამშრომლების კავშირის შესახებ მიმდინარე უკანონო პროცესებთან. ბევრი თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს, დაინიშნა ახალი კადრები, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორდა. სამართალდამცველი სტრუქტურებიც დიდად არ რეაგირებენ აღნიშნულ ფაქტებზე. მასალები უკვე ოთხი თვეა, რესპუბლიკის პროკურატურას გადაეცა და სემეკ-მა მხოლოდ ორი კვირის წინ მიიღო არაფრის მთქმელი პასუხი, სადაც წერია, რომ საქმე ქალაქის პროკურატურას გადაეგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის დანაკარგები გასული წლების განმავლობაში საგრძნობლად მცირე იყო და მდგომარეობა სრული გამოსწორებისაკენ მიდიოდა. უკანასკნელი მონაცემები კი, უბრალოდ, კატასტროფულია- მოახლოებული არჩევნების წინ საჭირო გახდა დიდი ფული.

პაატა ვარდოსანიძე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მემორანდუმებში განსაზღვრულია ქვეყანაში დამოუკიდებელი, სახელმწიფოს ზენოლისაგან თავისუფალი ორგანოს არსებობა, რომელიც ტარიფების შესახებ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებს. სსფ-ის თებერვლის მემორანდუმში კი გაჩნდა ჩანაწერი – სახელმწიფომ უზრუნველყოს მარეგულირებელი ორგანოების ავტონომია და ეს უკვე მთავრობის მიმართ გაფრთხილებას ჰგავს.

ენერგეტიკა საქართველოში საშინლად პოლიტიზირებულია და არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ამ სფეროს მიმართ ინტერესი არ გააჩნია. სემეკ-ის მომხმარებელთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ელექტროენერგიის დატაცებების აღკვეთას დიდი თანხები არ სჭირდება. უბრალოდ, აუცილებელია ჩამოყალიბდეს კონტროლის შესაბამისი სისტემა და არსებობდეს მდგომარეობის გამოსწორების სურვილი.

P.S. მდგომარეობის გამოსწორება, როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ აწყობს. სხვაგვარად ვერ აიხსნება აღნიშნული მასშტაბის კრიმინალური ფაქტების მიმართ სახელმწიფო ორგანოების გულგრილი დამოკიდებულება.

შაჰ-დენიზის პროექტი საქართველოს არჩევანზე დამოკიდებული არ არის

სოფო კვინტრაძე

"თუ საქართველო შაჰ-დენიზის გაზს არ იყიდის, ეს პროექტის რენტაბელობაზე გავლენას ვერ მოახდენს. ასე რომ, საქართველოს შეუძლია თავისუფალად გააკეთოს არჩევანი აზერბაიჯანულ და რუსულ გაზს შორის," – აცხადებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის ხელმძღვანელი მაიკლ თაუნსენდი.

მაიკლ თაუნასენდი: თქვენს ქვეყანას შეუძლია თავისუფალად გააკეთოს არჩევანი აზერბაიჯანულ და რუსულ გაზს შორის.

ლევან ხეჩინაშვილის. ფოტო

აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა მაიკლ თაუნსენდმა ჟურნალისტებისათვის ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. კომპანია "ბი-თი-სი"-ს ხელმძღვანელი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ნავთობსადენის მშენებლობას ხელს არაფერი უშლის და იგი დაგეგმილ ვადებსა და ბიუჯეტში თავისუფლად ეტევა. როგორც ცნობილია, მილსადენში ნავთობმა 2004 წლის ბოლოს უნდა გაიაროს, ხოლო ამ გიგანტური პროექტის განხორციელება ბრიტანულ ნავთობგიგანტს - "ბი-პი"-ს სამი მილიარდი დოლარი უჯდება. აქედან ერთი მილიარდი უკვე დახარჯულია. საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობა საზეიმოდ დაიწყო 23 მაისს. ამჟამად, თითქმის მთელ მარშრუტზე სამშენებლო დერეფნის გათხრა მიმდინარეობს, ხოლო ორ თვეში უკვე მილების ჩაწყობა-შედუღება დაიწყება. მაიკლ თაუნსენდის თქმით, დღეში დაახლოებით ერთი კილომეტრის მილი ჩაიდება მიწაში, რაც სავსებით საკმარისია, რომ საქართველოს მონაკვეთის (ანუ 248 კილომეტრის) მშენებლობა მომავალი წლის ბოლოსთვის დასრულდეს.

თაუნსენდი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებისთანავე დაიწყება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა. "ბი-თი-სი კოს" ხელმძღვანელის განცხადებით, არიან ადამიანები, რომლებიც მილსადენის არსებობას მაშინაც კი არ დაიჯერებენ, როცა იგი რეალურად ამოქმედდება და ნავთობს გადაიტანს. თუმცა, ასეთი სკეპტიციზმი "ბი-პი"-ს ხელს არ უშლის, დაწყებული პროექტები განახორციელოს. თაუნსენდის თქმით, შაჰ-დენიზის პროექტს არც რუსული კომპანია "გაზპრომი"-ს საქართველოს ბაზარზე შემოსვლა შეუშლის ხელს. **"შაჰ-დენიზმა ბუნებრივი აირი თურქეთს უნდა მიაწოდოს; ამას გარდა, საქართველოსაც შეუძლია იყიდოს აზერბაიჯანული გაზი. მაგრამ თუ საქართველო შაჰ-დენიზის გაზს არ იყიდის, ეს პროექტის რენტაბელობაზე გავლენას ვერ მოახდენს. ასე რომ, თქვენს ქვეყანას შეუძლია თავისუფალად გააკეთოს არჩევანი აზერბაიჯანულ და რუსულ გაზს შორის,"** – აცხადებს მაიკლ თაუნსენდი. "ბი-პი"-ს წარმომადგენლის თქმით, საფრანგეთსა და მალაიზიაში უკვე დაიწყო გაზსადენისათვის საჭირო სპეციალური მოწყობილობების დამზადება.

"ბი-თი-სი კოს" ხელმძღვანელმა ჭორი უწოდა "აღორძინების" რუსთავის ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა, მშენებელი კომპანია "სპი პეტროფაკი" მუშახელისაგან ქრთამს იღებდეს. თაუნსენდის თქმით, ისინი განიხილავენ ნებისმიერ საჩივარს და პრეტენზიას მოსახლეობის მხრიდან, თუ იგი დოკუმენტურად დასაბუთებული იქნება.

მაიკლ თაუნსენდი აცხადებს, რომ ორივე პროექტი "ბი-პი"-სათვის ასი პროცენტით კომერციული მნიშვნელობისაა, ამიტომ კომპანია დაწყებულ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს და მასზე პოლიტიკური სიტუაცია გავლენას ვერ მოახდენს.

ტრანსატლანტიკური განხეთქილების მხოლოდ ერთი ვაშლი

პირველი გვერდიდან

განხეთქილების ვაშლი

მიუხედავად იმისა, რომ სამიტი ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამკვირვებლების განცხადებით, შეხვედრაზე გარკვეული დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. ეს კი ყველაზე კარგად, სწორედ იმ მომენტში გამოვლინდა, როდესაც დღის წესრიგის მიხედვით, მხარეებს გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების საკითხი უნდა განეხილათ. ევროკომისიამ გაღიზიანებული ტონით უარყო პრეზიდენტ ბუშის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, თითქოს გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებზე ევროკავშირის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი აფრიკის კონტინენტზე შიმშილის გაძლიერებას უწყობს ხელს. **"ბრალდება - თითქოს ჩვენ ბიოტექნოლოგიების და განვითარებადი ქვეყნების მოწინააღმდეგეები ვართ - სიმართლეს არ შეესაბამება. ის, რასაც აშშ აცხადებს, უბრალოდ სიცრუეა,"** - განაცხადა ევროკავშირის პრეს-მდივანმა. რაც შეეხება აფრიკელების შიმშილში ევროკავშირის დადანაშაულებას, ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემებით, ევროკავშირი აფრიკის ქვეყნების დასახმარებლად, დაახლოებით, შვიდჯერ მეტ თანხებს გამოყოფს, ვიდრე ვაშინგტონი.

რაც შეეხება გენეტიკურად მოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებს, ევროკავშირმა 1998 წლიდან მის იმპორტზე მორატორიუმი გამოაცხადა. ამის შედეგად, აშშ-დან ხორბლის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა და ამერიკელი ფერმერები ყოველწლიურად 300 მილიონ ამერიკულ დოლარს კარგავენ.

პრეზიდენტი ბუში და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონის სამიტზე.

REUTERS

სამიტზე პრეზიდენტმა ბუშმა ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპული პოზიცია მკვეთრად გააკრიტიკა. საბოლოოდ, შეხვედრის მონაწილეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და აშშ-მ განაცხადა, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების პრობლემას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას განსახილველად წარუდგენს.

სხვა საკითხები

სამიტის მონაწილეებმა ყურადღება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს და რეგიონში ბოლო დროს გამწვავებულ მდგომარეობასაც დაუთმეს. **"მშვიდობის ინტერესები "ჰამასის" ლიკვიდაციას მოითხოვს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა. მან აღნიშნა, რომ "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერის განცხადებაში, ცეცხლის შესაძლო შეწყვეტის შესახებ, ეჭვი ეპარება. **"ამას მაშინ დავიჯერებ, როცა ჩემი თვალით ვნახავ,"** - დასძინა აშშ-ს ლიდერმა. მან ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდა, აქტიურად ჩაერთონ "ჰამასის" ფინანსური არხების გადაკეტვის მიზნით განხორციელებულ ოპერაციებში. თავის მხრივ, ევროკავშირის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რადიკალურ დაჯგუფება "ჰამასს" სამხედრო ფრთის გარდა, პოლიტიკური განშტოებაც გააჩნია, რომელთანაც მოლაპარაკების წარმოება შესაძლებელია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მხარეებმა განიხილეს და გარკვეულ შეთანხმებასაც მიაღწიეს – მასობრივი განადგურების იარაღია. ევროკავშირიც და აშშ-ც მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებელი ქვეყნების წინააღმდეგ საერთო პოზიციაზე დგანან და კოორდინირებულად აპირებენ მუშაობას. **"აშშ და ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობენ ბირთვული იარაღის გავრცელების საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც ჩრდილოეთ კორეა და ირანი წარმოადგენენ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა. ის მიიჩნევს, რომ ირანმა საკუთარ ბირთვულ ამბიციებზე უარი უნდა თქვას. იმ შემთხვევაში, თუკი თეირანი ამას არ შეასრულებს, **"ჩვენ ამ საკითხზე ვიმუშავებთ,"** - განაცხადა ბუშმა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფეროებში, ევროკავშირსა და აშშ-ს, დაახლოებით, იდენტური პოზიციები გააჩნიათ. ერთადერთი, რაზეც ისინი ვერ თანხმდებიან, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების წარმოების და გავრცელების საკითხია. ყოველ შემთხვევაში, აშშ-ევროკავშირის სამიტი ასეთი შედეგებით დასრულდა.

ერაყში მსხვერპლის რიცხვი კიდევ გაიზარდა



სისხლის გუბე აფეთქების ადგილას.

REUTERS

გუშინ ერაყში კიდევ ერთი სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ბაღდადის გარეუბანში აშშ-ს არმიის სამხედრო ჯიპი ააფეთქეს. საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, თავდასხმა ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, ადგილობრივი დროით, დილის ცხრა საათზე მოხდა, რის შედეგადაც "ჰამერის" მძღოლი, 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მოსამსახურე დაიღუპა. თვითმხილველთა თქმით, აფეთქების ტალღამ მას სახე წააცალა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ სერიოზულად დაზიანდა შორიახლოს მოძრავი სამოქალაქო ავტომანქანაც, რომლის ერთი მგზავრი დაიღუპა, ხოლო მეორე საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. **"ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ეს ბომბის აფეთქება იყო. ჩვენთვის არავის უსვრია და ინციდენტის ადგილას აფეთქების შედეგად ორმო დარჩა,"** - განაცხადა 82- დივიზიის კაპიტანმა შონ მაკუილიამსმა. მისი თქმით, დეტონატორი გზაზე იყო დამონტაჟებული და ის დისტანციური მართვის პულტით აამოქმედეს.

ეს აფეთქება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ერაყში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ კიდევ შორია. გუშინ, კატარის არაბულენოვანმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ერაყში კოალიციის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო პარტიზანულმა შენაერთმა "მოჯაჰედ ალ-ტაიფ ალ-მანსურმა." ტელეკომპანიამ ამ ჯგუფის ხელმძღვანელთა აუდიოჩანაწერი გაავრცელა, რომლებიც ერაყელებს აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ამერიკულმა პარტიებმა ფულის შეგროვება დაიწყეს

ფულის შეჯიბრი დაიწყო. პრეზიდენტი ბუში და დემოკრატიული პარტიის ცხრა კანდიდატი ცდილობენ, წინასაპრეზიდენტო არჩევნებისათვის რაც შეიძლება მეტი ფული მოაგროვონ.

ფულის შეგროვების პირველი რაუნდი ივნისში მთავრდება. სავარაუდოდ, ამ დროისთვის პრეზიდენტი ბუში 20 მილიონი ამერიკული დოლარის მოგროვებას შეძლებს. დემოკრატიული პარტიის წამყვანი წევრები იმედოვნებენ, რომ თითოეული, დაახლოებით, 5 მილიონ დოლარს შეაგროვებს. სწორედ ფულის რაოდენობა იქნება იმის მაჩვენებელი, დემოკრატ კანდიდატთა შორის ვინ უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს.

რამდენიმე თვეში დემოკრატიულ პარტიას ერთი კანდიდატის გამორჩევა მოუწევს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში ამჟამინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს დაუპირისპირდება.

ექსპერტები ამბობენ, რომ პრეზიდენტი ბუში დღემდე არსებულ ყველა რეკორდს მოხსნის. თუმცა, არც დემოკრატები გამოიყურებიან ცუდად. ოთხშაბათს ღამით გამართულ ერთ წვეულებაზე დემოკრატების საბოლოო კანდიდატისათვის მათ 1.7 მილიონი ამერიკული დოლარი შეაგროვეს.

ვაშინგტონის გარეუბანში დემოკრატი ლიდერები, პარტიის ერთგული მხარდამჭერები და ლობისტები შეიკრიბნენ. მართალია, ეს წვეულება ერთი კვირის წინ ვაშინგტონში გამართულ ბუშის ანალოგიურ ღონისძიებას ხალხმრავლობით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ დემოკრატებმა წინასწარ დაგეგმილ 1.5 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი აიღეს. ამის მიუხედავად, რესპუბლიკელები იმედიანად არიან: ერაყში მიღწეული გამარჯვება და გადასახადების შემცირება ამერიკის უმდიდრეს ბიზნესმენთა თვალში მიმზიდველად გამოიყურება. თუმცა, თავიანთი კოზირები დემოკრატებსაც აქვთ.

დემოკრატიული პარტიის ერთგული მხარდამჭერების აზრით, პრეზიდენტი ბუში რადიკალური მემარჯვენეა, რომელმაც აშშ საერთაშორისო თანამეგობრობისგან გააუცხოვა, მისმა საგადასახადო პოლიტიკამ ღარიბებსა და საშუალო კლასს შემოსავლები შეუმცირა, მდიდრები კი კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა.

წინასაარჩევნოდ უამრავი ორგანიზაცია და კერძო პირი საპრეზიდენტო კანდიდატებს ფულს აძლევს, რათა არჩევნების შემდეგ თავის რჩეულთან მისასვლელი გზა ჰქონდეს, თუ რასაკვირველია, სწორედ მათმა კანდიდატმა მიაღწია გამარჯვებას.

დემოკრატების მიერ მოწყობილ მეჯლისზე, ბიზნესმენების გარდა, ამერიკელი მედდების ასოციაციის პრეზიდენტიც კი მივიდა. ეს ასოციაცია ფულს რესპუბლიკელებსაც აძლევს და დემოკრატებსაც. რა იცი, ვინ გაიმარჯვებს? "ამგვარი წვეულებები კანდიდატებთან შეხვედრის, კანონმდებლების ნახვის შესანიშნავი საშუალებაა. თანაც, შეიძლება მათ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარო", - "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში აღნიშნა მედდების ასოციაციის წარმომადგენელმა მარჯი დრუგეიმ.

"ამერიკაში თანამდებობის მოპოვება დიდი ფული ჯდება. იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სხვადასხვა კანდიდატებს აფინანსებენ, ამგვარი აქციები კანდიდატებთან მისასვლელი გზების გასაკვალად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია", - დასძინა დრუგეიმ.

დემოკრატებს შორის სენატორმა ჯონ ედვარდსმა, ჯერჯერობით, ყველაზე მეტი ფული მოაგროვა – 7 მილიონი ამერიკული დოლარი. პოლიტიკური მიმომხილველების უმრავლესობის აზრით, სერიოზული ბრძოლა იმათ შორის გაიმართება, ვინც საბოლოო კანდიდატის დასახელებამდე, სულ მცირე, 5 მილიონ ამერიკულ დოლარს მოაგროვებს.

რაც შეეხება პრეზიდენტ ბუშს, იგი წლის ბოლომდე 200 მილიონი ამერიკული დოლარის შეგროვებას ვარაუდობს.

დემოკრატები კი, საარჩევნო ფულის თვალსაზრისით, აშკარად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდებიან. თუმცა, ამერიკული არჩევნების ისტორიაში დემოკრატები, რესპუბლიკელებთან შედარებით, ყოველთვის ნაკლებ ფულს ხარჯავდნენ.

ბრიტანეთი რუსეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი ხდება

ზოთა უტიაშვილი

გუშინ ლონდონში ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც „ბრიტიშ პეტროლიუმი" რუსეთის ეკონომიკაში უდიდესი ინვესტორი გახდა. ბრიტანულმა ენერგეტიკულმა გიგანტმა, 7 მილიარდ დოლარად, ნავთობკომპანია ტნკ-ს აქციები იყიდა.

თუმცა, „ბიპი" დიდი ხნით ვერ დარჩება პირველ ადგილზე. სულ მალე მას მისი მთავარი კონკურენტი "როიალ დაჩ/შელი" გაასწრებს, რომელიც სახალინის ნავთობის ათვისებაში 10 მილიარდი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

ამ გარიგებების შედეგად, ბრიტანეთი რუსეთში ყველაზე დიდი ინვესტორი ხდება. ისტორიკოსების მტკიცებით, როტშილდისა და ნიკოლოზ მეორეს შემდეგ, ასეთი მასშტაბის გარიგება დასავლურ კაპიტალსა და რუსულ ნავთობს შორის არ ყოფილა.

ბრიტანეთის ინტერესი რუსული ნავთობის მიმართ სავსებით გასაგებია: ჩრდილოეთის ზღვის ნავთობისა და გაზის, ერთ დროს უმდიდრესი მარაგი იწურება. თუ დღეს ბრიტანეთი ენერგორესურსების ექსპორტიორია, 2020 წლისათვის მას მოუწევს, გაზზე მოთხოვნილების 90 პროცენტი იმპორტის ხარჯზე დაიკმაყოფილოს.

გუშინ ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ბალტიის ზღვის, გერმანიისა და ჩრდილოეთის ზღვის გავლით რუსეთიდან ბრიტანეთში გაზსადენის მშენებლობის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამგვარი მილსადენის მიზანშეწონილობას შეისწავლიან. რუსული მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ ახალ წამოწყებაში აქციების უდიდესი ნაწილი „გაზპრომს" გადაეცეს და, რაკი ამ კომპანიას მშენებლობისათვის საკმარისი ფული არა აქვს, საკრედიტო გარანტიები ევროკავშირმა გასცეს.

ხელმოწერის ცერემონიალი, რომელიც ლონდონში გაიმართა, პუტინმა რუსული ეკონომიკისა და საინვესტიციო კლიმატის რეკლამისათვის გამოიყენა. მისი თქმით, თუ ბრიტანელები ქვეყანაში 17 მილიარდს დებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა საიმედო პარტნიორის სახელი დაიმკვიდრა. თანაც, თავად ეს ინვესტიციაც რუსეთის „ევროპული ვექტორის" განმტკიცებას ხელს შეუწყობს.

ქების სიტყვები არ დაიშურა ბრიტანეთის პრემიერმაც: „ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს ეკონომიკაში, პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში, ძალზე მნიშვნელოვანია, - განაცხადა ბლერმა, - ერთად ჩვენ შევძლებთ საერთო მიზნების მიღწევას".

რუსეთთან ენერგეტიკული თანამშრომლობის იდეას ერთსულოვანი მხარდაჭერა არ მოჰყოლია. პირველ კრიტიკოსთა შორის ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ბრაიან უილსონი იყო. „ჩვენ მეტისმეტად დამოკიდებული ვიქნებით გაზზე, - განაცხადა მან, - აუცილებელია, რომ ეს გაზი მხოლოდ ერთი წყაროდან არ მოდიოდეს. ვინმეზე დამოკიდებულება სახიფათოა." ამის ნაცვლად, ყოფილი მინისტრი, რუსეთის პარალელურად, სხვა წყაროების მოძებნაზე (ნორვეგია, ალჟირი, ვენესუელა, ყატარი და ა.შ.) და განახლებადი და ატომური ენერგეტიკის განვითარებაზე აკეთებს აქცენტს.

ექსპერტების მეორე ნაწილი აცხადებს, რომ ამგვარ დამოკიდებულებას საფრთხე არ ახლავს. რუსეთი დიდი ხნის მანძილზე აწვდის გაზს საფრანგეთსა და გერმანიას და ამას ჯერ პრობლემები არ გამოუწვევია.

ექსპერტების ერთი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს გრანდიოზული გარიგებები ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ რუსეთს და სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს უქმნის. რუსეთის ეკონომიკა სწორედ ნავთობის არანორმალურად მაღალ ფასებზე დგას. მსოფლიო ბაზარზე დამატებით დიდი რაოდენობით რუსული საწვავის გაშვებამ, შეიძლება, ფასების მნიშვნელოვანი დაცემა გამოიწვიოს.

თურქეთი მკაცრად გააკრიტიკეს

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მომზადებული მოხსენება, სადაც თურქეთი "ჩრდილოეთ კვიპროსის უწყვეტ კოლონიზაციაში" არის დადანაშაულებული, ცალმხრივია და სიმართლეს არ შეესაბამება.

"ამჟამად, კვიპროსში მიმდინარე პროცესების ფონზე ეს მოხსენება მოძველებულია", - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჰუსეინ დირიოზმა ევროსაბჭოს მოხსენების კომენტირებისას.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ფინელი მომხსენებლის იააკო ლააკსოს მიერ მომზადებული დოკუმენტი სამშაბათს მიიღო, სადაც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა და თურქეთი ბერძენი კვიპროსელების და უმცირესობების უფლებების დარღვევაში დაადანაშაულეს.

ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკამ და თურქეთმა უნდა "შეწყვიტონ ბერძნებისა და უმცირესობების დამცირება, ბოლო უნდა მოუღონ დაშინებას და დაზარალებულებს ან ქონება უნდა დაუბრუნონ, ან კომპენსაცია გადაუხადონ".

საპარლამენტო ასამბლეამ თურქეთს მოუწოდა, რომ "მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეთნიკური თურქების ჩასახლება შეწყვიტოს" და ანკარას საერთაშორისო ფონდის შექმნა შესთავაზა, რომელიც იმ თურქებს დაეხმარება, რომლებიც კვიპროსიდან თურქეთში დაბრუნებას მოინდომებენ. "კარგად არის ცნობილი, რომ კუნძულის დემოგრაფიული სტრუქტურა 1974 წლის შემდეგ (ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის შექმნის თარიღი), თურქი კვიპროსელების ადმინისტრაციისა და თურქეთის სპეციალური პოლიტიკის შედეგად, განზრახ იცვლებოდა", - ნათქვამია ლააკსოს მოხსენებაში.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გულმა საჯაროდ უარყო ინფორმაცია, თითქოს ანკარა ეთნიკურ თურქებს ჩასასახლებლად უშვებს კუნძულზე. თურქეთის ხელისუფლებამ სინანული გამოთქვა მოხსენების მიღების გამო, თუმცა, დასძინა, რომ ევროსაბჭოს ამ დოკუმენტს სავალდებულო ხასიათი არ აქვს.

ჩრდილოეთ კვიპროსში თურქების რაოდენობა 115 000-ია. "ასამბლეა დარწმუნებულია, რომ კოლონიზაციის უწყვეტი პროცესი კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას ხელს უშლის", - აღნიშნულია ლაასკოს მოხსენებაში.

გულმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ თურქეთი ორივე მხარისათვის მისაღებ ვარიანტზე მუშაობს, პირველ ყოვლისა, ნდობის აღსადგენად. "კონფლიქტები ჩვენ არაფერს მოგვიტანს. ყველამ ჩვენს ხელთ არსებული საშუალებები პოზიტიურად უნდა გამოვიყენოთ", - დასძინა გულმა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების მიღებამდე თურქმა პარლამენტარებმა ევროპის საბჭოში 12 შესწორება წარადგინეს, მაგრამ მოხსენება საბოლოოდ მაინც უცვლელად მიიღეს. ასამბლეაში თურქული დელეგაციის ხელმძღვანელის მურატ მერჩანის თქმით, მოხსენების მიღებამ თურქები ძალზე გაანაწყენა.

ვინმეემ მიხედეთ ლიბერიას

ლიბერიაში სამოქალაქო ომი უკვე დედაქალაქ მონროვიას ქუჩებში გრძელდება. მთავრობის ჯარებმა აჯანყებულთა შეტევის მოგერიება შეძლეს და ახლა ქალაქიდან მათ განდევნას ცდილობენ. ბრძოლების შედეგად, გუშინ სამასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

საერთაშორისო საზოგადოება მოუწოდებს ლიბერიის პრეზიდენტს, ჩარლზ ტეილორს, გადადგეს და კოალიციური მთავრობის შექმნას გაუხსნას გზა. ტეილორი აცხადებს, რომ არსადაც არ წავა. მას მიაჩნია, და ალბათ სამართლიანადაც, რომ გადადგომის შემთხვევაში, საერთაშორისო ტრიბუნალი არ ასცდება. საერთაშორისო სასამართლო მას სიერა-ლეონეში სამოქალაქო ომის გაჩაღებაში ადანაშაულებს.

იარაღის დაყრას არც ამბოხებულები აპირებენ. მათი თქმით, პრეზიდენტის დასარწმუნებლად მხოლოდ ერთი საშუალება – კალაშნიკოვის ავტომატი არსებობს და ამ წამალს ისინი ტეილორს არ მოაკლებენ.

გაერო-სა და დასავლეთის ქვეყნების მოწოდებებს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ყველასათვის აშკარაა, რომ სამხედრო ჩარევის გარეშე, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდება. მაგრამ, დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყანაში ჯარების გაგზავნაზე ყველა სახელმწიფო ფეხს ითრევს და ელოდება, როდის გადადგამს სხვა პირველ ნაბიჯს.

პირველი, ვინც სინდისმა შეაწუხა, გაერო-ში ინგლისის ელჩი სერ ჯერემი გრინსტოკი იყო, ოღონდ მან ჯარების გაგზავნისაკენ არა საკუთარ, არამედ ამერიკის მთავრობას მოუწოდა.

სერ ჯერემის თქმით, ინგლისელებმა უკვე გაგზავნეს ჯარები სიერა ლეონეში, ფრანგებმა – სპილოს ძვლის ნაპირზე, ესე იგი, ახლა ამერიკელების ჯერია. ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთ დიდ მანძილზე ჯარების გადასხმის თავი სხვა არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს. თანაც, ლიბერია სწორედ ამერიკაში გათავისუფლებულმა მონებმა დაარსეს და მის დედაქალაქსაც მონროვია ამერიკის მეხუთე პრეზიდენტის, მონროს პატივსაცემად ჰქვია.

ინგლისელების თხოვნაზე ამერიკელებმა გუშინვე გასცეს პასუხი. ამერიკის ელჩმა ლიბერიაში, ბლეინიმ განაცხადა, ჯერ მხარეებმა ცეცხლი შეწყვიტონ და ჯარებს მერე გავაგზავნითო.

გემრიელი დღე

ეთერ მამულაშვილი

დღეიდან ყველაზე გემრიელი, ყველაზე ტკბილი და ყველაზე ცივი დღესასწაული - "ნაყინების თაიგული" საქართველოში მცხოვრებ ბავშვებსაც ექნებათ. გუშინ ეს დღე, უცხოელი თანატოლებისგან განსხვავებით, ქართველი ბავშვების ერთმა ნაწილმა, ნაკლები პომპეზურობით, მაგრამ ყველაზე გემრიელად აღნიშნა.

ამ ტკბილი ზეიმის დამაარსებელი და ორგანიზატორია გურჯაანის ნაყინის მწარმოებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აისი". ფირმის ხელმძღვანელობა პირობას დებს, რომ ნაყინის დღესასწაული კალენდარში მანამ იქნება, სანამ შპს "აისი" ამ ქვეყნად იარსებებს. გადაწყდა, რომ "ნაყინების თაიგულს" "აისი" და ბავშვები ყოველი სეზონის დასაწყისში ერთად იზეიმებენ.

სამწუხაროდ, ისევე როგორც სხვა დანარჩენი დღესასწაულები, ესეც მხოლოდ წელიწადში ერთხელ აღინიშნება, სამაგიეროდ ამ დღეს, როგორც ამბობენ, ბევრი ცეკვა, სიმღერა, უამრავი საჩუქარი, სიურპრიზები და, რაც მთავარია, უთვალავი ნაყინი იქნება.

ფირმა "აისის" ადმინისტრაციამ გუშინდელი დღე ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს მიუძღვნა. ამიტომაც, ზეიმზე მოსულ ამ კატეგორიის ბავშვებს ნაყინი და საჩუქრებიც ჩვეულებრივზე მეტი შეხვდათ.

უჩვეულო ფორმის ღია ბარათები, რომლებიც პატარებს საჩუქრებთან ერთად დაურიგდათ, მათ საკუთარი სურვილებით ააჭრელეს და ბაბუ გურამს (შპს "აისის" დირექტორს) გაატანეს. ერთი-ორს ყველა "მინდას" ჩამოსაწერად ღია ბარათის ორი გვერდი რომ არ ეყო, თავისი ნატვრა ბაბუ გურამს ყურში უჩურჩულა. რამდენიმე ონავარმა სურვილების გრძელი სია ჩვენც გაგვიმხილა. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის, "სათნოების" ბინადარი, ცხრა წლის გიორგი ორბორბლიან ველოსიპედზე ოცნებობს; ამავე სახლის აღსაზრდელს, ექვსი წლის ნაზის საქორწილო კაბაში გამოწყობილი "ბარბის" თოჯინა ძილშიც კი ესიზმრება; შვიდი წლის ვანო საკუთარ სახლში დაბრუნებაზე ოცნებობს, ყველაზე უფროსს, თორმეტი წლის მეგის საზღვარგარეთ წასული ბიძა და მამა ენატრება.

გუშინ ბავშვებს ერთი საერთო სურვილიც ჰქონდათ - თითქმის, ყველა სთხოვდა ბაბუ გურამს ბევრ-ბევრ ნაყინს. "ნაყინების ბაბუამ" პირობა დადო, რომ ამ სურვილის ასრულება მას არ გაუჭირდება და კვირაში ერთხელ მაინც, მორიგეობით, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს ძალაინ ბევრ ნაყინს გაუგზავნის.

„ერთად წამების წინააღმდეგ"

საპროტესტო მსვლელობა ვერის პარკში.

წამების თვალსაჩინოება.

ეკრო ბასლერის ფოტოები

პირველი გვერდიდან

კინოფილმები აჩვენეს. ორგანიზატორები კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ საზოგადოებას.

დინამიკა მზარდია - სულ უფრო მეტი პაციენტი აკითხავს რეაბილიტაციის ცენტრს. შარშან 411 ადამიანი მისულა ცენტრში, მათ შორის, მთელი ჯგუფი პოლიტიკური პატიმრებისა – ე. წ. "ზვიადისტები" და ჩეჩენი ლტოლვილები, რომელთა მდგომარეობა წლებთან ერთად რთულდება. სამედიცინო ბლოკი იკვლევს, რა ფიზიკური ნიშანი დატოვა წამებამ და დიაგნოსტიკის შემდეგ უფასოდ მკურნალობს. ფსიქოლოგიური ბლოკი მუშაობს, როგორც უშუალოდ წამების მსხვერპლთან, ასევე, მისი ოჯახის წევრებთან. ადამიანები ზოგჯერ რამდენიმე თვის შემდეგ ჰყვებიან იმ ფაქტების შესახებ, რაც მათთვის ყველაზე მეტად მძიმეა. ცენტრის ხელმძღვანელის, ნინო მახაშვილის თქმით, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ემყარება იმ პრინციპს, რომ გადატანილი სიმძიმე ადამიანმა კი არ უნდა დაივიწყოს, არამედ სასიცოცხლო ძალის მოსაპოვებლად გამოიყენოს. "სამართალდამცავებთან ამის თქმას შეგნებულად ვარიდებ თავს, რომ ცინიზმს არ შევეჯახო და არ თქვან, - წამება კარგი ყოფილა თუ პიროვნულად ზრდის ადამიანსო", - თქვა ნინო მახაშვილმა.

პოლიცია კი ხშირად გახსნილ საქმეთა კოეფიციენტის ამაღლების მიზნით, წამების გზით აღწევს აღიარებას და ფიზიკური წამების მეთოდებსაც წლიდან წლამდე ისე "ხვეწს", რომ ნაკლები კვალი დატოვოს. გაანუკითხაობას ისიც უწყობს ხელს, რომ საქართველოში ამგვარი შემთხვევების გამოსაკვლევი აპარატურა არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ამ ქვეყანაში ვერც ერთმა მსხვერპლმა სამართალი ვერ იპოვნა, აქციის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ კონსტიტუციასა და საერთაშორისო კონვენციაში დეკლარირებული პოლიტიკური ნება განხორციელდება და სახელმწიფო წამების წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებსაც გაატარებს.

სპორტული და მუსიკალური თერაპია ნარკომანებისათვის

ნარკომანიის სარეაბილიტაციო ცენტრმა - საზოგადოება "სასოებამ" ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ახალი ოფისის პრეზენტაცია დაამთხვია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დალოცვილ სამოთახიან ოფისში ნარკომანებს ფსიქოლოგიური, მუსიკალური და სპორტული თერაპიით უმკურნალებენ. შემდეგში კი მათ დასაქმებაზეც იზრუნებენ. ამირან გამყრელიძემ "სასოების" ხელმძღვანელს გურამ მამაცაშვილს გამოჯანმრთელებული ნარკომანების დასაქმების პროგრამის შემუშავებაც შესთავაზა. წელს "სასოება" 15-მდე პაციენტის მკურნალობას ვარაუდობს. მომავალ წელს კი, შეიძლება, ამდენივე ავადმყოფი მიემატოს. რაც მთავარია, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობა აცხადებს, ცენტრი პაციენტებს უფასოდ ემსახურება. "ცენტრი შემოწირულობებით არსებობს. ჩვენი ოფისის რემონტი ბანკმა "რესპუბლიკამ" დააფინანსა. ერთი კვირის წინათ ვენიდან წერილი მივიღეთ - გაერო ტრენაჟორებს გვპირდება. გაერო-ს წყალობით, ცენტრში სპორტული თერაპიის კურსსაც ჩავატარებთ", - აცხადებს გურამ მამაცაშვილი. როგორც "სასოების" ხელმძღვანელი აცხადებს, ათენში 5 ასეთი ცენტრი ყოფილა და თითოეულს 5 მილიონიანზე ნაკლები ბიუჯეტი არ აქვს. ათენამდე ჯერ ძალინ ბევრი გვიკლია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დამხმარეები ქართულ ცენტრსაც ჰყოლია. კეთილი ადამიანების წყალობით, ცენტრი ფსიქოლოგიურ და სპორტულ თერაპიასთან ერთად მუსიკალური თერაპიის ჩატარებასაც მოახერხებს. "სასოებას" ამ თერაპიისთვის საჭირო კასეტები აჩუქეს და დაავადებასთან მებრძოლ პაციენტებს გამაჯანსაღებელი მუსიკის მოსმენის საშულებაც ექნებათ. დეზინტოქსიკაციაგავლილ ყველა პაციენტს თქვენს ცენტრში გამოვაგზავნითო, - შეჰპირდა მამაცაშვილს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხემძღვანელი, გელა ლეჟავა.

24 საათი

დავეხმაროთ უპატრონო ბავშვებს!

ზურა ჯამასპიშვილი

გუშინ, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, კლუბ "სარდაფში" შეკრებილი საზოგადოება შეხვდა – კლუბის გადაცემა "60 წუთის" წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს და ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილს. შეხვედრის ორგანიზატორი იყო საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო. აჩვენეს "60 წუთის" ერთ-ერთი მასალა, რომელიც ეხებოდა ტოქსიკომანი და მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობას საქართველოში. შეხვედრაზე ასევე მოწვეულნი იყვნენ ფსიქოლოგები, რომლებმაც საზოგადოებას აუხსნეს, თუ რა დონეზე დგას ეს საკითხი დღეს საქართველოში.

ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც აქტიურად ზრუნავს მსგავს მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის. გუშინდელი შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ამ ბავშვებისთვის გამოსავლის მოძებნა. მაგრამ ეს ისეთი მწვავე პრობლემაა, რომ ამის ერთ დღეში გადაჭრა არც ერთ სამთავრობო, და მითუმეტეს, არასამთავრობო ორგანიზაციას არ ძალუძს, ამიტომ შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამ საკითხს უახლოეს მომავალში ქალაქის მერიასთან ერთად განხილავდნენ.

მოკლედ

გაფიცულები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელმძღვანელებმა ენერგეტიკოსების მოთხოვნა, სახელფასო დავალიანების გაცემის თაობაზე, ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. მეოთხე დღეა მაისის პირველი ნახევრის ხელფასის გაცემა მიმდინარეობს. პირველად ხელფასი ოთხი დღის წინათ გაფიცულმა თბილისის დიდუბის ქვესადგურის თანამშრომლებმა მიიღეს. გუშინ ხელფასს კომპანიის 12 რაიონული ფილიალის თანამშრომლები ელოდნენ. ენერგეტიკოსები აცხადებენ, რომ მათ 7-დან 32-მდე თვის ხელფასები აქვთ მიუღებელი. საერთო ჯამში, გასასტუმრებელია 30 მილიონი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ზესტაფონი. რაიონის განათლების სისტემის მუშაკებმა ადგილობრივ ადმინისტრაციას რაიონში ერთიანი სასკოლო ფონდის შექმნის წინადადებით მიმართეს. ფონდი 1-ლარიანი საწევრო შენატანების ხარჯზე იმოქმედებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. ბათუმში მყოფი თურქი ქირურგების ჯგუფი ქართველ ბავშვებს კურდღლის ტუჩისა და მგლის ხახის უფასო პლასტიკურ ოპერაციებს უტარებს. 20 ივნისიდან დღემდე ოპერაცია უკვე 35 ბავშვს გაუკეთდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავში პური კიდევ 5 თეთრით ძვირდება. თვის დასაწყისიდან ფასმა უკვე 10 თეთრით მოიმატა. რუსთაველი პურის მწარმოებლები მომხმარებელს მალე უფრო იაფ, მეორე ხარისხის ფქვილით გამომცხვარ რუხ პურს ჰპირდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ კიდევ ერთი სტუდენტური კავშირი შეიქმნა. იგი არასამთავრობო სტრუქტურის სახით ჩამოყალიბდა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ირაკლი მურცხვალაძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. არასამთავრობების სახლის გამგეობის ინიციატივითა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაციების კვირეული გაიხსნა. **ინტერ-პრესი**

ნაგვის გორები ფიქრის გორაზე

ირინე სანებლიძე

დანაგვიანებულ ფიქრის გორაზე "24 საათი" ერთხელ უკვე წერდა. აქტიურობდა მწვანეების ახალგაზრდული ორგანიზაციაც და იმედი გაჩნდა, რომ "შესაბამისი უწყებები" "შესაბამის ღონისძიებებს" გაატარებდნენ.

"24 საათისგან" ინფორმირებულმა სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მიტოვებული და საზოგადოებრივ ტუალეტად გადაქცეული კაფე მოასუფთავა, მაგრამ ზოგიერთ ურცხვ გამვლელს დღემდე ამოჭედილი კარიც არ უშლის ხელს; ამდენად, ფიქრის გორის ფერდობის მდგომარეობა, გარკვეულწილად, მაინც უცვლელი რჩება.

სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს იქვე, ფერდობზე მოფენილი ნაგავი. რაღა არ ყრია "ცენტრ პოინტის" ახლად აშენებული საცხოვრებელი კორპუსის ქვეშ. ნაგვის გორად ქცეული ფიქრის გორის ფერდობით ახლო-მახლო მცხოვრებნიც სარგებლობენ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებსაც იქვე ჰყრიან.

ახლად აშენებული კორპუსის მაცხოვრებლები არც მწვადს წვავენ და არც შამფურს: კი, ძალიან კმაყოფილები და მადლობელები ვართ ბინებით, მაგრამ ფიქრის გორა ნაგავმა წალეკა მას შემდეგ, რაც "ცენტრ პოინტმა" მშენებლობის შემდეგ ნაგავი არ გაიტანაო.

"24 საათის" პირველ რეპორტაჟში "ცენტრ პოინტმა" პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა - მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა რუსუდან კერვალიშვილმა განაცხადა, - ეს ნაგავი არა "ცენტრ პოინტის", არამედ ბინებში, ინდივიდუალურად წარმოებული სარემონტო სამუშაოების ნარჩენებიაო.

იგივეს ადასტურებს აღნიშნული კორპუსის არქიტექტორი ნიკა შავიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ კორპუსის მშენებლობის დასრულებისთანავე, თითქმის, ერთი წლის წინათ "ცენტრ პოინტმა" "თავისი ნაგავი" გაიტანა. ნიკა შავიშვილი პრობლემას უფრო სხვა რაკურსით ხედავს და მიიჩნევს, რომ "ცენტრ პოინტისკენ" თითის გაშვერით ზოგიერთები მიზეზებს ეძებენ და მისი "გასვრა" სურთ, რადგან "ცენტრ პოინტი" ვახტანგ რჩეულიშვილთან და მის ოჯახთან ასოცირდება.

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ჯუღული ახვლედიანი მიიჩნევს, რომ სამშენებლო ნარჩენები "ცენტრ პოინტის" კორპუსის გასატანია, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა კორპუსის მაცხოვრებლებსაც და დანარჩენ მოსახლეობასაც უნდა დაეკისროს, რადგან იქ მარტო სამშენებლო ნაგავი არ ყრია. ჯუღული ახვლედიანი აცხადებს, რომ მთაწმინდა-კრწანისის კეთილმოწყობის რაიონულმა სამსახურმა არაერთხელ გაიტანა ნარჩენები, მაგრამ ნაგავი მაინც არ ილევა.

ამ განცხადებების მიუხედავად, ახლად აშენებული საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ ნაგავი არავის არასოდეს გაუტანია, პირიქით - დღითი დღე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური რემონტები ბინებში, თითქმის, დასრულდა.

"ჩვენ ადამიანები ვართ და ექიმი გვჭირდება"

მსჯავრდებულთა ექოსკოპიური გამოკვლევა.

"ჩვენ კი გამოსკვლევი არაფერი გვჭირს".

გიორგი ბახტაძის ფოტოები

ზაზა ფაჩუაშვილი

ჩვენ ადამიანები ვართ და ექიმი გვჭირდებაო, - ისე გვეუბნებოდა ჟურნალისტებს ნავთლუღის ქალთა კოლონიის ერთი მსჯავრდებული გოგონა, თითქოს, შეწუხებისთვის ბოდიშს იხდიდა. გუშინ ქალთა კოლონიაში კომპლექსური სამედიცინო შემოწმების დღე იყო.

ქალთა კოლონიაში ამჟამად 88 მსჯავრდებულია. უმეტესობა ნარკოტიკების გამო იხდის სასჯელს. არიან უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი ქალებიც, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა დაჭერა, შეიძლება, უფრო დიდი დანაშაული იყოს, ვიდრე მათი საქციელი. მაგალითად, ეპილეფსიით დაავადებული ერთი გოგონა 4-წლიან სასჯელს "ჩუსტების" ქურდობისთვის იხდის.

კომპლექსური სამედიცინო შემოწმების აქცია წელიწადში ორჯერ ტარდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი და თერაპიის ეროვნული ცენტრი თანამედროვე აპარატურით ერთად ატარებენ თერაპიულ, კარდიოლოგიურ, გინეკოლოგიურ, ნევროლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ, დერმატოლოგიურ, ვენერიულ და სხვა სახის გამოკვლევებს.

კოლონიას 20 საწოლზე გაშლილი საკუთარი სამედიცინო სამსახურიც აქვს, რომელშიც გამოყოფილია დედათა და ბავშვთა ოთახი, კარანტინი, ტუბ-პალატა, სტომატოლოგის ოთახი და ლაბორატორია. მსჯავრდებულები თერაპევტის, ფსიქიატრის და სტომატოლოგის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფებიან, მაგრამ სხვა სპეციალისტები კოლონიას არ ჰყავს. ამჟამად, გინეკოლოგისა და დერმატოვენეროლოგის ვაკანსიაა, მაგრამ სამუშაოდ არავინ მიდის. იმიტომ, რომ ხელფასი დაბალია (შესაბამისად, 150 და 80 ლარი), ჰონორარი - ნული, სამუშაო - ბევრი.

კოლონიის სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმი, ნინო ბოქოლიშვილი: "დღეში 20-40 მსჯავრდებული გვაკითხავს. მედიკამენტებით კარგად ვართ უზრუნველყოფილი და დახმარების გარეშე არავინ გვრჩება. საჭირო შემთხვევებში დეპარტამენტი სპეციალისტებსაც იძახებს.

პაციენტებს, ძირითადად, ნერვული პრობლემები აწუხებთ. გვყავს ნარკომანები, რომლებსაც სასამართლოსგან იძულებითი მკურნალობა აქვთ მისჯილი. ტუბერკულოზით დაავადებული ამჟამად არავინაა, თუმცა აქვე მინდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზის შემთხვევებში ძალიან გვეხმარებოდა "წითელი ჯვარი" - პაციენტებს აღიარებული "დოცის" პროგრამით ვმკურნალობდით."

ამასობაში ექიმებიც მოვიდნენ და კაბინეტებთან რიგები დადგა. გამოკვლევები ნებაყოფლობითია, მაგრამ, როგორც ჩანს, მათზე უარის თქმას არავინ აპირებს.

ყოფილი მოსამართლის გადაწყვეტილების გამო, ციხეში ორი პატიმარი უკანონოდ იმყოფება

ინგა ალავიძე

სამართალწარმოების კურიოზი – თავისუფლად შეიძლება ასე შეფასდეს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მოსამართლის სულიკო ციცვიძის მიერ თვენახევრის წინ გამოტანილი დადგენილება და მისი შედეგი. მოსამართლე ციცვიძის ბრძანებით დაპატიმრებული ბრალდებულები, სასტუმრო "აჭარასთან" მომხდარ აფეთქებაში დადანაშაულებული ალექსანდრე მაისურაძე და გოჩა ყურაშვილი უკვე თვენახევარია უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან. დღეს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე, მაისურაძისა და ყურაშვილის უკანონო პატიმრობის საკითხს განიხილავს.

ბაია ბელაბერიძეს ფოტო

გიგანის აფეთქებაში ბრალდებულებს არასამთავრობოები იცავენ.

საქმე ისაა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, 3 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა №514 განკარგულება, რომლითაც სხვადასხვა რაიონების 30 მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდათ, მათ შორის სულიკო ციცვიძესაც. 10 მაისს, იმ დროს, როცა სულიკო ციცვიძე მაისურაძე-ყურაშვილის დაპატიმრების ბრძანებას გამოსცემდა, მას მოსამართლის სტატუსი უკვე აღარ გააჩნდა და სანამ (ისევ პრეზიდენტის განკარგულებით) მისი ხელახალი დანიშვნა არ მოხდებოდა, სამართალწარმოების უფლებაც არ ჰქონდა. შესაბამისად, მის მიერ მაისურაძისა და ყურაშვილის დაპატიმრების თაობაზე გაცემული ბრძანება უკანონოა და იურიდიულ დოკუმენტს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ორივე ტუსაღი უკვე თვენახევარია უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამას ადასტურებს იუსტიციის საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ შარმანაშვილის მიერ კორძაძის საადვოკატურო ბიუროსთვის გაგზავნილი საპასუხო წერილი, სადაც გარკვევით წერია, რომ სულიკო ციცვიძეს 3 მაისს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება შეუწყდა. ვაკე-საბურთალოს სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილების უკანონობა სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულმა მოკვლევამაც დაადასტურა.

ამ სერიოზული იურიდიული ხარვეზის თაობაზე ბრალდებულთა ადვოკატმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ არაერთხელ მიმართა სხვადასხვა სასამართლო ინსტანციას, თავად ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარესაც, მაგრამ - უშედეგოდ. როგორც ადვოკატი აცხადებს, მოსამართლის ზეპირი პასუხი ასეთი იყო: ბრძანების გაცემის მომენტში უფლებამოსილება შეწყვეტილი თუ მქონდა, არ ვიცოდიო. სხვათა შორის, სულიკო ციცვიძის უკანონო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიუვიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, ორთაჭალის ციხის უფროსსა და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმსაც. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ უკანონო პატიმრები, რაც არ მომხდარა. მეტიც, ადვოკატს, ჯერჯერობით, არგუმენტირებული უარყოფითი პასუხიც კი არ მიუღია. თუმცა, როგორც გითხარით, დღეს ადვოკატის სარჩელს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე განიხილავს. უფრო ზუსტად, მას მისი ყოფილი მოსამართლის მიერ დაშვებული კურიოზული ხარვეზის გასწორება მოუწევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომლის შესახებაც აფეთქებაში ბრალდებულთა ადვოკატმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ სასტუმრო "მერიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა, თბილისის პროკურატურას ეხება. ადვოკატი აცხადებს, რომ თბილისის პროკურატურაში საქმის გამოძიება უხეში კანონდარღვევებით მიმდინარეობს. **"ჩხრეკა, რომელიც მაისურაძის სახლში ჩატარდა, ეგზეკუციას უფრო ჰგავდა. გარდა ამისა, პროკურატურას ჯერ კიდევ არ აღუძრავს საქმე მაისურაძის ცემაში ეჭვმიტანილი ჯონი გიგანის დაცვის წევრების მიმართ. არადა, მაისურაძე სასტიკად იყო ნაცემი და ჩატარებულმა ექსპერტიზამაც გააკეთა დასკვნა, რომ მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. პროკურატურა კი სამართლებრივ შეფასებას არ აძლევს მომხდარს,"** – აცხადებს ვლადიმერ გაბრიჩიძე, რომლის პოზიციასაც არ ეთანხმება თბილისის პროკურატურის საგამოძიებო აპარატის უფროსი ვალერი გრიგალაშვილი. **"ექსპერტიზის დასკვნა ადვოკატს ჩვენ მივეცით, მაისურაძის ცემის ფაქტზე კი აღძრულია საქმე და ის ქვემდებარეობით ვაკე-საბურთალოს პროკურატურას გადაეგზავნება განსახილველად,"** – აცხადებს ვალერი გრიგალაშვილი.

სხვათა შორის, თბილისის პროკურატურამ ალექსანდრე მაისურაძის ცემის ფაქტზე, რატომღაც, თვენახევრის მანძილზე არ აღძრა საქმე. იგი მხოლოდ გუშინ, სწორედ იმ დროს აღძრა, როცა ადვოკატი პრესკონფერენციას ატარებდა; დადგენილება დაუყოვნებლივ გაფორმდა და საქმე გამოსაძიებლად ვაკე-საბურთალოს პროკურატურას გადაეცემა. ოღონდ, საქმე მხოლოდ მომხდარ ფაქტზე აღიძრა და არა კონკრეტული დამნაშავე პირების (ამ შემთხვევაში - ჯონი გიგანის დაცვის წევრების) წინააღმდეგ.

ალექსანდრე მაისურაძისა და გოჩა ყურაშვილის ადვოკატის განცხადებით, სასტუმრო "აჭარასთან" აფეთქებული ავტომანქანა "ჯიპი" სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მეპატრონეს, დეპუტატ ჯანსუღ ჩარკვიანის სიძეს, ჯონი გიგანს არ ეკუთვნოდა. მანქანა ვინმე ფირუზ ბექაურის საკუთრებაა და მან მანქანა "მორკინალის" ავტოსალონში ორი თვის წინ მიიყვანა გასაყიდად.

გარდა ამისა, ადვოკატმა კატეგორიულად უარყო გამოძიების ძირითადი ვერსია გიგანისა და მაისურაძის ბიზნესკონფლიქტის შესახებ და განაცხადა, რომ მაისურაძეს და გიგანს არანაირი ბიზნესინტერესი არ აკავშირებდათ. ადვოკატს ეეჭვება ისიც, რომ კგბ-ს გამოცდილ თანამშრომელს დანაშაულის ადგილზე ისეთი "გულუბრყვილო შეცდომები" დაეშვა, რასაც გამოძიება ამტკიცებს.

რაც შეეხება მეორე ეჭვმიტანილს - გოჩა ყურაშვილს, ადვოკატის მონაცემებით, აფეთქების დღეს იგი, მაისურაძესთან ერთად, მისი პირადი საქმის გამო იმყოფებოდა და ყურაშვილსაც მომხდარ აფეთქებასთან საერთო არაფერი აქვს. მისივე ინფორმაციით, ამჟამად ყურაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ის ფსიქიურად დაავადდა და ტრანკვილიზატორებით მკურნალობს. თუმცა პროკურატურა მის გათავისუფლებას მაინც აფერხებს. **"პროკურატურა უკანონოდ დაპატიმრებულთა გათავისუფლებას მხოლოდ ერთი მიზეზით აფერხებს, კერძო საუბრებში გვეუბნებიან: ჯანსუღ ჩარკვიანი ატეხავს ყვირილს. გამოძიება მის სახელს იყენებს და ამიტომაც მინდა ვთხოვო ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს, მიმართოს პროკურატურას და მას კანონიერებისკენ მოუწოდოს,"** – განაცხადა გაბრიჩიძემ.

ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე, რომელიც ალექსანდრე მაისურაძისა და გოჩა ყურაშვილის უდანაშაულობას ამტკიცებს, აცხადებს, რომ **"მომხდარი აფეთქება დადგმული სპექტაკლია. პროკურატურამ რეალურად უნდა დაადგინოს, რა მოხდა იმ დღეს და ვინ დაგეგმა ეს აფეთქება. მე ახლა თავს შევიკავებ შეფასებების გაკეთებისგან, მაგრამ ვიტყვი, რომ შესაძლოა, ეს სპექტაკლი მაისურაძისა და გიგანის დისკრედიტაციისთვის დაიგეგმა,"** – ასეთია ვლადიმერ გაბრიჩიძის ვარაუდი.

განზრახ მკვლელობებში ეჭვმიტანილმა დანაშაულები აღიარა

სოფიკო ჩხაიძე

ისანი-სამგორის რაიონის პოლიციამ 4 ადამიანის განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 22 წლის ხვიჩა დემინაშვილი დააკავა.

ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსის თემურ ტურაბელიძის თქმით, მათ დემინაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია ოთხშაბათს, დღისით მიიღეს და ღამის ორი საათისთვის დაგეგმეს კიდეც მისი დაკავების ოპერაცია. ოპერაცია უჯარმის შესახვევში მდებარე ერთ-ერთ სახლში ჩატარდა. ხვიჩა დემინაშვილმა ბინაში შეცვენილ პოლიციელებს მცირე წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ - უშედეგოდ.

დემინაშვილს პოლიცია მიმდინარე წლის იანვრიდან ეძებდა. მას ბრალი თითოეული მკვლელობისთვის ცალ-ცალკე აქვს წაყენებული. ეჭვმიტანილი ამ დროისთვის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი.

სხვათა შორის, ერთი თვის წინ ხვიჩა დემინაშვილი სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შედეგად დაუსხლტა ხელიდან. მაშინაც პოლიციამ დაკავების ოპერაცია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმა. ამ ინფორმაციის მიხედვით, ხვიჩა დემინაშვილი და მისი თანამონაწილე დავით მენთეშაშვილი მტკვრის სანაპიროზე, მიტოვებულ ქოხში იმყოფებოდნენ. თუმცა, დღის 4 საათზე მათ დასაკავებლად მისულმა პოლიციელებმა მხოლოდ მენთეშაშვილის დაკავება შეძლეს. მეგობრის დაპატიმრებამდე მენთეშაშვილი ყველა მკვლელობას მას აბრალებდა. სხვათა შორის, იმავე თემურ ტურაბელიძის თქმით, მენთეშაშვილის ჩვენებები ახალდაკავებულმა დემინაშვილმაც დაადასტურა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ამ წყვილს არაერთი დანაშაული აქვს ერთად ჩადენილი.

დავით მენთეშაშვილისა და ხვიჩა დემინაშვილის დაჯგუფება პოლიციის განმარტებით, 2002 წლის 23 დეკემბერს შეიქმნა. გამომძიებელთა ნაამბობის თანახმად, მაშინ გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში, ღამით, მენთეშაშვილმა და დემინაშვილმა ერთად მოაწყვეს ყაჩაღური თავდასხმა გოგი კანანაშვილის ოჯახზე. ოჯახის უფროსის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო მას ჯერ რამდენჯერმე დანა დაარტყეს, მერე კი ნაგანის ტიპის პისტოლეტიდან ესროლეს. კანანაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. თავდამსხმელები კი მისი 14 წლის გოგონას გაუპატიურებას შეეცადნენ. თუმცა, აქ ოჯახის დიასახლისის მხრიდან წააწყდნენ წინააღმდეგობას – ხმაურის შეეშინდათ და მიიმალნენ. იმავე ღამით, იქვე - კარდანახში, ადგილობრივი მცხოვრების – ვლადიმერ ჩალათაშვილისთვის მანქანის წართმევა სცადეს. თუმცა, სოფელს უკვე ეღვიძა და ბოროტმოქმედების გარშემო ხალხი შეიკრიბა. მეტიც, კარდანახელებს მენთეშაშვილი ჩავარდნიათ კიდეც ხელში. როგორ დაუსხლტა ბანდიტი მათ, ჯერჯერობით, გამოძიებისთვის უცნობია.

ამ წყვილის მიერ ჩადენილი მორიგი დანაშაული 2003 წლის 1 იანვრით თარიღდება. სამარშრუტო ტაქსში ახალ წელს ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობა მაშინ საკმაოდ გახმაურდა. ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს უფროსის თემურ ტურაბელიძის თქმით, ღამის 9 საათზე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, 106 ნომერ სამარშრუტო ტაქსში მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ბოროტმოქმედებიც და მსხვერპლიც ნასვამები იყვნენ. გოგი მირიანაშვილს ბანდიტებმა დანით ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს და გაიქცნენ. მირიანაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

და ბოლოს, მკვლელობა 4 მაისს. მსხვერპლი პოლიციის აკადემიის კურსანტი შალვა წითელაშვილი გახლდათ. იგი მეტრომშენის დასახლებაში, გამთენიისას იპოვეს მკვდარი. წითელაშვილს სხეულზე დანით მიყენებული 23 ჭრილობა ჰქონდა.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, გამოძიებას ამჯერად დანაშაულის თვითმხილველები არ ჰყავდა. თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას მოპოვებული ჩვენებებით, მკვლელობაში მენთეშაშვილის ბრალეულობა გამოიკვეთა.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილ დანაშაულთა საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამონათვალისა, სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ამ წყვილის კრიმინალური "მოღვაწეობის" ნუსხა ამით არ ამოიწურება და ორივე ბრალდებულის – დემინაშვილისა და მენთეშაშვილის პატიმრობაში ყოფნის დროს გამოძიება მათ მიერ ჩადენილ კიდევ ბევრ დანაშაულს გამოავლენს.

დეპუტატის მკვლელობის შეკვეთა მის ოპონენტ თანაპარტიელს ბრალდება

რუსი სამართალდამცველები რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი იუშენკოვის მკვლელობას საბოლოოდ გახსნილად აცხადებენ. გუშინწინ მკვლელობის ორი შემსრულებელი დააკავეს, ხოლო გუშინ, გამთენიისას, მკვლელობის შეკვეთაში ეჭვმიტანილის დაპატიმრების ოპერაციაც განხორციელდა. დილის ოთხის ნახევარზე, ქალაქ კუდიმკარის (კომი-პარმიაკის ავტონომიური ოლქი) სასტუმროს ნომერში დააპატიმრეს მიხაილ კოდანევი – პარტია "ლიბერალური რუსეთის" ბერეზოვსკის მომხრეთა ფრთის თანათავმჯდომარე.

სამართალდამცველთა თქმით, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იუშენკოვი სწორედ კოდანევმა "შეუკვეთა", უშუალოდ დაქირავებული მკვლელების – 30 წლის ალექსი კულაჩინსკისა და 34 წლის კისელევისგან მიიღეს. ორივე მათგანი სიკტივკარელია. გამოძიების ხელთ არსებული მონაცემებით, სერგეი იუშენკოვს კულაჩინსკიმ ესროლა, კისელევი კი მას მანქანაში ელოდა. დეპუტატის მკვლელობისთვის დაპირებული თუ გადახდილი თანხა არ კონკრეტდება. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, მათ უკვე წაუყენეს ბრალი ანგარებითი მოტივით მკვლელობაში. რაც შეეხება კოდანევს, იგი კუდიმკარში ოთხშაბათს ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო კომი-პარმიაკის ავტონომიური ოლქისა და პერმის მხარის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებში. ძალოვან სტრუქტურებს მის დასაკავებლად 30-კაციანი რაზმი დასჭირდა, თუ რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ვენდობით, ყველა მათგანი სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" წევრი იყო. დაკავებიდან ცოტა ხანში მიხაილ კოდანევს ბრალი წაუყენეს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის სერგეი იუშენკოვის მკვლელობაში. კოდანევის მომხრე თანაპარტიელები მის დაპატიმრებას პოლიტიკურ მოტივებს მიაწერენ და ყოველივეს არჩევნების მოახლოებას უკავშირებენ. თავად მიხაილ კოდანევმა კი, დაკავებამდე სამი საათით ადრე, გაზეთ "ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში საკუთარი დაპატიმრება იწინასწარმეტყველა: **"მე ახლა ვზივარ ქალაქ კუდინკარის სასტუმროს ნომერში და ველი, როდის გამოჩნდებიან სპეცსამსახურების თანამშრომლები,** - უთხრა მან ჟურნალისტს, - **დამირეკეს მეგობრებმა მოსკოვიდან და მითხრეს, რომ ფედერალური უშიშროების სამსახურმა ჩემი დაპატიმრების ბრძანება გასცა. აქეთ მიდიოდა ყველაფერი. ჯერ უცნობი პირები მემუქრებოდნენ და ამის გამო ახლა დაცვის თანხლებით დავდივარ. ახლა დააპატიმრეს ორი პიროვნება სიკტივკარიდან, საიდანაც მეც და ჩემი დაცვის წევრების უმეტესობაა წარმოშობით. ყოველივე ეს მიანიშნებს ჩემს წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციაზე. დაკავებულთა გვარები ჩემთვის უცნობია, თუმცა ნახევარი სიკტივკარი მიცნობს და ვფიქრობ, ჩვენ შორის შეხების წერტილების გამოქექვა არ გაუჭირდებათ. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ დაკავებულებს აღიარებინებენ, რომ სწორედ მე შევუკვეთე იუშენკოვის მკვლელობა. ეს ახლა ძალიან აწყობთ ჩვენს ოპონენტებს "ლიბერალური რუსეთიდან" – პოხმელკინს და ხელისუფლებას"**.

სავარაუდოდ, კოდანევს გუშინ მოსკოვში ჩაიყვანდნენ და მას იქ უკვე გენერალური პროკურატურის გამომძიებლები დაკითხავენ.

ინფორმაცია

იტალიაში ტერორიზმში ეჭვმიტანილნი დააკავეს

იტალიის პოლიციამ ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევაში ეჭვმიტანილი ექვსი პირი დააკავა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ იტალიის ფინანსური პოლიციის 170-მა ოფიცერმა, საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, მილანისა და მისი შემოგარენის 40-მდე სახლში ჩხრეკა ჩაატარა. ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის თქმით, მისი კოლეგები მეშვიდე ეჭვმიტანილის ძებნას განაგრძობენ. "ამ ხალხს ბომბები არ აუფეთქებია, მაგრამ ხელს უწყობდნენ მათ, ვინც ამას აკეთებდა და ჩართულნი იყვნენ სხვადასხვაგვარ დანაშაულებრივ მოღვაწეობაში", - ამბობს იგი. დაკავებული ექვსეულიდან ხუთი მაროკოელია, ერთი – ტუნისელი. მათ ბრალად ედებათ ექსტრემისტული ისლამისტური დაჯგუფების, კერძოდ, ერთ-ერთი ალჟირული დაჯგუფების ბოევიკების დაფინანსება. ამასთანავე, დაპატიმრებულები ეჭვმიტანილნი არიან საზღვარგარეთ, ბოევიკთა მოსამზადებელ ბანაკებში ემიგრანტების მოტყუებით გაგზავნაში.

შარშან მილანში უკვე გაასამართლეს ერთი ტუნისელი, რომელიც დამნაშავედ სცნეს ყალბი დოკუმენტების დამზადებასა და უკანონო იმიგრაციის ხელშეწყობაში. ის 2001 წლის აპრილში დააპატიმრეს "ალ-ქაიდასთან" კავშირში ეჭვის მიტანის გამო, თუმცა, მოგვიანებით ეს ბრალდება მოუხსნეს.

იტალიის ფინანსური პოლიცია კი ამ ეტაპზე რამდენიმე კომპანიის საქმიანობას იკვლევს – ეჭვი აქვთ, რომ ისინი მუსულმან ექსტრემისტებს აფინანსებენ.

უგანდაში 100-მდე მოსწავლე გოგონა გაიტაცეს

უგანდელმა აჯანყებულებმა კათოლიკური სკოლის 100 მოსწავლე გოგონა გაიტაცეს.

აჯანყებულების ქალაქში შეჭრამ ათასობით მცხოვრების საკუთარი სახლებიდან გაქცევა გამოიწვია. ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში კი აჯანყებულები ავტობუსს დაესხნენ თავს და ოთხი ადამიანი მოკლეს. უგანდის ჯარებმა ოპერაცია წამოიწყეს აჯანყებულთა გასანადგურებლად.

უგანდის არმია ცდილობს, სამხრეთ უგანდაში განლაგებული ბაზებიდან გამოდევნოს აჯანყებულები, რომელთაც სათავეში თვითმარქვია წინასწარმეტყველი ჯოზეფ კონი უდგას, და ამით 16-წლიანი აჯანყება დაასრულოს.

1987 წელს დაწყებული საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, აჯანყებულებმა ჩრდილოეთ უგანდის ტერიტორიებიდან, დაახლოებით, 20 ათასი ბავშვი გაიტაცეს. როგორც წესი, გატაცებული ბიჭები მომავალ მეომრებად ყალიბდებიან, გოგონები კი აჯანყებულთა საყვარლები ხდებიან.

"რუსული რულეტკის" მსხვერპლნი

ორი ამერიკელი მოზარდის თამაში ტრაგიკულად დასრულდა. საქმე ის გახლავთ, რომ მათ "რუსული რულეტკის" თამაში განიზრახეს, რომლის დროსაც ერთმა მეორეს საფეთქელში ტყვია ჩაუჭედა. ახლა მას განზრახ მკვლელობის ბრალდებით გასამართლება ემუქრება. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ბიჭებმა თამაშის წესებს გადაუხვიეს და იმის ნაცვლად, რომ საფეთქელზე იარაღი თავადვე მიედოთ, ერთმანეთს ესროდნენ. პოლიციის ცნობით, 32 მმ ყალიბის რევოლვერით "გართობის" შედეგად მოკლულ იქნა ედი პენი, მის მეგობარს კი, რომლის ვინაობას სამართალდამცველები არ ასახელებენ, ხანგრძლივი პატიმრობა ელის.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, დაღუპულის მეგობარი, თავდაპირველად, სამართალდამცველთა შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და ამბობდა, რომ მათ ქუჩაში უცნობმა ესროლა. თუმცა, სიმართლე მალევე აღიარა. დაკავებული ირწმუნება, რომ, როდესაც სროლის ხმა გაიგო, გაშეშდა და 40 წუთი ვერ მოიკრიბა ძალა, რომ პოლიციაში დაერეკა.

პოლიციელთა თქმით, მსგავსი შემთხვევები არც თუ იშვიათია.

მოკლედ

თბილისი. "ეი-ი-ეს თელასში" განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი კიდევ ერთი პიროვნების გვარი გამოიკვეთა. ქალაქის პროკურატურამ შ.პ.ს. "GB და CO"-ს პრეზიდენტის გოჩა ბალახაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ქალაქის პროკურატურაში განაცხადეს, ბალახაძეს 1 მლნ. ლარზე მეტი ოდენობის "შავი ფულის გათეთრება" ედება ბრალად და საქმე თაღლითობის მუხლით არის აღძრული, თუმცა გამოძიება არ გამორიცხავს დაკავებულის კავშირს "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობასთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის ხელისუფლების შს მინისტრი აბესალომ ბეია გალის რაიონში დამატებითი აფხაზური ძალების შეყვანას ადასტურებს და ქართულ მხარეს აფხაზეთში საზაფხულო სეზონის ჩაშლასა და დესტაბილიზაციაში ადანაშაულებს. ბეია შეშფოთებას გამოთქვამს გალის რაიონის მისადგომებთან საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ქვედანაყოფების კონცენტრაციის გამო და რაიონში აფხაზური სამხედრო კონტინგენტის გაძლიერებას იძულებით კონტრღონისძიებად" აფასებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ოთხშაბათს, საღამოს, მდინარე ენგურის ხიდზე მომხდარი ფაქტი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კრიმინალური გარჩევებით ახსნა. მისი თქმით, ამ ხიდზე დანიშნული იყო შეხვედრა ქართველ და აფხაზ კონტრაბანდისტთა კრიმინალურ ჯგუფებს შორის, რომლის დროსაც სროლა ატყდა, დაიღუპნენ აფხაზი ლომია და ქართველი ქორთუა, რომლებიც ადრე ოჩამჩირის რაიონში ერთად ცხოვრობდნენ, ასევე მძიმედაა დაჭრილი ქართველი ნარმანია. როგორც სერგეი შამბამ აღნიშნა, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს აფხაზეთის შსს. მისი თქმით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები მომხდართან დაკავშირებით არ აპირებენ გალის რაიონში რაიმე სადამსჯელო ღონისძიებათა გატარებას. აფხაზეთში საქართველოს სამშვიდობოების წარმომადგენლობის უფროსის, სამხედრო მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკის ვალერი ჯაფარიძის ინფორმაციით, ქართულ-აფხაზურმა მხარეებმა, რუსმა სამშვიდობოებმა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლებმა ოთხმხრივი კომისია შექმნეს, რომელიც მომხდარის დეტალებს შეისწავლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

გალი. გუშინ, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე განიხილეს 22 ივნისს, გალის რაიონის სოფელ კოხორაში მომხდარი ინციდენტი. ამ დღეს სამი შეიარაღებული პირი თავს დაესხა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ინფორმაციის მინისტრის და ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის წევრის თამაზ ხუბუას დის ოჯახს. საქმეს, კონფლიქტის ზონაში მოქმედი ოთხმხრივი კომისიის გარდა, აფხაზთა ე. წ. უშიშროების სამსახურიც იძიებს. აფხაზურმა მხარემ დღევანდელ შეხვედრაზე კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თავდასხმა პოლიტიკური მოტივით მოხდა. მათი თქმით, ეს მორიგი კრიმინალური შემთხვევა იყო. სეპარატისტებმა პირობა მისცეს ქართულ მხარეს, რომ ამ ფაქტის გამოძიება უმოკლეს დროში დასრულდება, რადგან მათი უშიშროების სამსახური უკვე ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც, ჯერჯერობით, არ ახმაურებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "მეტადონის" რეალიზაციის ფაქტზე ნატო ბარკალაია დააკავა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ბარკალაია მეტროს სადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მას 5 "ჩეკად" დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრი.

დაკავებულია წყნეთში მცხოვრები, ნასამართლევი ვახტანგ ჯავახიშვილი და დავით მეგრელიძე; რუსთავში მცხოვრები, ნასამართლევი, 20 წლის ლევან კორკოტაშვილი და თბილისში მცხოვრები ჯუმბერ ბლიაძე. 22 ივნისს აღნიშნული პირები თავს დაესხნენ N194 სამარშრუტო ტაქსს, ცივი იარაღის მუქარით გაძარცვეს მძღოლი ზურაბ საყვარელიშვილი და მგზავრები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ცხინვალი. გუშინ, ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში, ნებაყოფლობით გამოცხადდა რიგითი მიხეილ მამაგულაშვილი. მას 23 ივნისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ნიქოზის საგუშაგოზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი შემთხვევით გაუვარდა, რის შედეგადაც 20 წლის რიგითი შალვა მსხილაძე დაიღუპა. მამაგულაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დღემდე ძებნილად იყო გამოცხადებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბოლო ორ დღეში პოლიციამ დეზერტირობისთვის ძებნილი შვიდი პირი დააკავა. შვიდივე უკვე წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. ქვემო ქართლის სამხედრო პროკურატურის მონაცემებით, ბოლო ექვს თვეში დეზერტირობის 70-ზე მეტი საქმეა გადაგზავნილი სასამართლოში. **მედია-ნიუსი**

გეკონი ადამიანს ჭერზე სიარულს ასწავლის

თურმე გეკონისგანაც შეიძლება რაღაცის სწავლა



გეკონის თითები მიკროსკოპის ქვეშ

დაივიწყეთ ადამიანი-ობობა, იგივე სპაიდერმენი. ცოტა ხანიც და მსოფლიო გეკომენზე ალაპარაკდება, რადგან მანჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ახალი მასალა, რომელიც ხვლიკის სახეობა გეკონის თათების მსგავსად, ნანოსკოპური თმებითაა დაფარული, და ერთგვარი მისაწოვრებით ნებისმიერ ზედაპირს ეკრობა.

რა შუაშია სპაიდერმენი? იკითხავთ თქვენ. რა შუაშია და ამ ახალი მასალის მეშვეობით ადამიანი კედლებზე და ჭერზე სიარულს (ცოცვას) შესძლებს. ზუსტად ისე, როგორც ამას გეკონი (gecko) აკეთებს. საკმარისია, ხელზე წამოიცვათ ამ ახალი მასალით დაფარული თათმანი და კედლებზე ცოცვაში ხელს აღარაფერი შეგიშლით...

გეკონის თათები მილიონობით კერატინული თმითაა დაფარული, რომელთა წყალობითაც ამ პატარა ხვლიკისებრ არსებას ყველაზე გაპრიალებულ ზედაპირზეც კი გულაღმა თავისუფლად შეუძლია გადაადგილება. ამგვარი თმები ერთობლიობაში ხახუნის საკმაოდ დიდ ჯამურ ძალას ქმნიან, რისი წყალობითაც შესაძლებელია ჭერზე სიარული. ყველაფერი კი მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალებით აიხსნება, რომელიც ფიზიკაში ვან დერ ვაალსის ძალადაა ცნობილი.

მანჩესტერის უნივერსიტეტში კი შექმნეს გეკონების თათების ზედაპირის სინთეტიკური ანალოგი, რომელიც ერთობ რბილი და მოქნილია, რათა მისი გამოყენება უსწორმასწორო და მტვრიან ზედაპირებზეც იყოს შესაძლებელი.

ყოველი თმის, ანუ ღერაკის (ისინი დამზადებულია მასალისგან, რომელსაც კაპტონი ეწოდება) სიმაღლე ორი მიკრონია (მიკრონი მეტრის მემილიონედია), დიამეტრი კი ოდენ 0.2 მიკრონს (ზუსტად ამ ზომისაა გეკონის თათების თმები) შეადგენს. შესაბამისად, ახალი მასალის ერთ კვადრატულ სანტიმეტრ ზედაპირზე დაახლოებით ასი მილიონი ამგვარი ღერაკია მოთავსებული და მას ერთი კილოგრამის "ტარება" შეუძლია.

მანჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერ ანდრე ჯეიმსა და მის კოლეგებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ შექმნილი მასალა სრულებით საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა ჭერზე გადაადგილება შეძლოს. ამასთან, ზედაპირიდან ამ მასალის აძრობისთვის საკმარისია მისი ერთი მხრიდან წამოწევა.

"სპაიდერმენი სამეცნიერო ფანტასტიკის ნაყოფია და ის მხოლოდ კომიქსებში დარჩება. სამაგიეროდ, გეკო-მენი სულაც არ არის ფიქცია და მალე ის რეალურ ცხოვრებაში შემოაღწევს", - აცხადებს ჯეიმი.

მანჩესტერელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ შექმნილი ახალი მასალა ბევრ სფეროში გამოდგება. მაგალითად, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას საბურავების ზედაპირად, ან ისეთი რობოტების შექმნისას, რომლებსაც კედლებზე გადაადგილება შეეძლებათ.

თუმცა, ჯეიმი აცხადებს, რომ ამ მასალის შექმნის ლაბორატორიული მეთოდი სულაც არაა გამოსადეგი მისი მასობრივი წარმოებისთვის. მანჩესტერის უნივერსიტეტში სულ რაღაც 4 კვადრატული სანტიმეტრის ფართობის მქონე ლენტა შექმნეს, რაც იმით აიხსნება, რომ მისი დამზადება ძალიან რთულია.

თანაც, კაპტონის ღერაკები არც ისე გამძლეა, რომ მათი მრავალჯერადი გამოყენება იყოს შესაძლებელი. ერთხელ გამოყენების შემდეგ ისინი ან ძვრება ზედაპირს, ანაც ერთმანეთს ეკრობა, რაც მასალის ეფექტურობას ამცირებს. ჯეიმი ამბობს, რომ მას და მის ჯგუფს სურდათ, იმ ზომის ლენტა შეექმნათ, რომ ადამიანის ხელის გულის დაფარვა ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

მოკლედ, წარმოებამდე მანჩესტერულ მასალას ჯერაც ბევრი უკლია...

იაპონიაში უზუსტესი ატომური საათი შექმნეს

იაპონიის ქალაქ ცუკუბას სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს ატომური ქრონომეტრი, რომლის ცდომილებაც 20 მილიონ წელიწადში მხოლოდ ერთი წამია. საათი მოქმედებს ცეზიუმის ატომებზე, რომლებიც საკუთარი რხევების შესაბამისად ადგენენ დროს. ამასთან, ატომების მოძრაობის კორექტირება ლაზერული სხივის საშუალებით ხდება.

სპეციალისტების თქმით, მათ მიერ შექმნილ ქრონომეტრზე მალე მთელი იაპონია გაასწორებს დროს. ამასთან, მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი ქმნილების საშუალებით შესაძლებელი გახდება დღეისათვის მოქმედი უზუსტესი ატომური საათების სიზუსტის გაზრდა. ეს საათები გლობალური პოზიციონირების სისტემის თანამგზავრებში გამოიყენება.

ძაღლები რენტგენის ნაცვლად

კემბრიჯის უნივერსიტეტისა და იმავე ქალაქის ჰოსპიტალ "ადენბრუკსის" მეცნიერები ირწმუნებიან, რომ შესაძლებელია ძაღლების იმგვარად დაგეშვა, რომ მათი ადამიანების შარდში კიბოს უჯრედების აღმოჩენა შეეძლოთ.

ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში პროსტატის კიბოთი ოცი ათასზე მეტი ადამიანი იღუპება. მეცნიერების აზრით, შესაძლებელია ძაღლების იმგვარად დაგეშვა, რომ მათი გამოყენებით ექიმებმა დაავადების ადრეულ სტადიაში აღმოჩენა შეძლონ და თანაც ისე, რომ საჭირო არ იქნება პაციენტის დასხივება.

ამ მიზნისთვის სპეციალური ერთწლიანი წვრთნები ჩაუტარდებათ ლაბრადორისა და ალსატინის ჯიშის ძაღლებს. სწავლების შემდეგ ძაღლები დაესწრებიან პაციენტთა შარდის გამოკვლევას და სწორედ მაშინ გამოჩნდება, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მათი პრაქტიკაში გამოყენება.

მსოფლიო რეკორდი ლაზერით ენერგიის გადატანაში

ლოურენს ლივერმორის ეროვნულ ლაბორატორიაში დამყარდა მსოფლიო რეკორდი ლაზერული სხივით ენერგიის გადატანაში - მეცნიერებმა ერთ სხივში თავი მოუყარეს 10400 ჯოულს.

ლაბორატორიის ლაზერულ სისტემას სტადიონის ზომის შენობა აქვს დაკავებული და 192 სხივის საშუალებით ორ მილიონამდე ჯოულის გადატანა შეუძლია.

დანადგარს ხელეწიფება იმდენი წნევისა და ტემპერატურის წარმოქმნა, რამდენიც ბირთვული აფეთქების ეპიცენტრში გამოთავისუფლდება. დღეისათვის ცენტრის მეცნიერები ატარებენ რიგ ცდებს, რომლებიც 2008 წლისთვის დასრულდება და მეცნიერებს ენერგიის უდანაკარგო გადატანის მექანიზმების შემუშავებაში დაეხმარება.

ანტიდამჟანგავები ტვინს ალკოჰოლიზმისგან იცავენ

ვირთხებზე ჩატარებული ექვსკვირიანი გამოკვლევების შედეგად, ესპანელი და ამერიკელი მკვლევარები, რომლებსაც კორნელის უნივერსიტეტის დოქტორი დენიელ ერერა ხელმძღვანელობდა, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბუნებრივ ან სინთეტიკურ ანტიდამჟანგავებს (ანტიოქსიდანტებს), რომლებიც ორგანულ ნივთიერებათა ჟანგვას ამუხრუჭებენ, და ცნობილნი არიან, როგორც კიბოს უჯრედების გამანადგურებლები, ასევე შეუძლიათ ტვინის უჯრედების ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან დაცვა.

ექსპერიმენტის დროს ცხოველებს ალკოჰოლურ დიეტაზე ამყოფებდნენ. მათგან იმ ვირთხებს, რომლებშიც ინექციის სახით შეჰყავდათ ანტიოქსიდანტი სახელად ებსელენი, ტვინის არავითარი დამანგრეველი პროცესები არ აღენიშნებოდათ. თითქოს, ისინი ალკოჰოლს სულაც არ ღებულობდნენ.

როგორც ცნობილია, ტვინის გარდა ალკოჰოლი აზიანებს ღვიძლსა და საჭმლის მომნელებელ ორგანოებსაც. ერერა და მისი კოლეგები კი ვარაუდობენ, რომ ტვინის გარდა ანტიოქსიდანტებს შეიძლება მათი დაცვაც ხელეწიფებოდეს.

ატიპური პნევმონიის ვირუსს სიცხე და მზე ანადგურებს

ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი დუნ სიაოპინი აცხადებს, რომ მაღალ ტემპერატურასა და ულტრაიისფერ სხივებს ადვილად შეუძლიათ ატიპური პნევმონიის ვირუსის შემუსვრა.

დუნის ხელმძღვანელობით მომუშავე მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ატიპური პნევმონიის გამომწვევი კორონავირუსი მეტად მგრძნობიარეა მაღალი ტემპერატურის მიმართ. იგი ხუთ დღეს უძლებს 25 გრადუსიან ტემპერატურას, სულ საათნახევარი არსებობს 56 გრადუსიან სიცხეში და ოდენ ნახევარ საათს ძლებს 75 გრადუსიან გარემოში.

ამასთან, ჩინელი ექსპერტების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ულტრაიისფერ სხივებს, რომელიც ტოლფასია იმ გამოსხივებისა, რომელსაც ადგილი აქვს პეკინში დილის ათ საათზე, სამ საათში შეუძლია ვირუსის განადგურება.

თამბაქოს სარგებლის მოტანაც შესძლებია

როგორც ინგლისელი და ამერიკელი მკვლევარები ირწმუნებიან, თამბაქოს მოდიფიცირებულ ნაირსახეობას ცოფის ვირუსისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი გააჩნია. როგორც ცნობილია, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა პრაქტიკულად არ არსებობს და მას მკურნალობენ ცხენებისა და ადამიანებისგან აღებული ანტისხეულების საფუძველზე შექმნილი ვაქცინით.

ფილადელფიის ტომას ჯეფერსონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰილარი კოპროვსკიმ მოახერხა ცოფის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამომმუშავებელი დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) თამბაქოში შეყვანა, რითიც საინტერესო შედეგი მიიღო - ამ ხერხით მოდიფიცირებული მცენარის მიერ წარმოებული ანტისხეულები ქმნიან სრულიად ახალ ანტისხეულებს, რომლებიც უკავშირდებიან ვირუსს და ნეიტრალიზებას უტარებენ მას.

ეს მეთოდი უკვე გამოიცადა ცხოველებზე და ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მკურნალობის ამგვარ მეთოდს არც ალერგია და არც რაიმე უკუქმედება არ მოჰყოლია. კოპროვსკის მიაჩნია, რომ იგივე შედეგია მოსალოდნელი მეთოდის ადამიანებზე გამოყენების შემთხვევაშიც.

ირანელ სიამის ტყუპებს სინგაპურში დააშორიშორებენ

ტყუპებს ოპერაციამდე სრულფასოვანი გამოკვლევები უტარდებათ

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სინგაპურელი ექიმები ზრდასრული ირანელი სიამის ტყუპების, ლალე და ლადან ბიჯანის დაშორებას შეეცდებიან. ქირურგთა ჯგუფს უხელმძღვანელებს კეიტ გო, რომელმაც განაცხადა, რომ დებს გათვითცნობიერებული აქვთ ის ხიფათი, რაც შესაძლოა ორივეს ან რომელიმე მათგანის სიცოცხლეს დაემუქროს, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი აქვთ დაშორება.

"ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, მივაღწიეთ ოპერაციას. ცოტას ვნერვიულობთ კიდეც, მაგრამ შიშზე მეტად სიხარულს და ბედნიერებას ვგრძნობთ. ჩვენ ხომ ძალიან დიდხანს ველოდით ამას", - ამბობს ლადან ბიჯანი.

თავით გადაბმული ტყუპების დაბადების ალბათობა ორ მილიონში ერთია. ბიჯანები 29 წლის წინ დაბადებულან და გადაწყვეტილი აქვთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, დაშორიშორებას მიაღწიონ. ექიმები კი, მიუხედავად დიდი რისკისა, თანახმანი არიან ესოდენ რთულ ოპერაციაზე.

აღსანიშნავია, რომ გოს და მის ჯგუფს მსგავსი ოპერაცია 2001 წლის აპრილშიც ჩაუტარებიათ. მაშინ მათ 11 თვის ნეპალელი დები, ჯამუნა და განგა შრესთა დააშორეს, რასაც ოთხდღიანი (!) ოპერაცია დასჭირდა. თუმცა, გო და მისი ასისტენტები აცხადებენ, რომ ზრდასრულ ტყუპებზე ოპერაცია გაცილებით რთული და სარისკო იქნება.

ოპერაციაზე დათანხმებამდე სინგაპურელმა ქირურგებმა ირანელ დებს ფსიქოლოგიური და ყველანაირი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. გო აცხადებს, რომ ოპერაცია განხორციელებადია, რამეთუ დებს ანატომიურად გაყოფილი თავის ტვინები აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურამდე დებს გერმანიაში, 1996 წელს სურდათ ოპერაციის ჩატარება, მაგრამ დიდი რისკის გამო იქაურმა ქირურგებმა საქმეზე ხელის მოკიდება ვერ გაბედეს. და მაინც, დებმა გაგრძელეს ძიება, რამეთუ ძალიან სურდათ დამოუკიდებლად არსებობა და როგორც კი გაიგეს გოს მიერ ნეპალელი დების დაშორიშორების ამბავი, მაშინვე სინგაპურს მიაშურეს.

ბიჯანებს უკვე არჩეული აქვთ თავიანთი პროფესია. არჩეული კი არა, შესაბამისი ხარისხებიც მიღებული აქვთ - ლადანი, დებში უფრო მოლაპარაკე, დიპლომირებული ადვოკატია და ირანის ქალაქ შირაზში ცხოვრება სურს. ლალეს კი ჟურნალისტის დიპლომი აქვს და თეირანისკენ მიუწევს გული.

თურმე გოს მოლაპარაკების დროს დებისთვის ურჩევია, ოპერაციისგან თავი შეიკავეთო, მაგრამ პასუხად მიიღო - "დაშორება ჩვენი ცხოვრების მთავარი ოცნებაა და დიდი რისკის მიუხედავად, მასზე უარს ვერ ვიტყვით".

დებმა გომდე შვიდი თვის წინ მიაღწიეს და ხანგრძლივი გასინჯვებისა და გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა ოპერაციაზე თანხმობა განაცხადეს.

"ჩვენ ოპერაციის შიში არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, ის დიდ რისკთანაა დაკავშირებული. სამაგიეროდ, დარწმუნებულნი ვართ, რომ ასე ცხოვრების გაგრძელებას რისკი გვირჩევნია", - ამბობენ დები, რომლებიც სხვადასხვა პროფილის ექიმებმა შეისწავლეს და ქირურგთა ჯგუფისთვის საჭირო რეკომენდაციები შეიმუშავეს.

ჟურნალისტებმა, ყოველი შემთხვევისთვის, დებს ბოლო სურვილზე ჰკითხეს, რაზეც მათ უპასუხეს: "როცა პირველად თვალი გავახილეთ და შუქი ვიხილეთ, მაშინვე ჩვენი სურვილი დაშორიშორება იყო", - უპასუხა ლადენმა და დასძინა: "ჩვენ სხვადასხვა პროფესია გვაქვს არჩეული. მე ადვოკატობა მსურს, ლალეს კი თქვენსავით ჟურნალისტობა აქვს არჩეული. ორივეს ბევრი გარჯა მოგვიწევს ოპერაციის შემდეგ".

სინგაპურელი ნეიროქირურგების გარდა, ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკელი, იაპონელი, ფრანგი და შვეიცარიელი სპეციალისტები. წინასწარი ვარაუდით, ოპერაცია მინიმუმ სამ დღეს გასტანს და დაახლოებით 289 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდება.

ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებს პედიატრიული ქირურგიის დოქტორი ბენჯამინ კერსონი, რომელმაც 1987 წელს გერმანიაში ტყუპი ძმები დააშორა ერთმანეთს. ათი წლის შემდეგ მისი ხელმძღვანელობით სამხრეთ აფრიკელმა ქირურგებმა ექვსი თვის ტყუპი დები დააშორეს ერთმანეთს.

თუ მოსამზადებელი სამუშაოები გეგმის შესაბამისად წარიმართა, მაშინ ოპერაცია ივლისის დასაწყისში ჩატარდება.

www.24hours.ge 24 B

ევგენი მიქელაძის პირველი და უკანასკნელი დღეები ოპერის თეატრში

დიდი მაესტრო 100 წლის წინ, 1903 წლის 27 ივნისს დაიბადა

შორენა ლებანიძე

როცა საპრემიერო ფრაკში გამოწყობილი მაესტროს ზურგსუკან საკნის კარი გაჯახუნდა, მაიორ ქობულოვის მიერ წითელი ფანქრით ხელმოწერილი საიდუმლოგრიფიანი ცნობა უკვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, სერგო გოგლიძის მაგიდაზე იდო. უშიშროების სამმართველოს თანამშრომლები დაპატიმრების დადგენილებისა და დაკითხვის სტენოგრაფიული ჩანაწერისგან საგამოძიებო საქმის პირველ გვერდებს კინძავდნენ. ოპერის ადმინისტრაციამ ჯერ არაფერი იცოდა. "ლატავრას" გენერალური რეპეტიციის დამთავრების შემდეგ მოწვეულ თათბირზე სადღესასწაულო წარმოდგენის ნიუანსებს განიხილავდნენ. სამხატვრო ხელმძღვანელობის მთელი გულისყური ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლისაკენ იყო მიმართული. ამიტომ არავის შეუნიშნავს, ვინ გაიხმო დირექტორის კაბინეტიდან "ლატავრას" საეჭვო შემოქმედებით ღირებულებებსა და წარმოდგენის ტექნიკურ ხარვეზებზე მოსაუბრე ევგენი მიქელაძე, როდის გათავისუფლდა სკამი დამწყები დირიჟორის, ოდისეი დიმიტრიადის გვერდით.

ყველაფერი კი შემდეგნაირად მოხდა: "ევგენი სემიონოვიჩ!" – დაახლოებით, ღამის პირველ საათზე მოესმა მიქელაძეს პარტიული კომიტეტის მდივნის ხმა და სანამ ბელადის პორტრეტქვეშ შეკრებილი საზოგადოებისაგან წუთით გასვლის ნებას ითხოვდა, სპექტაკლის შეფასება სოლისტთა ჩაცმულობაზე აზრის გამოთქმით დაასრულა: "ვფიქრობ, ხვალისთვის სამი ახალი კოსტიუმი მზად გვექნება." პოლემიკა დავით ჯავრიშვილმა განაგრძო. მაესტრომ კარი გაიხურა და ადგილზე გაშეშდა. დერეფანში ჩამოწოლილ წყვდიადს სამი უცნობი მამაკაცის სილუეტი გამოეყო. პარტიული კომიტეტის მდივანი აღარსად ჩანდა. მიქელაძეს უნებურად თეატრის ყოფილი დირექტორის, აკაკი ჭყონიას ექვსი თვის წინანდელი მკვლელობა გაახსენდა. ჭყონია შინსახკომელებს არ წაუყვანიათ. მას თვითგასამართლება წელან წამით გამოჩენილმა და უმალვე გამქრალმა პარტკომმა მოუწყო – კაბინეტში უბოდიშოდ შეეჭრა და ნაგანიდან ნასროლი ერთადერთი ტყვიით შუბლი გაუხვრიტა.

ასე მიულოცეს ქართული ხელოვნების დეკადაზე მოპოვებული ტრიუმფალური წარმატება ორდენოსანი თეატრის ხელმძღვანელს. ასე შეაღწია ტერორმა სარკეებიან წითელ ფოიეში, სადაც შავი ფრაკით მოსილი მაესტროს ადგილი სადირიჟორო პულტთან 5 ნოემბრის დილას შალვა აზმაიფარაშვილმა დაიკავა.

ევგენი მიქელაძე ხალხის მტრად შერაცხული სარეპერტუარო კომისიის წევრებისა და ხელოვნების სამმართველოს თანამშრომლების კვალს გაუყენეს, რევოლუციური სულისკვეთებისაგან დაცლილი სპექტაკლების შერჩევის ფარული საბაბით. სამაგალითოდ 7 ნოემბრის დღესასწაულისათვის, იდეოლოგიური თვალსაზრისით, შეუსაბამო "ლატავრას" დადგმაც კმაროდა, რომლის თანმდევი შემოქმედებითი თუ ტექნიკური ხასიათის სირთულეები სამხატვრო გეგმის ჩაშლის მცდელობად შეფასდა. თუმცა ფალიაშვილის ოპერაზე არჩევანი შემთხვევით შეჩერდა:

"რევოლუციის მეოცე წლისთავს შალვა თაქთაქიშვილის ბალეტით უნდა შევხვედროდით, მაგრამ კომპოზიტორმა "კოლხეთის" პარტიტურის დასრულება ოქტომბრის ბოლოსთვის ივარაუდა. მოსამზადებლად დრო აღარ გვყოფნიდა. სამხატვრო საბჭოზე "კოლხეთის" ნაცვლად "ლატავრას" დადგმა გადავწყვიტეთ," – განმარტა ევგენი მიქელაძემ გენერალური რეპეტიციის შემდეგ მოწვეულ სასწრაფო თათბირზეც და მოგვიანებით უშიშროების მაიორ ქობულოვისათვის მიცემულ პირველ ჩვენებაშიც.

ცხადია, თეატრის მთავარი დირიჟორის ბედი ფალიაშვილის ნაწარმოებს არ განუსაზღვრავს. ხელოვნებაზე ზრუნვის სახელით წამოწყებული ბრძოლის მიღმა პარტიული ნომენკლატურის ინტერესები იდგა. მუსიკალური სამყაროს ავტორიტეტისა და ხელისუფლების პირველი პირის დაპირისპირებას კონიუნქტურისადმი დიდი ხელოვანის შეურიგებლობა, ან პარტიული მოღვაწის წვრილმანი ამბიციები ედო საფუძვლად.

დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი დეკადისათვის მზადების პერიოდს იხსენებს:

"ლავრენტი პავლოვიჩი გამუდმებით თეატრში ტრიალებდა, განკარგულებებს იძლეოდა, რეპეტიციებს ესწრებოდა, რაც ჟენიას ძალიან არ მოსწონდა."

მუსიკოს გიორგი თაქთაქიშვილის ვაჟი, ირაკლი თაქთაქიშვილი:

"მამამ მიამბო, რომ ერთხელ რეპეტიციის მსვლელობისას წითელ ფოიეში ხმაურით შესულმა ბერიამ ორკესტრანტებისათვის შენიშვნების მიცემა სცადა. მიქელაძემ დირიჟორობა შეწყვიტა, ლავრენტი პავლოვიჩს მიუბრუნდა და მკაცრად მიახალა: "ჩემს საქმეში თქვენზე მეტი გამეგება."

ევგენი მიქელაძეს სადეკადო სპექტაკლების მუსიკალური ხელმძღვანელობის საშუალება მისცეს. "დაისმა", "აბესალომმა", "დარეჯან ცბიერმა", "ქეთომ და კოტემ" მოსკოვის დიდი თეატრი დაიპყრო. ვიოლონჩელისტი ლევ ნეიმანი ორკესტრანტთა ორმოდან გარკვევით ხედავდა სამთავრობო ლოჟაში მჯდომ უმაღლეს პარტიულ ელიტას, სახეგაბადრულ სერგო ორჯონიკიძესა და იოსებ სტალინს, რომელთა შორის ლავრენტი პავლოვიჩის ადგილი არ მოიძებნა. დარბაზში გამოჩენილი ბერია მისალმების ნიშნად თავის დაკვრის შემდეგ პარტერის პირველი რიგისაკენ მიემართებოდა.

ჭალათი და მსხვერპლი: სერგო ორჯონიკიძე და ევგენი მიქელაძე

ევგენი მიქელაძე ფეხბურთის შემდეგ

ლევ ნეიმანი: **"ქართული მუსიკის ტრიუმფი 1937 წლის იანვრის ბოლოს კრემლში გამართული ბანკეტით აღინიშნა. სტალინმა ხელი სათითაოდ ჩამოგვართვა, გეორგიევსკის დარბაზში გაშლილ სუფრასთან მიგვიწვია, თბილისიდან ჩასულ პარტიულ ელიტასა და თეატრის ხელმძღვანელობას მოგვიანებით ცალკე უმასპინძლა, ორდენებითა და პრემიებით დაგვაჯილდოვა."**

ევგენი მიქელაძე მოსკოვიდან შრომის წითელი დროშის ორდენით დაბრუნდა, თბილისში კი ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დაახვედრეს – ლეგენდად ქცეული "დაისისა" და "აბესალომის" აჟღერებისათვის, წარმატებული ორკესტრისა და ქართული ბალეტის ჩამოყალიბებისათვის, ნიჭიერ შემსრულებელთა მოზიდვისა და მუსიკალური ცხოვრების განახლებისათვის...

მაგრამ ეს დიდებისა და ხელისუფალთა წყალობის ზღვარი იყო, "ოქროს ხანა", რომლის დასასრულზეც აკაკი ჭყონიას კაბინეტიდან გამოღწეული სროლის ხმა იუწყებოდა.

დირექტორის მკვლელობის შემდეგ შექმნილ დაძაბულობას მიქელაძემ თავი შვებულებაში გასვლით გაარიდა. წყალტუბოს გაემგზავრა – სტუდენტობიდან რევმატიზმი, ხელის პროფესიული დაავადება აწუხებდა. რევმატიზმი ლენინგრადის ყინვამ გაუმწვავა (კონსერვატორიის სადირიჟორო კლასში სწავლისას, ზამთრობით უყურსაფრო ქუდით, უშარფოდ, შინელისამარა დააბიჯებდა), ხელის დაავადება კი ფორტეპიანოზე დაკვრისას გამოჩენილმა თავგამოდებამ შესძინა.

ივნისის დამლევს თეატრში გამოცხადებულს, მისი მოსალოდნელი "მხილების" შესახებ მოარული ხმები და სიდედრ-სიმამრის, მარიამ და მამია ორახელაშვილების დაპატიმრების ამბავი დაახვედრეს.

"შევშინდი... ქალაქში ადგილს ვერ ვპოულობდი... პოლიტიკაზე არ ვსაუბრობდი... მეჩვენებოდა, რომ ორახელაშვილების ხალხის მტრად გამოცხადების მერე ბევრი ნაცნობი ვერ მამჩნევდა... 1 სექტემბერს ბაქოში საგასტროლოდ გავემგზავრე. 8 სექტემბერს დავბრუნდი. გორდელაძისა და ბოკუჩავას დაკავების ამბავი შევიტყვე. სეზონის დროულად დასაწყებად და 7 ნოემბრისთვის "ლატავრას" დადგმის მოსასწრებად ძალა არ დავზოგე... გენერალური რეპეტიციის შემდეგ დამაპატიმრეს..." (ევგენი მიქელაძის ჩვენებიდან).

გენერალური რეპეტიციის შემდეგ მეუღლემ, ქეთევან ორახელაშვილმა მიაკითხა.

" – ნუღარ დამელოდები. თეატრში უნდა დავრჩე. წარმოდგენა არ გამოვიდა და სასწრაფო თათბირი მოიწვიეს, - სინანულით მითხრა.

ქუჩაში გავედით. იმელის შენობას ხარაჩოებს ხსნიდნენ.

- წამო, ვნახოთ, რა, იმელი, - ვთხოვე.

- არა, ხვალ...

"თუ იქნება ეს ხვალ", - უნებურად გავიფიქრე და შევხედე. დაღლილობის მიუხედავად, სახე უბრწყინავდა. დეკადით, კონსერვატორიაში მიღწეული წარმატებებით ბედნიერი იყო და რაღაც განსაკუთრებულად კარგად გამოიყურებოდა. თანაც დეკადის წინ ტიფი გადაიტანა. გაზაფხულზე გამოკეთდა, გასუქდა და ძალიან მოუხდა... დათიკო ანდღულაძე მოგვიახლოვდა.

- შეხედეთ, ბატონო დავით, რა ლამაზია.

- ხუთი წელია, ცოლ-ქმარი ხართ და ახლაღა შენიშნე? – გაიცინა."

(ქეთევან ორახელაშვილის მოგონებებიდან).

ქეთუსია შინ მარტო დაბრუნდა. ლარნაკში ევგენის მიერ შუადღისას გამოგზავნილი ყვითელი ქრიზანთემები ეწყო.

თინათინ მიქელაძე, ევგენი მიქელაძის ქალიშვილი:

"დედა მეუღლის ნაჩუქარ ყვავილებს, ოჯახური ბედნიერების უკანასკნელი დღის ყველა ნიუანსის მსგავსად, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ყვითელი განშორების ფერიაო... და, ალბათ, მისი ნაამბობის მიხედვით ამოტვიფრა გოგა შხვაცაბაიამ ქრიზანთემები მამაჩემის ქანდაკებაზე, წარწერით: "ქეთო".

"... რა თბილი ღამეა... სინათლის გამოუთიშავად ვწვები და ვიძინებ. ყურში გამზრდელის შემაძრწუნებელი ხმა ჩამესმის: "ქეთუსია, ქეთუსია!".. ოთახში სამი მამაკაცია...

ადექით!

ახლავე... თუ შეიძლება, გადით და ერთ წუთში მზად ვიქნები.

ჩაიცვით!

თუ შეიძლება, გადით.

არ შეიძლება... სად არის თქვენი ქმარი?

თეატრში.

დარწმუნებული ხართ?

- არა, აღარ ვარ დარწმუნებული." (ქეთევან ორახელაშვილის მემუარებიდან).

1937 წლის 5 ნოემბრის დილას, როცა შინსახკომელებმა ქეთევანს ქიქოძის (ახლანდელი მახარაძის) 11 ნომერში მდგარი სახლი სამუდამოდ დაატოვებინეს, დიდი მაესტრო მაიორ ქობულოვის კაბინეტში იჯდა. სერგო გოგლიძე საიდუმლოგრიფიან დოკუმენტს აწერდა ხელს, ხოლო ოპერის თეატრის დირექტორი ძველი ბრძანებების შინაარსის შემცველ ტექსტს ადგენდა: **"მოხსნილ იქნას თანამდებობიდან და ამოირიცხოს ყველა სიიდან, როგორც ხალხის მტერი – ევგენი მიქელაძე, სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი."**

ერთი სართულით ქვემოთ, წითელ ფოიეში ჯერ არაფერი იციან. პულტებთან მსხდარი ორკესტრანტები კლავირებს ხსნიან და საკრავების ხმებს ამოწმებენ, თან თვალი მსახიობთა შესასვლელიდან ამომავალი კიბისაკენ გაურბით. კიბეზე არავინ ჩანს. შვიდწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ევგენი მიქელაძე რეპეტიციაზე პირველად იგვიანებს.

ჯერ წარმოდგენაც არავის აქვს, რომ რეპეტიციაცა და ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულიც "მუსიკის ჯადოქრის" გარეშე ჩაივლის. დაიდგმება "ლატავრა". კვლავ ყველაზე უწინ მიაშურებენ მუდმივ ადგილებს პარტერის პირველი რიგისაკენ პროფესორი წულუკიძე და მსახიობი სანდრო ჟორჟოლიანი. სამთავრობო ლოჟიდან აუდიტორიას გულგრილად გადახედავს ლავრენტი პავლოვიჩი. სადირიჟორო პულტს მიუახლოვდება შალვა აზმაიფარაშვილი, რომელიც სულ მალე ევგენი მიქელაძის თანამდებობას ჩაიბარებს. ევგენი მიქელაძე კი მორიგი ჩვენების მიცემამდე **("...თავს დამნაშავედ ვგრძნობ ჩემს მიმართ წაყენებულ ბრალდებაში,.. გულწრფელად ვინანიებ და ვაღიარებ, რომ ვიყავი კონტრრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაციის წევრი... მართალია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივნის, ლ.პ. ბერიასადმი მიმართვის მორალური უფლება არ მაქვს,.. მაგრამ გთხოვთ, შემიმსუბუქოთ ხვედრი, სასჯელი...")** გაიხსენებს 7 წლის წინანდელ დებიუტს ოპერის თეატრში, როცა "კარმენის" ღია რეპეტიციის დაწყებისას მისკენ, შესაძლოა, გასამხნევებლად მიმავალ მთავარ დირიჟორსა და პირველ მასწავლებელს, ივანე ფალიაშვილს ხმის ამოღება არ აცალა, ფურცლებამოხეული პარტიტურა გაბრაზებით დახურა და სპექტაკლს ზეპირად უდირიჟორა.

გაქრა კლავირი, მაგრამ დარჩა მუსიკა და ჯადოსნურ ჰანგებს თანშეზრდილი ლამაზი, თავშეკავებული, გარეგნული ეფექტების უარმყოფელი და ბგერების წინაშე მუდამ მართალი მაესტრო ევგენი მიქელაძე, რომელიც 34 წლის ასაკში ეზიარა უკვდავებას.

ქეთევან ორახელაშვილი-მიქელაძისა მეუღლის შესახებ

პატარა გოგონა ვიყავი, როდესაც გავიცანი ევგენი, ალბათ 11 წლის. 14 წლის ვიქნებოდი, როცა ლენინგრადიდან ჩამოვიდა და "სტელას" ბაღში პირველი კონცერტი გამართა – "შტრაუსის ვალსები." კონცერტზე დეიდა-ჩემმა, ნინა მიქელაძე-ამირეჯიბმა წამიყვანა... კონცერტის დამთავრების შემდეგ მისალოცად შევედით, მკითხა მომეწონა თუ არა. სულ ცეკვა მინდოდა-მეთქი, - ვუთხარი. გაიცინა და მიპასუხა: "მაშასადამე მოგწონებიაო..." შემდეგ ჩემს ძმასთან ვხვდებოდი, მეგობრობდნენ. ისინი ერთ პერიოდში სწავლობდნენ, ევგენი – ლენინგრადის კონსერვატორიაში, ჩემი ძმა – მოსკოვში. ყოველთვის ერთად ჩამოდიოდნენ არდადეგებზე თბილისში და უკან ერთადვე ბრუნდებოდნენ. მაშინ არავითარი გრძნობა არ გამაჩნდა. მომწონდა იმიტომ, რომ ბავშვებს ძალიან თბილად ექცეოდა. 16-17 წლისა უკვე ყურადღებას ვაქცევდი...

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და თავდაუზოგავად შეუდგა მუშაობას. იშვიათად მინახავს ასეთი მონდომებული ადამიანი. ის ძალ-ღონეს, ცოდნას, ენერგიას არ ზოგავდა იმისათვის, რომ ოპერის თეატრში დამკვიდრებულიყო... ამ დროს თბილისში ბევრი კარგი დირიჟორი იყო, მაგრამ ევგენიმ მაშინვე მიიქცია ხელოვნების მუშაკთა და ფართო საზოგადოების ყურადღება. ყველამ აღიარა მისი დიდი ნიჭი და უნარი. მან მაშინვე დაიწყო თავისი ოცნების რეალურად განხორციელება. კონსერვატორიის სტუდენტებისაგან ჩამოაყალიბა ორკესტრი, რომელიც შემდეგ საქართველოს სიმფონიურ ორკესტრად გადაიქცა. ევგენის ძალიან უყვარდა ოპერა, მაგრამ მასზე ნაკლებად არ უყვარდა თავისი სიმფონიური ორკესტრი.

ევგენი ძალიან დაკავებული იყო, დღე და ღამე მუშაობდა. ვერ ვიტყვი, რომ ბევრი სტუმარი გვყავდა. ჩვენთან იშვიათად იკრიბებოდნენ. ძალიან უყვარდა დავით ანდღულაძე, დიდ პატივს სცემდა დავით გამრეკელს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კონსერვატორიის სტუდენტი იყო, მასში დაინახა დიდი მომღერალი, პეტრე ამირანაშვილი, დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტ მერი ნაკაშიძეს, ნადეჟდა ცომაიას, ეკატერინე სოხაძეს და, განსაკუთრებით, ნიკო ქუმსიაშვილს.

სახლში იყო ძალიან თბილი, არაჩვეულებრივად უყვარდა დედა... მე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი დამოკიდებულება. ძალიან ფაქიზად ექცეოდა დედას. ხანდაზმული ქალი იყო. ხშირად ავადმყოფობდა. ისე მოეფერებოდა, ისე მოეხვეოდა... ფულს ხელში არასოდეს არ მისცემდა. ჩუმად, ბალიშის ქვეშ ამოუდებდა ხოლმე. საოცრად მორიდებული დამოკიდებულება ჰქონდა.

ძალიან კარგი ძმა იყო, კარგი შვილი და კარგი მეუღლე. არაფერი გამოეპარებოდა, თუ გუნებაზე არ ვიყავი, რომც არ მეთქვა, მაშინვე შეამჩნევდა. ის უფრო მეტს უკეთებდა შვილებს, ვიდრე მე.

ქეთევან ორახელაშვილი მეუღლესთან ერთად

ყველაფერს ასწრებდა: მათ მოვლას, მათთან თამაშს. ერთი თავისუფალი დღე ჰქონდა – ორშაბათი, ამ დღით ბავშვებთან ერთად გასეირნება უყვარდა, რაღაცას უყიდდა, რაღაცით გაახარებდა. საერთოდ, ბავშვები ძალიან უყვარდა.

... უკანასკნელ წლებში მოსკოვში ბევრი ესპანელი ბავშვი ჩამოიყვანეს. ჩამაცივდა, გინდა თუ არა, ერთი-ორი ბავშვი ავიყვანოთო, ცოდონი არიანო. "ეს ორი ქართველიც მეყოფა, ესპანელები აღარ მჭირდება-მეთქი..." ჯავრით აღარ იყო, რომ ვერ დამიყოლია. კიდევ კარგი, ის ბავშვები არ ავიყვანეთ, მეორე ტრაგედია დატრიალდებოდა მათ თავზე (ე. მიქელაძის დახვრეტის შემდეგ მისი მეუღლე ციმბირში გადაასახლეს, საკუთარი ქალ-ვაჟიც ახლობლებმა გაუზარდეს. - მ.ქ.).

... იყო ერთი პიროვნება, რომელმაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა ევგენის, ისეთი იშვიათად თუ ვინმეს მიუყენებია. ერთხელ მას შვილი ავად გაუხდა, საშველად ევგენის მიმართა. "ნამდვილად უნდა ვუშველო" – მითხრა ევგენიმ. 2-3 თვის ხელფასი ბავშვს მოვახმარეო. ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი მტრის შვილი გადაერჩინა. ამ კაცმა ბოლოს უთხრა – "ყველაზე ნაკლებად შველას თქვენგან მოველოდი, მზად ვარ დაგიჩოქოთ... ნამდვილად დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე. ძალიან დამნაშავე."

... არაჩვეულებრივად კეთილი იყო, ამავე დროს, ძალიან მომთხოვნიც. არასოდეს მომცემდა უფლებას ზედმეტი მეთქვა, ან გამეკეთებინა. თვითონ იყო ისეთი, რომ ვერაფერს შეკადრებდი. ის არავისგან არ თხოულობდა ზედმეტს და ის, რაც მას სჭირდებოდა, უსათუოდ უნდა გაკეთებულიყო.

ბევრი ვერ მოასწრო, ვერ მოასწრო იმიტომ, რომ მისი ცხოვრება ასე უეცრად შეწყდა. ბევრი ოცნება დარჩა განუხორციელებელი, ძალიან ბევრი - ნახევრად გაკეთებული, ძალიან ბევრიც დაიბადებოდა, მაგის უნარიც ჰქონდა და სურვილიც. მიუხედავად იმისა, რომ ბედმა ცოტა დრო არგუნა, ძალიან კარგად, მაქსიმალურად გამოიყენა. რაც კი შეიძლებოდა იმ წლებში გაეკეთებინა, გააკეთა. მისი თანამედროვენი დამიდასტურებენ, რომ იგი ძალიან დიდი ნიჭის პატრონი იყო.

ძნელია მისი ნამდვილი ხელოვნება აღადგინო, სამწუხაროდ, ევგენის დროს არ იყო ტექნიკა ისე განვითარებული, არ იყო ჩაწერის მაღალი დონე, არ იყო ფირი და სხვა. ვისაც ის არ უნახავს, მხოლოდ მას შეუძლია დაადასტუროს, რასაც ვამბობ. მე მარტო ცოლი არ ვყოფილვარ მისი. მე დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი ბავშვობიდან. მომწონდა ყველანაირად, გარდა გარეგნობისა, მისი ყოველი ჟესტი, გამოხედვა, დამოკიდებულება ორკესტრის მიმართ. ეს ყოველივე მახსოვს გუშინდელი დღესავით და თითქოს ახლაც ყველაფერს ვხედავ...

(ინტერვიუ ევგენი მიქელაძის მეუღლესთან ჩაწერილია მზია ქუცნიაშვილის მიერ მის ბინაზე 1976 წლის 3 ნოემბერს)

„მე მიყვარხარ, შენ კი აღარა...„

ჯეინ ბირკინი სერჟ გინსბურგისთვის

სერჟ გინსბურგი

სერჟ გინსბურგის ხსენებისთანავე ჯეინ ბირკინს სახე უნათდება, და იმ წუთიდან მასთან სხვა თემაზე საუბარი შეუძლებელი ხდება. როგორც ჩანს, დიადი ფრანგი თავის საყვარელი ქალის ცხოვრებაში გარდაცვალებიდან თორმეტი წლის შემდეგაც მნიშვნელოვან ადამიანად დარჩა. "განსაკუთრებული კაცი იყო – მუდამ დამოუკიდებელი, მაშინაც კი, როცა დიდ ტკივილს განიცდიდა ან ძალიან ბრაზობდა," ჰყვება ჯეინ ბირკინი ინტერვიუში, რომელიც გერმანულ ჟურნალ "შტერნში" გამოქვეყნდა, "ძალიან ბედნიერი იქნებოდა, თუ გაიგებდა, რომ მის სიმღერებს კვლავაც ისმენენ და მღერიან".

ამ "უკვდავების განსამტკიცებლად" ჯეინ ბირკინმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: ერთი კვირის წინათ დახლებზე მისი ახალი ალბომი, "არაბესკა" გამოჩნდა, რომელიც "გინსბურგის ნაწარმოებების აღმოსავლურ ინტერპრეტაციებს" წარმოადგენს. ამგვარად ბრიტანელ ქალბატონს სურდა ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის გაეცნო მისი სიმღერები, და მისი შემოქმედება უფრო ახლობელი და გასაგები გაეხადა. "არ ვიცი, ესიამოვნებოდა ეს სერჟს, თუ არა," დასძინა 56 წლის ჯეინმა, "ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცი".

დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გინსბურგი 70-80-იან წლებში შექმნილ თავის სიმღერებს ნამდვილად იცნობდა. ბირკინმა ისინი ალჟირელ მევიოლინე ქალთან, ჯამელ ბენიელესთან ერთად ჩაიწერა – მისი თქმით, ეს უკვე "ალჟირული, ანდალუზიური და ბოშური ჰანგებია".

ბირკინი სიამოვნებით იხსენებს თავის ბობოქარ წარსულს, როცა ის და გინსბურგი ღამის სკანდალური წყვილი იყო. მათ 1968 წელს, საფრანგეთში, ფილმის გადაღების დროს გაიცნეს ერთმანეთი: გინსბურგი ჯეინ ბირკინს ბრიჯიტ ბარდოსთან განშორებას განიცდიდა, ბირკინი კი კომპოზიტორ ჯონ ბერის მეუღლე იყო, რომელთანაც ქალიშვილიც ჰყავდა.

მანამდე ეს უჩვეულოდ მიმზიდველი გოგონა, დამახასიათებელი და გადამდები ღიმილით, მხოლოდ მიქელანჯელო ანტონიონის ფილმში, Blow Up-ში შენიშნეს. თავიდან მას და შანსონიეს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ: ფრანგის სიმკაცრით დაშინებული 20 წლის გოგონა კამერის წინ ატირდა. მაგრამ სულ მალე ისინი ლეგენდარულ, განუყოფელ წყვილად იქცნენ. მათი სიყვარულის სიმღერა 1969 წელს ჩაწერილი დუეტი Je taime moi non plus გახდა – მომნუსხველად ეროტიკული სიმღერა რამდენიმე თვეში მილიონ ეგზემპლარად გაიყიდა.

1971 წელს მათი ქალიშვილი, შარლოტა დაიბადა, ათი წლის შემდეგ კი ბირკინმა გინსბურგი მიატოვა – იმხანად რეჟისორ ჟაკ დულონისგან ექვსი თვის ორსული იყო. მაგრამ გინსბურგმა მასთან განშორება თითქოს ვერ დაიჯერა და 1990 წელს ჯეინს თავისი უკანასკნელი ალბომიც უძღვნა: Amour des Feintes.

გინსბურგის თაყვანისმცემლები სულ სთხოვდნენ ბირკინს, კიდევ ერთხელ ჩაეწერა მისი სიმღერები. პირველად მან ეს 1996 წელს გააკეთა – ჩაიწერა Versions Jane, სადაც სრულიად განსხვავებული ხელოვანები გინსბურგის ახალგაზრდობის დროინდელ 15 ნაწარმოებს თავისებურად ასრულებენ. ხოლო იმ სიმღერებს, რომლებიც საყვარელმა კაცმა მისთვის დაწერა, როგორებიცაა Les dessous chics და Valse de Melody, მან მხოლოდ გასულ წელს "შეჰბედა".

დღეს ჯეინ ბირკინი "არაბესკას" გერმანიაში წარადგენს - ტურნე დიუსელდორფში დაიწყო და 4 ივლისს კარლსრუეში დასრულდება.

ჯეინ ბირკინი. 1968.

ქართული სუფრა და ამერიკული ფერები

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ოცდამეერთე საუკუნეში სამყაროს აღქმის არაერთგვაროვანი გზა არსებობს. ჩვენს დროში სამყარო შეიძლება აღიქვა მიკროსკოპიდან, თანამგზავრიდან ან სულ სხვა კუთხიდან. ასე თვლის საქართველოში ჩამოსული და აქ ერთი წლის ყოფნის შემდეგ ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული, უკვე ბევრი მეგობრის მფლობელი და ქართველი ჟურნალისტებისთვისაც დაუზარელი ამერიკელი ჯო კეიგლი, რომლის ნამუშევრების გამოფენას ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი 5 ივლისამდე უმასპინძლებს. გამოფენას, რომლის სახელწოდებაა – "ამერიკული სუფრა 2, ახალი იდეების, ფერის და თავისუფლების დღესასწაული" საქართველოში ამერიკის საელჩო კურირებს. სიმართლე რომ გითხრათ გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპოზიციებს (თუ მათ ასე შეიძლება ეწოდოს) ფერების სიუხვე ნამდვილად არ აკლიათ, ისინი თავად ხასხასა ფერებია და სხვა არაფერი. მათ შემხედვარე ან ცეკვა მოგინდებათ ან სიმღერა, ანუ ის აზრები დაგებადებათ რაც სუფრაზე შეიძლება მოხდეს. სხვათაშორის, გამოფენაზე მყოფმა ზოგიერთმა დამთვალიერებელმა იქვე ვიოლინოზე დაკრული ნოსტალგიური მუსიკის ფონზე ცეკვაც წამოიწყო.

ქართულ-ამერიკული სუფრა.

ᲐᲜᲐᲖᲝᲠ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როგორც გავიგეთ, ჯო კეიგლი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული ფულბრაიტის პროგრამით მოხვდა და დახმარების ხელს ჩვენი აკადემიის სტუდენტებს და პროფესორებს ნამდვილად არ აკლებს. სამხატვრო აკადემიაში მანვე დააარსა ჯო კეიგლის სახელობის თანამედროვე ამერიკული ხელოვნების და არქიტექტურის კაბინეტი.

"შემოთავაზებული ქვეყნებიდან ორიდან ერთი უნდა ამერჩია ან მონღოლეთი ან საქართველო. მეც საქართველო ამოვირჩიე, რადაგან მსმენოდა, რომ დიდი და განსხვავებული კულტურის ქვეყანაა. ჩამოსვლამდე ბევრი რამ გავიგე თქვენს შესახებ, მაგრამ არ ვიცოდი რა ფენომენი იყო ქართული სუფრა. აქ ჩამოსულს ერთ-ერთმა პროფესორმა მითხრა – ჩვენ ქართველებს არა გვაქვს ფული, შუქი, მაგრამ ვცეკვავთ, ვმღერით, როდესაც ვართ ქართულ სუფრაზეო" – ასე გვიხსნის თავის განწყობილებებს ამერიკელი ჯო.

და მართლაც, სუფრა ხომ ის ადგილია, სადაც ყველაფერი ცხოვრებისეულია. რაც ცხოვრებაში ხდება, იგივე მეორდება სუფრაზეც, ბევრი პრობლემების ფონზე ადამიანი ცდილობს დაივიწყოს ყველაფერი და მხოლოდ იხალისოს.

"სუფრაზე ყველაფერი ცოცხლდება, რაც კი მნიშვნელოვანია ადამიანისთვის: ოჯახი, ფერი, ემოცია და ქალი. ეს გამოფენა სწორედ იმ სიხარულს ასახავს, რასაც მე სუფრასთან მსხდომ ადამიანებში ვხედავდი. ამ სიხარულს კი მე ფერებით გადმოვცემ" – გვითხრა ჯო კეიგლიმ.

ფერები, რომლითაც ამერიკელის განწყობაა გადმოცემული ნამდვილად სიხარულს და სასიამოვნო შეგრძნებას აღგიძრავთ. ფერების ნაკლებობას კი ეს გამოფენა ნამდვილად არ განიცდის.

28 – 30 ივნისს კი ამერიკელი მხატვარი და არქიტექტორი თბილისის სამხატვრო აკადემიაში კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის სემინარს ჩაატარებს საგრანტო განაცხადის მომზადების, თანხების მოზიდვისა და პროექტების წარმატებით განხორციელების მექანიზმების შესახებ.

„ცეტების„ „ბოლო ზარი„

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔ

გუშინ მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრში ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრის თეატრალურმა სტუდია "ცეტებმა" მსახიობ ვანო ხუციშვილთან ერთად წარმოგვიდგინა ახალი სპექტაკლის - "ბოლო ზარის" პრემიერა. ინსცენირების ავტორი, მუსიკალური გამფორმებელი და რეჟისორი გიორგი სიხარულიძე გახლდათ. რეჟისორმა მუშაობა იმით დაიწყო, რომ ბავშვებს დაავალა, გაეხსენებინათ და მოეთხროთ საინტერესო და კურიოზული ამბები საკუთარი სასკოლო ცხოვრებიდან. მერე გადაწყვიტა გამოეყენებინა რაზუმოვსკაიას "ელენა სერგეევნა, ძვირფასო" და ტენდრიაკოვის "გამოსაშვები საღამოს შემდეგ". რა თქმა უნდა, ყველაფერი მაინც თავად რეჟისორის სკოლის მოგონებებით გამთლიანდა და შეივსო. საბჭოთა დროის რუსი მწერლების, გარდამავალი პერიოდის თაობისა და ახლანდელი მოსწავლეების შეხედულებები სკოლაზე მრავალფეროვანი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც საერთო გულისტკივილზე მოგვითხრობს.

"ბოლო ზარი" ერთმოქმედებიანი სპექტაკლია. სცენის დეკორაციებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას შირმები იპყრობს. შირმებზე გამოსახული ილიას, ვაჟას, აკაკისა და კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტების ქვეშ სასკოლო დაფებია, სახელებით, ნახატებით, და ასეთი ფორმულებით აჭრელებული: "ძალიან ბევრი ასული არის ხელიდან წასული", "თუ გიყურებენ ბავშვები, კარგად დაფიქრდი, რას შვრები"... დაფებისა და პორტრეტების ეს მოულოდნელი შერწყმა თავიდანვე იმ განწყობას ქმნიდა, რაც სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევდა. მაყურებელი თავიდანვე გრძნობდა, რომ წარმოდგენა იუმორის საშუალებით მოგვითხრობდა დღევანდელი სკოლის პრობლემებსა და გულისტკივილზე, რომლის ფესვები, ალბათ, წარსულში უნდა ვეძიოთ.

ბოლო ზარი.

ᲐᲜᲐᲖᲝᲠ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როგორც ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა თამაზ ანდღულაძემ აღნიშნა: "ეს სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს, უპირველესად კი – განათლების მინისტრმა. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილმა უნიჭიერესმა რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ, მართლაც, შესანიშნავ ბავშვებს მოუყარა თავი და ისეთი სპექტაკლი დადგა, რომელშიც მოსწავლეები საკუთარ პრობლემებზე ღაღად, მაგრამ სევდანარევად საუბრობენ."

გიორგი სიხარულიძე სტუდიის შესახებ გვიამბობს: "თეატრალური სტუდია "ცეტები" 1995 წელს ჩამოყალიბდა. მას მერე ყოველ წელს სეზონის ბოლოსათვის მაყურებელს ახალ სპექტაკლს ვთავაზობთ. ეს ბავშვები იცვლებიან, თუმცა ზოგიერთი მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენთანაა, ფაქტობრივად, აქ აღიზარდნენ. შესაძლოა, მათი უმრავლესობა მსახიობი არ გამოვიდეს, მაგრამ ისინი უკვე არიან კარგი მაყურებლები და შემფასებლები; სიყვარულს, ურთიერთობას და მეგობრობას სწავლობენ. ეს კი, დამეთანხმებით ყველაზე მთავარია".

დარბაზში ტევა არ იყო. მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა. ყველას უნდოდა, პატარა მსახიობებისა და რეჟისორისთვის გულწრფელად მიელოცა ეს დღე. იმედია, მომდევნო – დღევანდელი და ხვალინდელი პრემიერებიც ასეთივე წარმატებული იქნება.

მოსკოვში ოზონს ელიან

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

დღეს მოსკოვის 25-ე ფესტივალის სტუმარი იქნება ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი ფრანსუა ოზონი ახალი ფილმით - "აუზი". "აუზის" ჩვენებით დაიხურება კინოფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა "АиФория". ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პოპულარული პროგრამა გახლავთ ფესტივალის პროგრამებს შორის. მის კინოჩვენებებზე ბილეთები კარგა ხნით ადრე იყიდება, დარბაზებში კი ტევა აღარ არის ხოლმე.

ფრანსუა ოზონის ჩასვლა მოსკოვში კინომოყვარულებისათვის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ოზონის მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომლებითაც ფრანგმა რეჟისორმა თავისი შემოქმედებითი კარიერა დაიწყო და კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა, დღეს ახალბედა რეჟისორებისათვის სანიმუშო მაგალითად ითვლება. ამ მოკლემეტრაჟიანი ფილმებით, რომელთაც რეჟისორი დაუსრულებლად იღებდა, ოზონმა ფაქტობრივად, ყველა სტილსა და ჟანრში გამოსცადა საკუთარი შესაძლებლობები. ამ ფილმთა უმეტესობამ მსოფლიო ფესტივალები მოიარა. პირველი დიდი წარმატება ოზონს 1996 წელს ხვდა წილად, როცა ლოკარნოს ფესტივალზე ახალგაზრდა რეჟისორმა მოიპოვა პრიზი "მომავლის ლეოპარდი" მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის "ზაფხულის კაბა" (ეს სწორედ ის ფილმია, წელს კლუბ "სარდაფში" გამართული სტუდენტური კინოფესტივალის გახსნაზე რომ აჩვენეს და არაერთგვაროვანი რეაქცია რომ გამოიწვია). 1998 წელს ოზონის დებიუტი შედგა სრულმეტრაჟიან კინოშიც, როდესაც მან აუდიტორია, ფაქტობრივად, შოკში ჩააგდო ფილმით "სავირთხე" - სურათი მაშინვე მიიწვიეს კანის ფესტივალზე და კრიტიკის საერთაშორისო კვირეულზე საუკეთესო ფილმად მიიჩნიეს.

ფრანსუა ოზონი "აუზის" გადაღების დროს.

1999 წელს გამოვიდა ორი ფილმი "კრიმინალი საყვარლები" და "წყლის წვეთები დაბზარულ ქვებზე". ამ ფილმებს არაერთი პრიზი ერგო, მათ შორის ბერლინის ფესტივალის ალტერნატიული პრიზი "პლუშის დათუნია" - Teddy. ამ ფილმების მერე ოზონი ყველა ფესტივალის სანუკვარ მონაწილედ თუ სტუმრად იქცა. ამას მოჰყვა 2001 წელს ბერლინის "ვერცხლის დათვი" საუკეთესო მსახიობთა ნაკრებისათვის, ფილმისათვის "რვა ქალი". "რვა ქალი" ჰიტად იქცა, ოზონის ფილმები და მისი ცხოვრება კი მასმედიის მუდმივი ყურადღების ცენტრში მოექცა. დღეიდან პაპარაცები მისი მოსკოვური ცხოვრებით დაკავდებიან. მოსკოველი მაყურებელი მოუთმენლად ელის ახალი ფილმის - "აუზის" პრეზენტაციას და არანაკლებ მოუთმენლად ელის რეჟისორთან შეხვედრასაც. შეგახსენებთ, რომ "აუზის" გადაღებები 2003 წელს დასრულდა, მაგრამ ფილმმა უკვე მოასწრო კანის ბოლო ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობა. "აუზში" მთავარ როლებს შარლოტა რემპლინგი და ლუდვინ სანიე ასრულებენ.

საზაფხულო ჯაზი

ფესტივალის ლირიკული ინტერპრეტაცია

ვერა ნეფარიძე

ზაფხული თბილისში კიდევ ერთი ჯაზ-ფესტივალის ფონზე დაიწყო. ხუთი დღე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფესტივალს მსმენელი ემოციებისგან გადაეღალა. ჯაზის დღეები დასრულდა, ვნებათაღელვა დაცხრა, მუსიკოსები გავისტუმრეთ, ჩვენ კი დაგვრჩა შთაბეჭდილებები კონკრეტულ შემსრულებლებზე და ზოგადად, ფესტივალზე. ეისიდ-ჯაზი, ჯაზ-ფანკი, პოსტ-ბოპი, თანამედროვე გოსპელი, აკაპელა, - ძირითადად, ჯაზის ეს მიმართულებები იყო თბილისის წლევანდელ ჯაზ-ფესტივალზე წარმოდგენილი. სტუმრები ფესტივალის ორგანიზატორებმა აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან მოიწვიეს. ჯაზის ოთხ მუსიკალურ საღამოს კი თბილისის ძირითადმა საკონცერტო დარბაზებმა: ფილარმონიამ, "აჭარა მიუზიკ ჰოლმა", და ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა უმასპინძლეს.

ჯაზი და რიცხვების სიმბოლიკა

წლევანდელი ჯაზ-ფესტივალი რიცხვების სიმბოლიკით ცოტა დატვირთული გამოვიდა. დავიწყოთ იმით, რომ ფესტივალი რიგით მეშვიდე იყო. ბევრისთვის საკრალური მნიშვნელობის ნომერი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, ფესტივალის ორგანიზატორებსაც დაამახსოვრებს თავს.

"ისთერნ პრომოუშენმა" ამ ჯერზე საწადელს მიაღწია და შეძლო თბილისში ჩამოეყვანა ჯგუფი, რომლის მოწვევას ის სამი წლის განმავლობაში ცდილობდა. სამწლიანი მონდომების შემდეგ, საკმაოდ რთული პროექტი კომპანიამ იოლად განახორციელა. ასეთმა შედეგმა კი "ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლებს იმედი ჩაუსახა, რომ ჯორჯ ბენსონიც, რომელიც წლევანდელი ფესტივალის ყველაზე ხმაურიანი სტუმარი უნდა ყოფილიყო, ფესტივალის ორგანიზატორების მესამე მცდელობაზე მაინც დათანხმდება თბილისში კონცერტის გამართვას. ასე რომ Take 6-ის ჩამოსვლა მხოლოდ ამ ჯგუფის ფანებისთვის არ ყოფილა მოულოდნელი.

არანაკლებ მთავარი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ სწორედ წელს ფესტივალს პირველად თავისი არსებობის განმავლობაში, გენერალური სპონსორი გამოუჩნდა "საქართველოს ბანკის" სახით. ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც ფესტივალთან თანამშრომლობის სურვილი საბანკო სფეროს ერთ-ერთ წარმომადგენელს გაუჩნდა. ეს კი ქართული შოუ-ბიზნესის პრაქტიკაში საკმაოდ სასიამოვნო სიახლედ მიმაჩნია. იმედია, წლევანდელი მცდელობა არ დარჩება ექსპერიმენტად (მითუმეტეს, რომ თანამშრომლობამ გაამართლა) და მათი მხრიდან პრესკონფერენციებზე შეპირებული მუსიკალური სიურპრიზები, წლის განმავლობაში რეალურად განხორციელდება.

გენერალური სპონსორის გარდა, წლევანდელ თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს, ისევე როგორც შარშან, კონკრეტული კონცერტების სპონსორებიც ჰყავდა. უკვე მეორე წელიწადია ამ სპონსორებს შორის ჯაზის მოყვარულების სიმპათიებს სააქციო საზოგადოება "საქცემენტი" იმსახურებს. "საქცემენტმა" შარშან ბობ მინცერი წარმოგვიდგინა, არჩეულ გეზს არც წელს უღალატა და ამჯერადაც დიდი მუსიკოსის, კენი გარეტის ჩამოყვანა უზრუნველყო. წინასწარვე ფესტივალის კულმინაციად გამოცხადებული Take 6 ტელეკომპანია "იმედმა" წარმოადგინა; "ნესკაფემ" კი ტრადიცია გააგრძელა და კვლავაც ახალგაზრდების გულის მოგებაზე იმუშავა: "ნესკაფე დენს ფართის" ფარგლებში საკლუბო-საცეკვაო ტიპის საღამომ ფესტივალი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "ინკოგნიტოს" ცამეტკაციანმა შემადგენლობამ გახსნა.

მხიარული ჯაზმენები ბრიტანეთიდან

"ისთერნ პრომოუშენმა" კარგად შეძლო თავის ტრადიციულ ფესტივალებში შოუ-ბიზნესისა და ხელოვნების გაერთიანება. მე თუ მკითხავთ, სწორად შერჩეული ასეთი სინთეზი ბევრად განსაზღვრავს ამ ფესტივალების წარმატებას. თორემ, არა მგონია წმინდა ჯაზს ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავდეს თბილისში, რამდენიც თავს იყრის ხოლმე თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალებზე. ამ შემთხვევაში ნახსენები შოუ-ბიზნესი არა მგონია კომპანიის მუშაობაში ნაკლს აღნიშნავდეს. ამიტომაც აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ამ საპროდიუსერო კომპანიის შემოთავაზებული შოუ-ბიზნესი ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც სხვა ქართველი შოუ-ბიზნესმენები გვთავაზობენ ხოლმე. ეს განსხვავება, ძირითადად, შერჩეული მუსიკოსების პროფესიონალიზმით იზომება. ასეა "ინკოგნიტოს" შემთხვევაშიც. მართალია, ამ ბრიტანელი მუსიკოსების შესრულებულ მუსიკას ვერ უწოდებ ხელოვნებას, მაგრამ დაწყებული პრესასთან ურთიერთობით და დამთავრებული სცენაზე მუშაობით, ჯგუფის წევრები იმსახურებენ შეფასებას, რომ ისინი, უდავოდ, ნამდვილი პროფესიონალები არიან.

საერთოდ, მგონია რომ პროფესიონალიზმის ცნება სხვადასხვაგვარადაა გაგებული. არიან შემოქმედები (ამ შემთხვევაში, მუსიკოსები), რომელთაც კარგად იციან თავიანთი საქმე, მაგრამ ისიც მშვენივრად ესმით, რომ აუდიტორიასთან, პრესასთან ურთიერთობა მათი არჩეული საქმის განუყოფელი ნაწილია და ამის გამო არც მათ ექმნებათ გარკვეული პრობლემები და არც სხვებს უქმნიან უხერხულობებს. ასეთი კატეგორია, ძირითადად, შოუ-ბიზნესში მოღვაწეობს. მათ საქმის სიყვარულთან ერთად, პოპულარობაც იზიდავთ. "ინკოგნიტო" სწორედ ეს შემთხვევაა. ამიტომაც არ გასჭირვებიათ ბრიტანული ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებით კი მის სულისჩამდგმელს, ჟან-პოლ მონიკს ქართველ ჟურნალისტებთან ურთიერთობა. თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე "ინკოგნიტოს" წევრებმა იოლად დაიწყეს ურთიერთობა დამხვედრ ჟურნალისტებთან. ყველაზე საოცარი (ცოტა სახალისოც) კი ის იყო, რომ მონიკი კონცერტამდე გამართულ პრესკონფერენციაზე მისი გულწრფელობითა და სიხალისით მოხიბლულ ჟურნალისტებს ავტოგრაფის სახით უზარმაზარ წერილებს უტოვებდა.

თბილისის დიქსილენდი.

კენი-გარეტი თბილისის ფესტივალის ვარსკვლავი.

TAKE 6 კარგ ხასიათზეა.

ალბერტ ბასილაძის ფოტოები

ყველაზე სერიოზული სტუმარი

აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი აღმოჩნდა ფესტივალის შემდეგი სტუმარი კენი გარეტი. იმის მიუხედავად, რომ ამერიკელი საქსაფონისტის კონცერტმა წლევანდელ ფესტივალზე ყველაზე მეტად გვასიამოვნა მუსიკით, თავად ამ ადამიანთან ურთიერთობით დიდად ვერ გავნებივრდით. უნდა ვთქვა, რომ სცენიდან კენი გარეტი არც ისეთი "უჟმური" ვინმე აღმოჩნდა, როგორც დაგვიხატეს. პრობლემები პრესას გარეტთან ურთიერთობაში მუსიკოსის ჩამოფრენისთანავე დაეწყო. ამერიკელმა მუსიკოსმა ჯერ ფოტო და ტელეკამერების ჩართვაზე თქვა უარი აეროპორტში, იმ მიზეზით, რომ ფორმაში არ იყვნენ; შემდეგ პრესკონფერენციაზეც თუნდაც ხუთი წუთით, შეუძლებელი გახდა მასთან გასაუბრება. თავიდან ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, ასე გამოხატავს-მეთქი თავის რასისტულ დამოკიდებულებას (ერთმა მელომანმა მითხრა, გარეტი მაგარი რასისტიაო) "თეთრების" (ამ შემთხვევაში, ჩვენს) მიმართ. თუმცა, თავად ფესტივალის ორგანიზატორებმა ეს ყველაფერი მუსიკოსის გადაღლილობით ახსნეს. ყოველ შემთხვევაში, როგორც გვითხრეს, კენი გარეტი საკუთარ სიმკაცრეს თურმე ასეთ მიზეზს უძებნიდა. ასეთი, ცოტა გაურკვეველი სურათი, რომელიც ამერიკელი საქსაფონისტის ირგვლივ დაიხატა, ცოტა გაფერმკრთალდა კონცერტზე. აკადემიური სცენიდან მუსიკოსი საკმაოდ ლაღად ურთიერთობდა აუდიტორიასთან. და მეტიც, როგორც მოგვიანებით, საკმაოდ წარმატებული კონცერტის დასრულებისას გაირკვა, სტუმარი არც ისე "თავნება" ყოფილა, რომ კონცერტის ბოლოს ერთ-ერთ ღამის საინფორმაციო გადაცემას არ სტუმრებოდა.

კენი გარეტის საღამოზე ერთი მცირედი უსიამოვნებაც შეემთხვათ კონცერტზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს. ოპერაში მათთვის ადგილი კიბეებზე გამოიყო. კონცერტის დაწყებიდან კი, დაახლოებით, ხუთი წუთის შემდეგ (ფოტო და ტელერეპორტიორებს სულ სამი წუთი ჰქონდათ კონცერტის გადასაღებად), დაცვამ ჟურნალისტები კიბეებიდან წამოყარა, იმ მიზეზით, რომ იქ ჯდომა არ შეიძლებოდა. ქართველი ჟურნალისტების ბედად უნდა ითქვას, რომ პარტერი ბოლომდე სავსე არ აღმოჩნდა და მათ იოლად შეძლეს კონცერტზე დასწრება, სხვა შემთხვევაში, არ მინდა დავიჯერო, რომ მას-მედიის წარმომადგენელთა ადგილები დარბაზს მიღმა იქნებოდა.

მშობლიური ჯაზი

ყველაზე განსხვავებული საღამო ფესტივალის დაწყებიდან მეოთხე დღეს გაიმართა. ამ კონცერტს ორგანიზატორებმა პირობითად "ქართველების დღე" დაარქვეს და ის ადგილობრივი ჯაზით დატვირთეს. ჩემი აზრით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნამდვილად არ იყო ურიგო, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი ჯაზ-შემსრულებლები კონცერტებს ძალზე იშვიათად მართავენ და იქაც საკმაოდ ვიწრო წრე ხვდება ხოლმე. რომ არა "ისთერნ პრომოუშენის" ასეთი გადაწყვეტილება, კაცმა არ იცის, როდის გაიცნობდა ქართველი მსმენელი ახალ ჯაზ-კოლექტივს "ეთნო 10"-ს; ან შექმნიდა კი დი-ჯეი ედგარ სებისისა და "სანოს" (მერაბ სანოძის) დუეტი კლასიკურ ჯაზის თემებზე საკლუბო მიქსებს?!

ფინალური აკორდი ფილარმონიაში

ორგანიზატორებმა ტკბილი ლუკმა ფესტივალის ფინალისთვის შემოინახეს. ჯაზის ტრადიციული საზაფხულო დღეები ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საკმაოდ ეფექტურად დასრულდა. ფესტივალის კულმინაცია, ფურორი, - რაც გინდათ ის უწოდეთ იმას, რაც ფილარმონიაში 25 ივნისს ხდებოდა. თბილისელები ამ დღეს მსოფლიოს ნომერ პირველ ვოკალურ ჯაზ-კოლექტივად აღიარებულ Take 6-ს მასპინძლობდნენ. სცენაზე კი ექვსი ნამდვილი ჯადოქარი ვოკალისტი იდგა, რომლებიც სათითაოდ სასწაულებს ახდენდნენ. მართალია, თვითონ სექსტეტის წევრები ჯგუფის მისიას სიყვარულის საყოველთაო გავრცელებაში ხედავენ, მაგრამ ჩემი აზრით, მუსიკოსებს თავიანთი ცნობილი დევიზის ("ადამიანის სხეულს ყველაფერი შეუძლია") ჭეშმარიტებაში ადამიანების დარწმუნება მართლა შეუძლიათ.

წლევანდელი ფესტივალის ბოლო კონცერტის შემდეგ კვლავ აქტუალური იყო თემა, თუ რომელი იყო ფესტივალის კულმინაცია: კენი გარეტის საღამო ოპერაში თუ Take 6-ის კონცერტი ფილარმონიაში? - გემოვნების საკითხია. ორივე კონცერტი საკმაოდ კარგი გამოვიდა. ერთი კი უდვაოა. თავად ფესტივალის სამომავლო კეთილდღეობისთვის, ალბათ, უფრო მეტს ნიშნავს მასში Take 6-ის მონაწილეობა, ვიდრე კენი გარეტის წარმატებული გამოსვლა. საბოლოო ჯამში კი, ორივე მათგანი ჯაზის ის სახელებია, რომელთა მონაწილეობითაც ნებისმიერმა ჯაზ-ფესტივალმა თამამად შეიძლება იამაყოს. თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის სტუმართა ასეთი პალიტრა კი გვაიმედებს, რომ ის გაისად უკეთესი იქნება.

ფეხბურთი

შესაძლოა, კლუივერტმა "ბარსა" მიატოვოს

ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი "ბარსელონას" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია - მისი ყოველწლიური ხელფასი 6 მილიონი ევროა. კლუბის ახალ ხელმძღვანელობას თავდამსხმელის შენარჩუნება სურს, თუმცა, მისი ხელფასის შემცირებას აპირებს. კლუივერტი ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და ხელფასის შემცირების შემთხვევაში გუნდიდან წასვლით იმუქრება. საინტერესოა ისიც, რომ კლუივერტი საკუთარი სატრანსფერო ღირებულების შემცირების წინააღმდეგიც არის, არადა, ამ შემთხვევაში მას ბევრად უფრო გაუადვილდება ახალი კლუბის პოვნა. ფეხბურთელის პირადი აგენტი აცხადებს, რომ კლუივერტის გადაბირებით "მანჩესტერი", "არსენალი" და "ნიუკასლი" არიან დაინტერესებული. ესპანური სპორტული გაზეთი "ელ მუნდო დეპორტივო" კი იმასაც ამტკიცებს, რომ კლუივერტის აგენტი მადრიდის "რეალთანაც" აწარმოებს მოლაპარაკებებს. მხარეები კომპრომისის გზებს ეძებენ.

"ვალენსია" აიმარის გასაყიდად მზად არის

ესპანური "ვალენსია", რომელიც ჩემპიონთა ლიგის მომავალი სეზონის გათამაშებაში ვერ მოხვდა, თავისი წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას შეუდგა. კლუბს ახლა ფული სჭირდება და სარფიან წინადადებებზე უარს არ იტყვის. პირველ რიგში, საუბარია "ვალენსიას" არგენტინელი ნახევარმცველის, 23 წლის პაბლო აიმარის გაყიდვაზე. "ვალენსია" მას შეელევა, თუ აიმარის მსურველი კლუბი 25 მილიონ ევროს გადაიხდის. ამბობენ, რომ აიმარით კატალონიური "ბარსელონაა" დაინტერესებული.

სენსის ლუსიოს შეძენა სურს, თუმცა...

იტალიური "რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, რომ მისი კლუბი ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელ მცველთან, ლუსიოსთან კონტრაქტს მალე გააფორმებს, თუმცა, პრეზიდენტის სიტყვები ჯერჯერობით არ დასტურდება. გერმანული კლუბის მენეჯერის, რაინერ კალმუნდის თქმით, "ბაიერი" ლუსიოს გაუშვებს "რომაში", თუ თავად ფეხბურთელი ამას ისურვებს, თუმცა, კალმუნდმა ისიც განაცხადა, რომ ჯერჯერობით "რომაში" გადასვლის სურვილი ლუსიოს არ გამოუთქვამს. "რომას" წარმომადგენლები ახლა გერმანიაში არიან. ლუსიოს გარდა, მათ "ლევერკუზენის" კიდევ ერთი ფეხბურთელის, ბერნდ შნაიდერის შეძენა სურთ. საინტერესოა, თუ რა თანხით აპირებენ იტალიელები ამ ორი ფეხბურთელის გადაბირებას: "რომას" მოთამაშეებს, მარტიდან მოყოლებული, არ მიუღიათ ხელფასი და 2001-2002 წლების სეზონში მისაღები პრემიების ნახევარი.

ედმუნდო დააპატიმრეს

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად "ვასკო და გამას" მოთამაშე, ედმუნდო პატიმრობაშია. 1999 წელს მისი მიზეზით მოხდა ავტოკატასტროფა, რომლის დროსაც სამი ადამიანი დაიღუპა. რიო დე ჟანეიროს სასამართლომ ედმუნდოს 4.5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ედმუნდო აქტიური ფეხბურთელია და დღისით გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება მისცა, თუმცა, საღამოს ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ციხეში. სასჯელის შემსუბუქების თხოვნაზე ედმუნდომ უარი მიიღო.

ჰაჯი თურქეთში ბრუნდება

"კარპატელ მარადონად" წოდებული გეორგე ჰაჯის კარიერა მჭიდროდ არის დაკავშირებული თურქეთთან. რუმინეთის ნაკრების, მადრიდის "რეალისა" და "ბარსელონას" ყოფილმა მოთამაშემ "გალათასარაიში" დაასრულა კარიერა. ამის შემდეგ ის რუმინეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, თუმცა, მწვრთნელის პოსტზე დიდხანს არ გააჩერეს. ჰაჯი სამწვრთნელო კარიერას განაგრძობს, ამჟამად თურქეთში. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მან პირობა მისცა "ბურსასპორს", რომ ამ კლუბის მწვრთნელი გახდებოდა, თუმცა, ერთი პირობით: კლუბის პრეზიდენტის პოსტი ფიკრეტ უშტენჩის უნდა დაეკავებინა. გასულ ოთხშაბათს უშტენჩი, მართლაც, აირჩიეს პრეზიდენტად და ჰაჯიმაც "ბურსასპორის" მწვრთნელის პოსტი დაიკავა.

ინფორმაცია

ფეხბურთი. კიევის "დინამო" პოლონეთის "გურნიკიდან" ნახევარმცველ პაველ ბუგალოს ყიდვას აპირებს. ინფორმაცია ამის შესახებ კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა. პოლონელებს ჯერჯერობით არ უპასუხიათ უკრაინელთათვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დინამოელები მზად არიან, პოლონელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,5 მილიონი დოლარი გადაუხადონ, ბუგალოს კიევში გადასვლა დიდხანს არ უნდა გაჭიანურდეს.

კალათბურთი. ლიტვის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ლეგენდარულმა არვიდას საბონისმა სექტემბერში გასამართ ევროპის ჩემპიონატში თამაშზე თანხმობა განაცხადა. შესაძლოა, ტურნირში გამოვიდეს NBA-ს მეორე ლიტველი მოთამაშე ჟიდრუნას ილგაუსკასიც. თუ ასე მოხდება, ლიტვის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად იქცევა.

ჰოკეი. რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვიქტორ ტიხონოვი დაინიშნა. რუსეთის ჰოკეის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ტიხონოვის კანდიდატურას 17 წევრმა დაუჭირა მხარი. ოფიციალურად ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ მწვრთნელთან, სავარაუდოდ, სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

ოლიმპიზმი. 2 ივლისს პრაღაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე, 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გამოვლინდება. კანდიდატურა სამია – ვანკუვერი, ზალცბურგი და ფხენიანი.

კანდიდატთა პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება კენჭისყრა. გამარჯვებულად გამოვლინდება ის ქალაქი, რომელსაც კენჭისყრაში მონაწილე ოლიმპიური კომიტეტის 119 წევრიდან 50%-ზე მეტი დაუჭერს მხარს. თუკი ასეთი არ გამოვლინდა, დაინიშნება მეორე რაუნდი, რომელშიც საუკეთესო ორეული გაეჯიბრება ერთმანეთს. თუ ვერც ასე გამოვლინდა გამარჯვებული, ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე დაასახელებს – გადამწყვეტი ხმა მას ეკუთვნის.

ოლიმპიზმი. 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის მარტონ სიმიჩეკის თქმით, უკვე 591 000 ბილეთია გაყიდული. "საორგანიზაციო კომიტეტი ამ დროისთვის 300 000 ბილეთის გაყიდვას ვარაუდობდა, მაგრამ პირველივე კვირაში მოთხოვნამ ბილეთებზე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. სასიხარულოა, რომ გულშემატკივრები ბილეთებს ყიდულობენ არა მხოლოდ გახსნა-დახურვის ცერემონიალსა და პოპულარულ სახეობებზე, არამედ ნაკლებად პოპულარულზეც", - აღნიშნა სიმიჩეკმა.

TV-სპორტი

პარასკევი. 27 ივნისი

NTB + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ნახევარფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "იუვენტუსი"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:30 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. ფინალი. პირველი მატჩი
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "შტუტგარტი"
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. "რუბინი" - "ლოკომოტივი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
21:40 "პოსტსკრიპტუმი"
22:10 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ნახევარფინალი. "ბავარია" - "დინამო" (კიევი)
23:55 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "არსენალი"

NTB + СПОРТ
11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
14:40 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
15:10 "ჩქაროსნული სამყარო"
15:45 ტაილანდური კრივი
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება IAAF GOLDEN LEAGUE "Exxon Mobil Bislett Games". შესვენებისას (01:00) ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 აფროსნობა
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი გერმანიაში
13:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
14:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
15:45 მოტორბოლა. ჰოლანდიის გრან-პრი
19:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
21:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
22:45 ახალი ამბები
23:00 "ფორმულა 1"
23:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
00:30 მოტოსპორტი
00:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჰავაის გრან-პრი
01:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ფინეთის გრან-პრი
02:45 ახალი ამბები
03:00 მოტოსპორტი
03:30 ავტორბოლა
04:00 ექსტრემალური სპორტი
04:30 ახალი ამბები

გადაწყდა - ხიზანიშვილი „რეინჯერსშია„

3-წლიანი კონტრაქტი და 13-ნომრიანი მაისური

აკა ტონია

ზურაბ ხიზანიშვილი: "ჯობს სამ წელიწადში "რეინჯერსს" დავემშვიდობო".

საქართველოს ნაკრების წევრს, შოტლანდიური "დანდის" აწ უკვე ყოფილ ლეგიონერს, ზურაბ ხიზანიშვილს, რომ სახელოვანი "რეაინჯერსი" ეპატიჟებოდა, უკვე კარგა ხნის წინათ დაწყებული ამბავია. "რეაინჯერსსა" და ხიზანიშვილს შორის მოლაპარაკებები საკმაოდ გაიწელა. ცნობილი იყო, რომ ხიზანიშვილი უკვე ცალი ფეხით "რეაინჯერსში" იყო, თუმცა კონტრაქტის გაფორმება ვერა და ვერ მოხერხდა. მხარეები კონტრაქტის პირობებზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, როდესაც 21 წლის მცველისათვის ბრძოლაში სხვა კლუბებიც ჩაებნენ. ირლანდია-საქართველოს მატჩის შემდეგ, ხიზანიშვილით დაინტერესება გამოთქვეს ლონდონის "ტოტენჰემმა", ლისაბონის "სპორტინგმა" და ასევე გლაზგოს "სელტიკმა". სხვა კლუბების დაინტერესებამ "რეინჯერსს" მოვლენების დაჩქარებისაკენ უბიძგა.

გუშინ, დილით ზურაბ ხიზანიშვილი გლაზგოში გაფრინდა. გუშინვე, "რეინჯერსის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხიზანიშვილთან მოლაპარაკებები უკვე დასასრულს მიუახლოვდა და რომ მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა დასაზუსტებელი. "რეინჯერსმა ქართველი ვარსკვლავის, ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით დიდ პროგრესს მიაღწია. ნიჭიერმა მცველმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და გლაზგოელთა პირობებზეც დათანხმდა. დასაზუსტებელი მხოლოდ რამდენიმე დეტალია", - იწერებოდა "რეინჯერსის" ვებ-გვერდი.

ყველა დეტალი გუშინვე გადაწყდა და კონტრაქტიც გაფორმდა. ხიზანიშვილმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა. "რეინჯერსის" ექიმის კაბინეტში სამი საათი დაჰყო. ნახევარი საათის შემდეგ კი ექიმებს თავიანთი დასკვნა გამოუტანიათ – ხიზანიშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ გააჩნიაო და კონტრაქტის გაფორმებას მწვანე შუქი აუნთეს. ხიზანიშვილმა გუშინვე მოაწერა კონტრაქტს ხელი. "რეინჯერსი" ცდილობდა, ხელშეკრულება 4-წლიანი ყოფილიყო, თუმცა თავად ხიზანიშვილმა არჩია, რომ "რეინჯერსში" 3 წელიც ეყოფა თამაში და კონტრაქტიც სწორედ 3-წლიანი გააფორმა. "რეინჯერსი" დიდი ტრადიციების მქონე კლუბია, თუმცა ვფიქრობ, რომ სამი წელი სავსებით საკმარისია. მგონის ჯობს, სამ წელიწადში "რეინჯერსს" დავემშვიდობო და უფრო ძლიერ გუნდში გადავიდე", - განაცხადა ხიზანიშვილმა.

რაც შეეხება ნომერს, ზურაბ ხიზანიშვილი "რეინჯერსში" 13-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. "დათარსვის" მას არ ეშინია, რადგან "ცრუ რწმენების არ სჯერა".

მაშ ასე: კონტრაქტი გაფორმებულია - ზურაბ ხიზანიშვილი გლაზგოს "რეინჯერსის" ფეხბურთელია.

ევროპის ზაფხულის საფეხბურთო ქარვასლა

მიხეილ აბაიშვილი

გულდაწყვეტილი იერო მშობლიურ კლუბს ემშვიდობება.

ზაფხული ჩვეულებრივად მიდის: საფეხბურთო ევროპას ხმამაღალი სატრანსფერო განცხადებების დრო დაუდგა. თუმცა, შოკის მომგვრელი გადასვლები და განსაცვიფრებელი თანხები კვლავ მოდაშია. "24 საათი" გთავაზობთ ბოლო დღეების ყველაზე შთამბეჭდავი სატრანსფერო აქტივობის ანარეკლს.

ფერნანდო იერო

მადრიდის "რეალის" ქარიზმატული ფიგურა 14-წლიანი თავდადებული სამსახურის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა და ტექნიკურმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ პენსიაში გაუშვეს. საუბარი იმის შესახებ, რომ სახელოვანი ვეტერანის თამაშის დონე "რეალის" ამბიციებს არ შეესაბამება, ორი წელინადია, გრძელდება, რამაც "იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის განმეორებით მატჩში სამწუხარო ელფერი შეიძინა: წასვლის დროა, ძმობილო, წასვლის! 35 წლის კაპიტნის გათავისუფლების არაპოპულარული გადაწყვეტილების მიუხედავად, "რეალის" ხელმძღვანელობის ეს საქციელი აბსოლუტურად გამართლებულია. იეროს კი ეწყინა – მან "რეალის" რიგებში გამოსამშვიდობებელი მატჩის ჩატარებაზე უარი განაცხადა.

ვისენტე დელ ბოსკე

მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი, რომელმაც მთელი ცხოვრება "სამეფო კლუბში" გაატარა, გუნდის მიერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების მეორე დღესვე გადააყენეს. ერთი შეხედვით, მოულოდნელი გადაწყვეტილებაა, მაგრამ თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, დელ ბოსკეს გაშვება არცთუ ალოგიკურია. კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის გაძლიერების მიზნით სარეკორდო თანხები დახარჯა და სატრანსფერო ბაზარზე უპირობო ლიდერის ტიტული მოიპოვა, მაგრამ "რეალი" ასევე უპირობოდ სულაც ვერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი – ტიტული სულ ბოლო ტურში, დაძაბული და წინააღმდეგობებით სავსე სეზონის ფინიშზე გამოსტაცა "რეალ სოსიედადს". რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ევროპისა და მსოფლიოს ყველაზე უკეთ დაკომპლექტებულმა ვარსკვლავურმა გუნდმა ფინალშიც კი ვერ ითამაშა.

"ეს ჩვენთვის უმძიმესი და ძნელად მისაღები გადაწყვეტილება იყო, მაგრამ იძულებული ვიყავით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდს სტაგნაციის საშიშროება ემუქრებოდა", - განაცხადა იეროს და დელ ბოსკეს გათავისუფლების კომენტირებისას ფლორენტინო პერესმა.

კარლუშ კეირუში

"მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონის მარჯვენა ხელმა, გუნდის მეორე მწვრთნელმა და პორტუგალიის ნაკრების ექსდამრიგებელმა მადრიდის "რეალის" სათავეში მისვლის წინადადება მიიღო.

თითქოს, პერესის და ვალდანოს ეს გადაწყვეტილებაც არ ექვემდებარება ლოგიკას. მსოფლიოში ხომ ბევრი ექსტრაკლასის და ექსტრაიმიჯის მწვრთნელია, რომლებიც დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდნენ "რეალს". კეირუში, თავისი მეორეხარისხოვანი როლების მიუხედავად, საფეხბურთო ევროპაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, ხოლო ესპანურის ცოდნა ამ მწვრთნელის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს ამართლებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ ერთი წლის წინ დაცვის ხაზში თამაშის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას ინგლისელი საფეხბურთო მიმომხილველები სწორედ კეირუშის გუნდში მისვლასთან აკავშირებენ (31 გაშვებული გოლი წინა სეზონის 45-თან შედარებით.). 25 ივნისს ფერგიუსონმა კეირუშს, პრაქტიკულად, კურთხევა მისცა და განაცხადა, რომ "უფლება არა აქვს, კაცს ასეთი შანსი დააკარგვინოს."

ელვერ პოშტიგა

"პორტუს" 20 წლის თავდამსხმელი ლონდონის "ტოტენჰემში" 10 მილიონი დოლარის საფასურად გადავიდა. პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი ევროპის ჩემპიონატის წინ, რომლის ფინალურ ეტაპსაც პორტუგალია უმასპინძლებს, ამ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი იმედია. უეფას თასის მფლობელ "პორტუს" ამ ფეხბურთელისა და საკუთარი იმედისმომცემი შემადგენლობის შენარჩუნება ძალიან უნდოდა, მაგრამ 10-მილიონდოლარიანი ცდუნება, რომელიც მას გლენ ჰოდლის გუნდმა შესთავაზა, სერიოზული კონტრარგუმენტი გამოდგა.

ტედი შერინგემი

თავის 37 წელთან შედარებით კარგ სპორტულ ფორმაში მყოფმა ტედი შერინგემმა საკუთარი სურვილით, თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა "ტოტენჰემი" და პრემიერლიგის დებიუტანტ "პორტსმუთში" გადაბარგდა. პრემიერლიგის ამბიციურმა ახალბედამ, "პორტსმუთმა", "მაღალ საზოგადოებაში" დაბრუნება ინგლისური საფეხბურთო ანტიკვარიატის კოლექციონერობით აღნიშნა. შერინგემი, მერსონი, ჰილსლოპი და მწვრთნელად - ჰარი რედნაპი, "პორტსმუთის" "სიახლეებია". ამას გარდა, კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გააკეთა განცხადება ხორვატიის ნაკრებისა და ლევერკუზენის "ბაიერის" მცველის, ბორის ჟივკოვიჩის შეძენის თაობაზე.

იუპ ჰაინკესი

ბილბაოს "ატლეტიკის" ერთადერთმა არაბასკმა, გერმანელმა იუპ ჰაინკესმა "ატლეტიკის" მთავარი მწვრთნელის პოსტი "შალკე 04"-ის ანალოგიურ პოსტზე გაცვალა და მომავალ სეზონში ლევან კობიაშვილის კლუბს უხელმძღვანელებს.

ბილბაოში ჰაინკესის საქმეები ურიგოდ არ მიდიოდა, მაგრამ მწვრთნელის ძიებაში ორიენტაციადაკარგულმა და ამ საქმით დაღლილმა "შალკეს" ხელმძღვანელობამ ჭერ იუპი სამშობლოში დაბრუნებაზე ფინანსური არგუმენტებით დაიყოლია. "ატლეტიკს" კი ერნესტო ვალვერდე ჩაუდგება სათავეში.

ლუსიო

"რომას" პრეზიდენტმა, ფრანკო სენსიმ განცხადება გააკეთა ბრაზილიის ნაკრებისა და ლევერკუზენის "ბაიერის" მცველის, ლუსიოს გადაბირების თაობაზე. სენსი ბევრ ასეთ განცხადებას აკეთებს, მაგრამ თუ "რომამ" ნამდვილად შეიძინა ლუსიო (მასზე პრეტენზიას აცხადებდა სუპერკლუბების გრძელი რიგი "რეალის" თამადობით), მართლაც, ფაქტია: "რომა" ახალი სეზონის წინ საგრძნობლად გაძლიერდება.

ჰარი კიუელი

ინგლისის "ლიდს იუნაიტედს", რომელსაც დამანგრეველი გაყიდვების სერია დაატყდა თავს, ერთ-ერთი ბოლო ლიკვიდური ფიგურა, ჰარი კიუელიც ტოვებს. თუმცა, სად გადავა იგი - "არსენალში", "მანჩესტერ იუნაიტედში" თუ "ბარსელონაში", ჯერ გაურკვეველია. კიუელი ჯერაც "ლიდსშია", მაგრამ ამ კლუბს რომ უახლოეს მომავალში დატოვებს, ფაქტია, რადგან მან იორკშირულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე (რომელიც წელინადში "ლიდსის" ისტორიისთვის რეკორდულ 4 მილიონ ევროს მოუტანდა) უარი განაცხადა. ამიტომაც, "ლიდსმა" ავსტრალიელი ფორვარდი გასაყიდთა სიაში შეიყვანა. წინაალმდეგ შემთხვევაში, მომავალ წელს, როდესაც ძველ კონტრაქტს ვადა გაუვა, იგი ფეხბურთელს უფასოდ დაკარგავს. ინგლისური პრესის ცნობით, კიუელისთვის ბრძოლაში ფავორიტი ლონდონის "არსენალია".

რაგბი

თასი, ფიალა და ახლა უკვე ფარიც

ორ დღეში თბილისში "საქართველოს შვიდკაცა" იწყება

პაატა თოთაძე

- მეგობრებო, დიდი ბოდიში, მაგრამ იქნებ პირველი რიგი გაათავისუფლოთ, ჟურნალისტები უნდა დასხდნენ.

ტოტალიზატორ "ინტერბეთ+"-ის ხელმძღვანელობას საფსონად შეკრებილთათვის ამ სიტყვების თქმა იმიტომ დასჭირდა, რომ ტოტალიზატორში კლოდ სორელს და საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას უნდა გაემართათ პრესკონფერენცია. ორ დღეში თბილისში "საქართველოს შვიდკაცა" იწყება და დღევანდელი პრესკონფერენციის ნაწილიც ამ ტურნირს უნდა დაეთმოს. ნაწილი, ალბათ, იმიტომ, რომ რაგბის კავშირს კიდევ ერთი პრესკონფერენცია აქვს დაგეგმილი - საგანგებოდ ამ ტურნირისთვის. ტოტალიზატორში მორაგბეთა შეკრების კიდევ ერთ მიზეზს კი ქვემოთ შეიტყობთ.

- ჩვენ კარგად მოვემზადეთ მომავალი შეჯიბრებისთვის. აქამდე სამ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა - ლუნელში, კარდიფსა და ლონდონში. ლუნელის ტურნირი მოვიგეთ, კარდიფში ფარი მოვიპოვეთ, ლონდონში კი თასის მეოთხედფინალში გავედით. ამით იმის თქმა მინდა, რომ გუნდი მშვენივრად არის მომზადებული და შაბათ-კვირას საქართველოს ნაკრები საუკეთესო იქნება ტურნირზე შეკრებილთა შორის.

ამ სიტყვებით გახსნა პრესკონფერენცია ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა.

შემდეგ საუბარი საზოგადოდ ქართულ რაგბის შეეხო.

- როგორც უნდა ვიასპარეზოთ მსოფლიო ჩემპიონატზე, უმთავრეს შეჯიბრებაში მონაწილეობა ქართული რაგბის წინგადადგმული ნაბიჯია.

სორელის ამ სიტყვებს ბიძინა გეგიძეც ეთანხმება, შემდეგ კი ისევ შვიდკაცას უბრუნდება...

- ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. ასეთი რანგის შეჯიბრება ჩვენთან ჯერ არ გამართულა. თუ ყველაფერს კარგად მოვაბამთ თავს, ყოველწლიურიც გახდება.

- ბრიტანელები თუ მიიღებენ მონაწილეობას?

- არა, - მოკლე იყო გეგიძის პასუხი.

- რუსეთის ნაკრებსაც უარი უთქვამს ჩამოსვლაზე. იქნებ აგვიხსნათ, რა იყო ამის მიზეზი. აბუჩად აგვიგდეს, არ გვიკადრეს თუ, უბრალოდ, წაგების შეეშინდათ?

- რუსეთის რაგბის კავშირში დიდი ცვლილებებია. კავშირის ხელმძღვანელობამ თავი ვერ მოაბა ნაკრების გამოშვებას, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ, გზის ფულიც კი არ სჭირდებოდათ. მათ ვერ მოახერხეს, წამყვანი მოთამაშეებისთვის მოეყარათ თავი. მოკლედ, მათი ჩამოუსვლელობა მათ უუნარობაზე მეტყველებს.

- დამარცხების არ შეეშინდათ? – არ ცხრებოდა გულშემატკივარი.

- ალბათ, არც უმაგისობა იყო.

მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ, თხუთმეტკაცა რაგბისგან განსხვავებით, შვიდკაცაში რუსეთისთვის ჯერ არ გვიჯობნია?

- ბატონო ბიძინა, ეს პატარკაციშვილი რომაა და ფეხბურთელებს ნაირ-ნაირ საჩუქრებს ჰპირდება, მორაგბეებს თუ გეხმარებათ? – კითხვის დასმა იმან განაპირობა, რომ მორაგბეებმა უსახსრობაზე დაიჩივლეს.

- არა, – ისევ მოკლედ მოჭრა გეგიძემ, – და არც არავინ აძალებს, მისი საქმეა.

პრესკონფერენციის დასკვნით ნაწილში კი...

- "მთავარი გაზეთი სპორტი" აწესებს ჯილდოს საქართველოს თასის გათამაშებაში მეხუთე ადგილზე გასული გუნდისთვის. ეს იქნება ქართული ფარი.

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა პაატა გელაშვილმა ფარი ბიძინა გეგიძეს გადასცა. ამრიგად, აქამდე გასათამაშებელ თასს და ფიალას ფარიც შეემატა.

ესეც ტოტალიზატორში შეკრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

WIMBLEDON 2003

ჩოგბურთი

ჰენმანი - ინგლისელთა ერთადერთი იმედი

REUTERS

ანდრე აგასი ტურნირის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია.

თუ უიმბლდონის ფავორიტებზე ვისაუბრებთ, პირველ რიგში, ამერიკელები აგასი, როდიკი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ინგლისელი ტიმ ჰენმანი უნდა ვახსენოთ. როდიკმა და ფედერერმა მესამე წრის საგზური ადრე გაინაღდეს. გუშინ კი მათ ტიმ ჰენმანი და ანდრე აგასი შეუერთდნენ.

გრეგ რუსედსკის დამარცხების შემდეგ ინგლისელებს ერთადერთ იმედად ტიმ ჰენმანი დარჩათ. ჰენმანი შესანიშნავ ფორმაშია, ამიტომ ჯერჯერობით არც ინგლისელთა იმედებს ემუქრება გაცრუება. ჰენმანმა მეორე წრეში ფრანგი მიშელ ლოდრა გაანადგურა. 23 წლის ლოდრა უიმბლდონზე მესამედ გამოდის. მისი ყველაზე დიდი მიღწევა 2001 წლით თარიღდება. მაშინ მან მესამე წრეში გააღწია. ლოდრას ჩოგბურთის ცოდნას ვერ დაუწუნებ, მაგრამ ამჯერად ნამდვილად არ ჰქონდა შანსი.

ჰენმანმა მეტოქეს ყველაფრით აჯობა - გამოცდილებით, ხაზზე თამაშით, ბადესთან აქტიურობით, ზუსტი მოჭრილი დარტყმებით და, რაც მთავარია, სათამაშო კლასით. ის დროდადრო უმაღლესი დონის ჩოგბურთსაც აჩვენებდა. ბადესთან მოკლე, მოჭრილ დარტყმებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა ინგლისელი მაყურებელი და **нтв спорт**-ის წამყვანი, ლეგენდარული ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. "დაუკვირდით, ჰენმანი ძალიან ადვილად იგებს თავის მოწოდებებს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ის შესანიშნავ ფორმაშია", - თქვა მეტრეველმა.

მატჩის შემდეგ ლეგენდარული ჩოგბურთელის დახასიათებას მიშელ ლოდრაც დაეთანხმა. მისი თქმით, ჰენმანი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. "ჰენმანმა ისე ითამაშა, როგორც ვარჯიშის დროს. მას ყველაფერი არაჩვეულებრივად გამოუვიდა. აშკარაა, რომ თამაში ჰენმანს სიამოვნებას ანიჭებს. პარადოქსია, მაგრამ ყოველი ახალი სეტის დაწყებისას მას ენერგია უორმაგდებოდა. მე მას ვერაფერი დავუპირისპირე, რის გამოც ძალიან ვწუხვარ", - განაცხადა მიშელ ლოდრამ.

ანდრე აგასისთვის გერმანელ ლარს ბიურგსმიულერთან შეხვედრა ერთგვარად შვებისმომგვრელი იყო. ჰენმანის რა მოგახსენოთ, მაგრამ აგასიმ თამაშისგან ნამდვილად იგრძნო სიამოვნება, რასაც თვითონვე ადასტურებს. "შესაძლოა, ჩემი განცხადება ვინმეს გადაჭარბებად მოეჩვენოს, მაგრამ ჩოგბურთს იმიტომაც ვთამაშობ, რომ სიამოვნება მივიღო. ეს ყოველთვის არ გამომდის, მაგრამ როცა თამაში წამივა... დღევანდელი მატჩი სწორედ ისეთი იყო, როცა თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ", - თქვა ანდრე აგასიმ.

მართლაც, ამერიკელს პრობლემა არ შექმნია. მეტოქეს პირველივე გეიმი აართვა. მერე მას მეორე მიაყოლა და 6:3 მოიგო. მეორე სეტში გერმანელმა გაიბრძოლა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე საკუთარი უნებლიე შეცდომების მსხვერპლი გახდა. საერთოდ, ბიურგსმიულერმა მატჩში 19 უნებლიე შეცდომა დაუშვა. გადამწყვეტი უპირატესობა მოპოვებული იყო და აგასის გამარჯვება აღარ გაჭირვებია.

იოლად გაიმარჯვა უიმბლდონის შარშანდელმა ფინალისტმა დავიდ ნალბანდიანმაც. ის სამ სეტში გაუსწორდა ბრაზილიელ ანდრე სას. არგენტინელი უაღრესად დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ მას ტურნირის ფავორიტთა შორის არავინ მოიხსენიებს. არადა, არგენტინელი, როგორც თვითონ ამბობს, სპორტული ფორმის ზენიტშია. "თუ ოდესმე უიმბლდონის მოგება მიწერია, ვფიქრობ, წლევანდელი სეზონი ამისთვის ზედგამოჭრილია, რადგან ვგრძნობ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება შემიძლია", - ამბობს ნალბანდიანი.

მესამე წრეში გავიდა 27 წლის ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი. ეისების ოსტატმა შავი დღე აყარა ფრანგ კირილ სალნიეს და, მიმომხილველთა ვარაუდით, თუ ფილიპუსისმა ეს ტემპი შეინარჩუნა, ის შეიძლება ფავორიტთა მარაქაშიც გაერიოს.

ქალთა ნაწილში სრული სიმშვიდე სუფევს. შეჯიბრების ბობოლებს ჯერ რეალური საფრთხე არ დამუქრებიათ. მომდევნო წრეში გავიდნენ: სერენა უილიამსი, ჟიუსტინ ენინი და ჯენიფერ კაპრიატი.

უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). მეორე წრე.

ვაჟები:

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 10) - მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	6:4, 6:4, 6:3
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)	6:7 (5:7), 6:3, 6:3 (თ.შ.)
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 6) - ანდრე სა (ბრაზილია)	6:2, 7:5, 6:2
ანდრე აგასი (აშშ, 2) - ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია)	6:3, 7:6 (7:4), 6:3
სარგის სარგსიანი (სომხეთი) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 26)	6:2, 7:6 (7:3), 6:2
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - კირილ სალნიე (საფრანგეთი)	6:3, 6:2, 7:6 (7:2)
ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 11) - დავიდ ფერერი (ესპანეთი)	6:2, 7:5, 6:3
იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 27) - ნიკოლას მასუ (ჩილე)	7:6 (7:5), 3:6, 7:6 (7:4), 6:4
სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13) - უეინ არტურსი (ავსტრალია)	6:3, 6:4, 6:7 (12:14), 6:3
უესლი მოდიე (სარ) - ფრედერიკ ნიემაიერი (კანადა)	7:6 (10:8), 4:6, 2:6, 6:1, 7:5
ოლივიე როხუსი (ბელგია) - ანტონი დიუპუა (საფრანგეთი)	2:6, 6:3, 4:6, 7:6 (7:5), 6:4
რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი, 35) - სკოტ დრეიპერი (ავსტრალია)	7:6 (8:6), 6:3, 6:1
კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) - ტაკაო სუძუკი (იაპონია)	6:3, 7:5, 6:2
რობინ სოდერლინგი (შვედეთი) - ჯილ ელსენერი (ბელგია)	2:6, 7:6 (8:6), 6:4, 6:3
ალექსანდერ პოპი (გერმანია) - რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია)	7:6 (7:4), 4:6, 6:3, 6:7 (5:7), 6:2
იარკო ნიემინენი (ფინეთი, 30) - სტეფანო გალვანი (იტალია)	6:4, 5:7, 6:4, 7:6 (7:3)

ქალები:

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 3) - ფლავია პენეტა (იტალია)	7:6 (7:2), 6:1
სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ელს კალენსი (ბელგია)	6:4, 6:4
მარი პირსი (საფრანგეთი) - ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 14)	6:4, 6:1
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 8) - მარი-გაიან მიქაელიანი (შვეიცარია)	6:2, 6:1
ანასტასია მისკინა (რუსეთი, 10) - ლინა კრასნორუდსკაია (რუსეთი)	6:1, 6:4
ელენა დემენტიევა (რუსეთი, 15) - არანჩა პარა (ესპანეთი)	6:1, 6:1
ელენა დოკიჩი (სერბეთი, 11) - ემანუელ გალიარდი (შვეიცარია)	6:1, 6:3
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 33) - იონ იონგ ჩო (ს. კორეა)	7:6 (7:1), 6:4
ემილი ლუა (საფრანგეთი) - მარია ელენა კამერინი (იტალია)	3:6, 6:2, 6:3
ლაურა გრანვილი (აშშ, 28) - ტატიანა პერებინისი (უკრაინა)	6:2, 6:3
ანიკო კაპროში (უნგრეთი) - მარტინა სუხა (სლოვაკეთი)	6:0, 6:4
ლიზა რეიმონდი (აშშ, 23) - მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია)	6:3, 6:0
ალისია მოლიკი (ავსტრალია) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 31)	6:3, 6:4
აკიკო მორიგამი (იაპონია) - კაროლინა სპრემი (ხორვატია)	6:3, 6:3
კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 18) - ბარბარა შეტი (ავსტრია)	6:2, 6:4
მარია შარაპოვა (რუსეთი) - ელენა ბოვინა (რუსეთი, 21)	6:3, 6:1

კრივი

ვიტალი კლიჩკო გაკერეს

გიგა გურასაშვილი

ერთნი მათ დაპირისპირებას წინდაწინვე საუკუნის ორთაბრძოლად თვლიდნენ, მეორენი დროის ტყუილუბრალოდ ფლანგვად მიიჩნევდნენ, მესამენი კი საერთოდ გვერდზე გადგნენ და იქიდან, როგორც რიგით ორთაბრძოლას, ისე ადევნებდნენ თვალყურს. როგორც უნდა იყოს, გასულ შაბათს ლოს ანჯელესის "სტეპლს ცენტრის" რინგის ერთ მხარეს კრივის უდავო ჩემპიონს ლენოქს ლუისს მოეღერებინა მუშტი, მეორე მხარეს კი - დიდების მოსურნე ვიტალი კლიჩკოს. არადა, კრივი იყო, უფრო კი - გლადიატორთა შეხლა. ბრძოლის დასრულების შემდეგ ორივენი სისხლში იყვნენ ამოსვრილნი, თუმცა, ეს უკრაინელის სისხლი იყო.



REUTERS

დრაგო არ გეგონოთ, კლიჩკოა.

ისე მოხდა, რომ მეექვსე რაუნდის დამთავრების მაუწყებელმა გონგმა ერთბაშად ორი ჩემპიონი გამოავლინა: ლუისი კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონად დარჩა, კლიჩკო კი სახალხო ჩემპიონად შერაცხეს.

სულისშემძვრელ ორთაბრძოლაში, რომელიც უკრაინელს გახეთქილ წარბად, ტუჩად და ღაწვად დაუჯდა და ტექნიკური ნოკაუტიც აგემეს, საკუთარს მაინც მიაღწია, ანუ ამერიკელ (და არა მარტო ამერიკელ) გულშემატკივართა გულები მოიგო, მიაღწია იმას, რისკენაც ასე მონდომებით ისწრაფოდა. კარგა ხანია, უკრაინელი ძმები საკრივო კარიერას გერმანიაში აწრთობენ და ქომაგთა მოზრდილი არმიაც შეიძინეს, მაგრამ პირველი შემთხვევაა, რომ კლიჩკოებს მონყალების თვალით იანკებმაც გადახედეს.

უკრაინელისა და ბრიტანელის ორთაბრძოლა გერმანიის დროით გამთენიისას, 04 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. მიუხედავად ამისა, 4.6 მილიონმა კრივის მოყვარულმა გერმანელმა მაღვიძარა მომართა. ბევრს მიაჩნია, რომ მუჰამედ ალის ორთაბრძოლების შემდეგ კლიჩკოსა და ლუისის დაპირისპირება პირველი შემთხვევაა, რომელმაც ასეთი ინტერესი გამოიწვია.

მძიმეწონოსანთა საჩემპიონო შეხლის შემდეგ ექვსი დღე გავიდა. ემოციებიც ნაწილობრივ ჩაცხრა, მაგრამ 21 ივნისის დაპირისპირება კვლავაც აქტუალურია. თუმცა, როგორი განწყობა ჰქონდა კლიჩკოს ლუისთან ბრძოლამდე, უინტერესო არც ეს უნდა იყოს. გთავაზობთ "სპორტსილუსტრეიტედის" მესვეტის ვინმე რიჩარდ დეიჩის მიერ უკრაინელისგან აღებული ინტერვიუს ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს.

- წელიწადზე მეტია, თქვენ ლუისთან ჩხუბს ცდილობდით. ასე ძალიან გინდოდათ მასთან შეხვედრა?

- საერთოდ, ეს არც ისე დიდი დროა. სიტუაცია კი ასეთი იყო: ლენოქსი კირკ ჯონსონთან მატჩისთვის ემზადებოდა, მე კი ანდერქარდში სედრიკ ბოსველს უნდა შევხვედროდი. ასე რომ, ორივენი მზად ვიყავით. ამიტომაც იყო, ასე ძალიან რომ მინდოდა ეს ორთბარძოლა. ასე რომ არ ყოფილიყო, ორი კვირით ადრე თანხმობას არ განვაცხადებდი.

- როგორ ფიქრობ, ბრძოლა ნოკაუტით დასრულდება თუ ქულებით?

- ძალიან მინდა გამარჯვება, თუმცა, მგონია, ქულებამდე საქმე არ მივა.

- რას ნიშნავს თქვენთვის მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობა?

- ჩემპიონობას გლობალურად ვუყურებ. ჩემთვის მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობას რაღაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ყველა მძიმეწონოსანი ჩემპიონის მიზანია, იყოს ჩემპიონი და დაამარცხოს მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი.

- თქვენ ხშირად ჩხუბობთ გერმანიაში. რამდენად განსხვავდებიან გერმანელი ქომაგები ამერიკელი ფანებისგან?

- ამერიკელები ბევრად უფრო ემოციურები არიან. მაგალითად, ევროპაში საკმაო დრო სჭირდებათ შეხურებლად და ემოციების გამოსახატავად. ევროპელებიც კარგი გულშემატკივრები არიან, მაგრამ მათ მაინც სხვა მენტალიტეტი აქვთ, ამერიკაში კი ბევრად უშუალოები არიან ემოციების გამოხატვისას.

- ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ბრძანდებით. 2001 წელს გარი კასპაროვს ეთამაშეთ. ვინ უფრო შიშის მომგვრელი მეტოქეა - კასპაროვი თუ ლუისი?

- კასპაროვი ჭადრაკშია ჩემპიონი და მისი დამარცხების არავითარი შანსი არ არსებობს.

- სპარინგზე ოდესმე თუ გამოგიწვევიათ კასპაროვი?

- რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე ბევრს ვხუმრობთ. ჩემთან სავარჯიშოდაც მოვიწვიე.

- ორმეტრიანი უკრაინელი ბრძანდებით. რამდენად ხშირად დაუძახიათ თქვენთვის ივან დრაგო ფილმიდან "როკი IV"?

- არ მინდა, ხალხმა ივან დრაგოს შემადაროს. ჩვენ ცა და მიწასავით განვსხვავდებით ერთმანეთისგან. დრაგოს ძმა არ ჰყავს, მე კი მყავს.

- ამერიკაში ცოტა რამ იციან თქვენს შესახებ. რა უნდა იცოდეს ამერიკელმა გულშემატკივარმა თქვენზე?

- რინგზე გასვლამდე (ლუისთან ორთაბრძოლას გულისხმობს.-რედ.) ძნელია განსაზღვრო, თუ რა უნდა იცოდნენ. ვფიქრობ, ჩხუბის შემდეგ საკმაო დრო ექნებათ იმისთვის, რომ ეს განსაზღვრონ. ალბათ, ბრძოლის შემდეგ უფრო დაინტერესდებიან ჩემით.

- ფაქტობრივად, ყოველდღიურად დადიხართ კინოში. ასეა არა?

- მართალია. ვცდილობ, ყოველ მეორე დღეს წავიდე კინოში. კინოთეატრი ის ადგილია, სადაც ენის უკეთ სწავლა შეიძლება. სწორედ ასე ვიქცეოდი გერმანიაშიც, როდესაც ენას ვსწავლობდი. ახლა იგივეს ვაპირებ ამერიკაშიც. ერთობი, თან ენასაც სწავლობ.

- მეტსახელი "დოქტორ რკინის მუშტი" როგორ მოგწონთ?

- ამაზე არ ვწუხვარ. ასე ჟურნალისტებმა მომნათლეს. ჩემი იდეა არ გეგონოთ.

- ბავშვობაში ძმასთან თუ ჩხუბობდით?

- ერთმანეთთან არასდროს გვქონია პრობლემები, რადგან ძმაზე ხუთი წლით უფროსი ვარ. მშობლებიც სულ მეუბნებოდნენ: უმცროს ძმაზე უნდა იზრუნოო. ვლადიმირი, მართლაც, კარგი ძმაა. ასე რომ, არასდროს გვქონია უთანხმოება.

P.S. ჰო, მართლა, ვიტალი კლიჩკოს სახეზე 60-მდე ნაკერი დაადეს და რინგზე გასვლა ექვსი თვით აუკრძალეს.

ყვავყვავი

ნინო I

ფორმულა 1-ის ყველაზე შთამბეჭდავი ქალი

სწორედ ასე მოიხსენიებენ ჟურნალისტები კორა შუმახერს, უმცროსი "შუმის" სკანდალურად ცნობილ მეუღლეს. ამ ტიტულის მოპოვება იოლი სულაც არ არის. ფორმულა 1-ის პილოტების მეგობარ ქალებს და კანონიერ მეუღლეებს რომ თავი დავანებოთ, ყველა რბოლას შეჯიბრების მასპინძელი ქვეყნის საგულდაგულოდ შერჩეული, ნახევრად შიშველი მზეთუნახავები ალამაზებენ. ასეთ სიტუაციაში მოკრძალებულად ჩაცმულ-დახურული ფრაუ შუმახერისთვის არც ისე ადვილია პირველობისთვის ბრძოლა. მაგრამ კორა ამას ყოველთვის ახერხებს. ის წყნარად ზის ტრიბუნაზე, არ ცდილობს, ვინმეს ყურადღება მიიქციოს, მშვიდად წრუპავს ფორთოხლის წვენს და რალფის ბოლიდს თვალს არ აშორებს. პაპარაცები კი მის ყველა ჟესტს აფიქსირებენ. კორას გარდა, ტრიბუნაზე სხვა მნიშვნელოვანი ბანოვანებიც სხედან: ხუან პაბლო მონტოიას მეუღლე კონი, დევიდ კულჰარდის მეგობარი სიმონე, კიმი რაიკონენის სატრფო... მაგრამ კორას ვერავინ შეედრება. ის მუდამ ყურადღების ცენტრშია და ყველა აღიარებს მის უპირატესობას. მაინც რატომ? ალბათ, უფრო იმიტომ, რომ სანამ რალფ შუმახერს გაიცნობდა, კორა ავსტრიასა და გერმანიაში ცნობილი ფოტომოდელი იყო. არაფერზე ამბობდა უარს, ყოველგვარი ზედმეტი სიმორცხვის გარეშე პოზირებდა სრულიად შიშველი და დარწმუნებული იყო, რომ სწორადაც იქცეოდა, მაგრამ როცა რალფ შუმახერზე დაქორწინება გადაწყვიტა, ამ ფოტოებმა ძალიან გაუჭირეს საქმე. რალფს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ კორას სურათების გამოქვეყნების უფლება შეეძინა. "მშვენიერი ფოტოებია. კორას სახელგანთქმული გერმანელი ფოტოგრაფი იენს ბრიუგემანი იღებდა. ყოველი კადრი ლამის ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არ მინდა, ეს სურათები კიდევ გამოქვეყნდეს. კორა ახლა მხოლოდ მე მეკუთვნის და მისი შიშველი სხეული ჟურნალ-გაზეთების გარეკანებს აღარ უნდა ამშვენებდეს", - ამბობდა მაშინ რალფი. იენს ბრიუგემანი თავიდან ძალიან გაჭირვეულდა - მე ხელოვანი ვარ და ჩემი ნამუშევრის გამოყენების უფლებას არავის მივყიდიო, - დაიჩემა. ახლოს არ გაიკარა რალფის მენეჯერი ვილი ვებერი, არც რალფთან მოისურვა საუბარი, მაგრამ ბოლოს მაინც მოუხდა დათმობაზე წასვლა. კორას ფოტოები აღარ დაიბეჭდა და რალფის ქორწილმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. მას შემდეგ კორას ფოტოსალონისკენ აღარ გაუხედავს, მაგრამ მისი სკანდალურად ცნობილი ფოტოები ყველას ახსოვს და არც ერთი რბოლის მსვლელობისას არ ტოვებენ უყურადღებოდ. მეორე დღეს უკვე ყველამ იცის, რა ეცვა კორას რბოლაზე ან კვალიფიკაციაზე, როგორი სამკაულები ეკეთა, რას სვამდა, რას ამბობდა, როგორ გუნებაზე იყო... მოკლედ, რალფზე მეტად, მგონი, კორას შესახებ ვრცელდება ინფორმაცია და ეს რალფს საერთოდ არ სწყინს...

ორი სემესტრი უნივერსიტეტში

კორა ბრინკმანი დაიბადა 1976 წლის 26 დეკემბერს ინგრიდ და გერდ ბრინკმანების ოჯახში. კორას გარდა, მის მშობლებს კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავთ - სარა, რომელიც დასავით ცნობილი ნამდვილად არ არის. კორას ბავშვობიდანვე თავისი შთამბეჭდავი გარეგნობის იმედი ჰქონდა, ამიტომაც სწავლა-განათლებით დიდად არ მოუკლავს თავი. სკოლა დაამთავრა, უნივერსიტეტში, მენეჯმენტის ფაკულტეტზე, ორი სემესტრი ისწავლა, მაგრამ იმდენი ნებისყოფა არ აღმოაჩნდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა. ბოლოს გამყიდველი გახდა, თუმცა, ამ სპეციალობით დიდხანს არ უმუშავია. გამდიდრების უფრო იოლ გზას მიაგნო - ფოტომოდელი გახდა. აბა, რა სახალისო იყო ან გამყიდველად მუშაობა, ან მშობლების ბენზინგასამართ სადგურზე დგომა? კორამ ყველაფერს თავი მიანება და ვენაში გაემგზავრა. მერე დიუსელდორფში გადაინაცვლა და ფოტომოდელობაც იქ დაიწყო. მერე კი... მერე რალფ შუმახერს შეხვდა და ყველაფერი შეიცვალა. 2001 წლის 23 ოქტომბერს რალფს და კორას შეეძინათ ბიჭუნა, რომელსაც დავიდი დაარქვეს. უკვე დაქორწინებულები კი იყვნენ, მაგრამ ორივეს ძალიან უნდოდა, ეკლესიაშიც დაეწერათ ჯვარი, რისთვისაც რალფი ლამის ნემსის ყუნწში გაძვრა, რომ კორას თავქარიანობის ყველა დოკუმენტი მოესპო. საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარდა და 2002 წლის 7 სექტემბერს ჯვრისწერაც გაიმართა. ზალცბურგის მხარის ბაზილიკა მარია პლაინის სიახლოვეს მაშინვე ჩასაფრდნენ პაპარაცები. ყველამ კარგად იცოდა, რომ რალფს არ

კორა შუმახერი

სურდა, ფოტოების გამოქვეყნების უფლება რომელიმე ჟურნალისთვის მიეყიდა. ამიტომაც ცდილობდნენ, ფარულად მაინც გადაეღოთ. კორამ სტუმრები ცოტა ხანს ალოდინა, შემდეგ კი ზღაპრულად მორთულ-მოკაზმული გამოჩნდა მამის თანხლებით. ჯვრისწერის შემდეგ სტუმრები წავიდნენ რესტორანში, სადაც ჟურნალისტებმა ვეღარ შეაღწიეს.

თავიდან კორას ცოტათი აფრთხობდა ჟურნალისტებისა და ფანების გადამეტებული ყურადღება. აღარ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ამდენი კამერის წინ, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს მიეჩვია. დასაწყისში მას მფარველად მოევლინა კორინა შუმახერი - მიხაელის გამოცდილი მეუღლე. მერე კი კორამ სიტუაციას ალღო აუღო და აღარაფრის ეშინოდა. ახლა მას მფარველობა აღარ სჭირდება - თავდაჯერებული და ბედნიერია. იცვამს თავისუფლად, მაგრამ გემოვნებით, ყოველთვის ბრწყინვალე მაკიაჟი ამშვენებს, მუდამ არაჩვეულებრივ ფორმაშია. მას ფორმულა 1-ის ყველაზე სექსუალურ ქალს ეძახიან, რაც მის მეტოქეებს ძალიან აღიზიანებთ, მაგრამ კორას დამხობას მაინც ვერ ახერხებენ. ხუან პაბლო მონტოიას შავგვრემანი მეუღლე კონი, უბარლოდ, ვერ იტანს ქერათმიან კორას. არც რალფი და ხუან პაბლო მეგობრობენ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საჯინიბოს სახელით გამოდიან. კორას არც სჭირდება სენიორა მონტოიასთან დამეგობრება. მთავარია, არ იჩხუბონ და აგრესიულობით ცნობილმა კონიმ რაიმე შარი არ მოსდოს. დანარჩენს კი მოევლება...

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
THE SOCIAL-ECONOMIC INSTITUTE OF TBILISI

2003-2004 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტში საუნივერსიტეტო მიმართულება ქართულ და რუსულ სექტორებზე შემდეგ უნივერსიტეტებსა და სპეციალობებზე:

1. იურიდიული (სამართალმცოდნეობა);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
3. ფინანსები, სანერგო და საგადასახადო საქმე;
4. ისტორია (ფილოსოფიურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია);
5. ქართული ენა და ლიტერატურა;
6. ინგლისური ენა;
7. გერმანული ენა.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

ინსტიტუტში მიმართავენ საშუალო, საშუალო-პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის ასაკის მოზრდილები.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სბუთები:

1. განცხადება (შევსება ადგილზე);
2. განათლების დოკუმენტი;
3. ხუთი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, პრესის ქუჩა №8 (მიანშენდის რაიონი, 46-ე საშუალო სკოლის შენობა, ოქერის ქუჩიდან, ჩტკერის მარჯვენა სანაპიროზე, მეტრის სადგური "რუსთაველი" ან "ოციტაშვილების მოედანი").

ტელ: 99-96-88; 899-56-80-84.

თბილისის გაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:

ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.

მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2.
ტელ: 99-04-91.

TV პროგრამა 27 ივნისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „შავი ზეცა“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.00 2003 წლის უიმგილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
18.00, 21.00, 05.30 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“
22.50 ღამის კურიერი
00.20 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
01.00 2003 წლის უიმგილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.00 მხ. ფილმი „ნათლია 2“ მთ. რ-ში: მარლონ ბრანდო.
05.45 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები“
10.10 მხ. ფილმი „დაკარგულ გავშვთა ქალაქი“
11.40 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები“
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 „მხოლოდ კლასიკა“
13.30 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“
13.45 ტელესერიალი „ცისფერი ველოსიპედი“
14.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
15.15 მხ. ფილმი „კონდორის სამი დღე“
17.10 50-50
17.45 „ზუმი“
18.00 „ვესტნიკი“
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის გუნება“
18.30 გასტი-გუბუ
18.50 პრესქერანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 მაგთიტრონი
21.10 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 მრავალსახეობა
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
00.00 მხ. ფილმი „მოგზაურობა აფრიკაში“

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
